F-171
1970

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს

„ბრძანებათა და ინსტრუქციათა"

# კრებული

# СБОРНИК

## ПРИКАЗОВ И ИНСТРУКЦИЙ

Министерства просвещения Грузинской ССР

F-3477

**6**

ივნისი

თბილისი—1970

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რედაქტორი შ. ობოლაძე
კორექტორი ე. აგლაძე

ფასი 12 კაპ.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 17/VIII-70 წ. ანაწყობის ზომა 6×9,5. ქაღალდის ზომა
60×84. სასტამბო ფორმათა რაოდენობა 4,12

შეკვ. 533. უე—12070 ტირაჟი 5.000.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო
კომიტეტის მთავარპოლიგრაფმრეწველობის სტამბა № 11, უშ. ჩხეიძის ქ. № 1
Типография № 11 Главполиграфпрома Комитета по печати при Совете
Министров Груз ССР, ул Уш Чхеидзе № 19

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1970 წ. 18 მარტის ბრძანება № 148

### რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლებში დაწყებითი სამხედრო მომზადების მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლებში დაწყებითი სამხედრო მომზადების მდგომარეობის შემოწმებამ გვიჩვენა, რომ სახალხო განათლების ორგანოებისა და სკოლების მიერ მნიშვნელოვანი ღონისძიებებია გატარებული ამ საგნის სწავლების მაღალ დონეზე დაყენების საქმეში, უფროსი კლასების მოსწავლეები დიდი ინტერესით სწავლობენ სამხედრო საქმეს. დაწყებითი სამხედრო მომზადების შემოღებამ დადებითად იმოქმედა სამხედრო-პატრიოტული აღზრდის გაუმჯობესებასა და სკოლების საერთო წესრიგის განმტკიცებაზე.

სკოლების დირექტორებისა და სამხედრო ხელმძღვანელების მნიშვნელოვანი ნაწილი პასუხისმგებლობის გრძნობით ეკიდება დაწყებითი სამხედრო მომზადებისათვის ნორმალური პირობების შექმნას. სახალხო განათლების ორგანოები, ადგილობრივ სამხედრო კომისარიატებთან ერთად პერიოდულად ამოწმებენ და საქმიან დახმარებას უწევენ სკოლებს. მოსწავლეთა დაწყებითი სამხედრო მომზადების საქმეში შესანიშნავ წარმატებას მიაღწიეს თბილისის 66-ე საშ. სკოლამ (დირექტორი მ. მახარაძე, სამხედრო ხელმძღვანელი ა გრიგორიევი), 37-ე საშ. სკოლამ (დირექტორი ვ. იანკოვსკაია, სამხედრო ხელმძღვანელი ვ. პარავიანი), 64-ე საშ. სკოლამ (დირექტორი ე. სტეპანოვი, სამხედრო ხელმძღვანელი მ. გაზაევი), 88-ე საშ. სკოლამ (დირექტორი ივ. გიორგაძე, სამხედრო ხელმძღვანელი შ. სიხარულიძე), რუსთავის მე-11 საშ. სკოლამ (დირექტორი ჯ. მკალობლიშვილი), გორის მე-6 საშ. სკოლამ (დირექტორი ვ. მეხუზლა, სამხედრო ხელმძღვანელი ვ. ამბრო-

ლაძე), ხაშურის № 1 საშ. სკოლამ (სამხედრო ხელმძღვანელი მ. რევაზიშვილი), წალენჯიხის საშ. სკოლამ (დირექტორი მ. ფიფია, სამხედრო ხელმძღვანელი მ. შელია), მცხეთის საშ. სკოლამ (სამხედრო ხელმძღვანელი ვ. იმერლიშვილი), კასპის № 1 საშ. სკოლამ (დირექტორი დ. ხუსკივაძე, სამხედრო ხელმძღვანელი ნ. გუგულაშვილი), ქობულეთის № 2 საშ. სკოლამ (დირექტორი მ. კულეჯიშვილი, სამხედრო ხელმძღვანელი ი. მატვეენკო), ქუთაისის № 32 საშ. სკოლამ (დირექტორი ა. გვაზავა, სამხედრო ხელმძღვანელი ი. აბრამიძე) ზესტაფონის № 3 საშ. სკოლამ (დირექტორი ბ. კუპატაძე, სამხედრო ხელმძღვანელი გ. ვარდოსანიძე), ზესტაფონის № 4 საშ. სკოლამ (დირექტორი ა. გაჩეჩილაძე, სამხედრო ხელმძღვანელი პ. ტალახაძე), ახალციხის № 1 საშ. სკოლამ (დირექტორი მ. ჟუჟუნაძე, სამხედრო ხელმძღვანელი გ. ნიკოშვილი). ზემოაღნიშნულ სკოლებში ჯეროვან სიმაღლეზეა დაყენებული დაწყებითი სამხედრო მომზადება და მოსწავლე ახალგაზრდობის სამხედრო-პატრიოტული აღზრდა.

დაწყებითი სამხედრო მომზადების კარგად დაყენების საქმეში განსაკუთრებით თავი გამოიჩინეს აჭარის ასსრ განათლების სამინისტრომ (მინისტრი ამხ. ვ. წულუკიძე), თელავის რაიონის განათლების განყოფილებამ (გამგე ამხ. ა. ნადაშვილი), ქუთაისის განათლების განყოფილებამ (გამგე ამხ. ი. გენძეხაძე), ზესტაფონის რაიონის განათლების განყოფილებამ (გამგე ამხ. მ. ჩიქოვანი), რომელთა ამ საქმისადმი ყურადღებამ უზრუნველყო დაწყებითი სამხედრო მომზადების მაღალ დონეზე დაყენება. ამასთან ერთად შემჩნეულია დაწყებითი სამხედრო მომზადებისადმი არაგულისხმიერი დამოკიდებულება. ასე მაგალითად, თბილისის პირველ, კასპის რაიონის ახალქალაქის, სამტრედიის რაიონის სოფ. კულაშის, ადიგენის რაიონის სოფ. უდის, ცხინვალის № 3 და ჭიათურის № 1 საშ. სკოლებში სამხედრო კაბინეტების მოწყობა დღემდე არაა დამთავრებული, რის შედეგად აღნიშნულ სკოლებში მეცადინეობა ტარდება უინტერესოდ, ხოლო კლასგარეშე თავდაცვითი მასობრივი მუშაობა სუსტადაა დაყენებული. რესპუბლიკის ბევრი რაიონისა და ქალაქის განათლების განყოფილებასთან დღემდე არ ტარდება სამხედრო ხელმძღვანელთა საინსტრუქტორო-მეთოდური მუშაობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონ. ოლქის, რაიონებისა და ქალაქების განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) სასწრაფო ზომები მიიღონ შემჩნეულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად; სისტემატური კონტროლი დააწესონ დაწყებითი სამხედრო მომზადების საკითხებზე, სსრ კავშირის განათლების სამინისტროსა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბრძანებებისა და ცირკულარული წერილების შესრულებაზე;

ბ) გაატარონ ქმედითი ღონისძიებები, რათა სკოლები, რომლებშიც დაწყებითი სამხედრო მომზადება იქნება შემოღებული 1970 წლის 1 სექტემბრიდან გახდნენ მოწინავე გამოცდილების დასაყრდენ (საბაზო) პუნქტებად, რაიონებისა და ქალაქების ყველა სკოლებისათვის, რომლებშიც 1971—1972 წლებში განხორციელდება დაწყებითი სამხედრო მომზადება;

გ) საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1969 წლის 16 ოქტომბრის № 591 ბრძანების შესაბამისად სასწრაფოდ მოაწესრიგონ სამხედრო ხელმძღვანელთა საინსტრუქტორო მეთოდური მეცადინეობის (კონსულტაციების) მოწყობა.

2. საშუალო სკოლების დირექტორებმა:

ა) სათანადო ყურადღება მიაქციონ დაწყებითი სამხედრო მომზადებისათვის საჭირო სასწავლო-მატერიალური ბაზის შექმნას (სამხედრო და სამხედრო ტექნიკური მომზადების კაბინეტების, იარაღების შესანახი ოთახების დროულად მოწყობას და სამხედრო ხელმძღვანელებისადმი სათანადო მეთოდური დახმარების გაწევას;

ბ) სანიმუშოდ მოაწყონ დაწყებითი სამხედრო მომზადების სასწავლო პროცესი, უმოკლეს დროში მიაღწიონ ამ საგნის სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას;

გ) გააძლიერონ მოსწავლეთა შორის სამხედრო-პატრიოტული მუშაობა, ყოველმხრივ ხელი შეუწყონ IX—X კლ. ყველა მოსწავლის მიერ „მზად ვარ სამშობლოს დასაცავად“ კომპლექსის ნორმებზე ჩაბარებას.

3. ქ. თბილისის კალინინის სახელობის რაიონის, კასპის, ადიგენის, სამტრედიის, ცხინვალისა და ჭიათურის განათლების განყოფილებებმა (ამხ. ამხ. ს. გაჩეჩილაძემ, ა. ბექანიშვილმა, ქ. ძნელაძემ, ვ. გოლოვანოვმა, გ. ცხადიაშვილმა და პ. გზირიშვილმა):

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა) გადამჭრელი ზომები მიიღონ, რათა ერთი თვის ვადაში დაამთავრონ სამხედრო კაბინეტების მოწყობა ზემოაღნიშნულ სკოლებში;

ბ) განახორციელონ ქმედითი კონტროლი დაწყებით სამხედრო სწავლებაზე და გატარებულ ღონისძიებათა შედეგები განიხილონ სახალხო განათლების საბჭოების სხდომებზე.

4. სკოლების სამმართველომ (ამხ. ა. ჩხიკვაძე) რესპუბლიკის სკოლებში სასწავლო-საღმზრდელო მუშაობის შემოწმებისას სისტემატურად შეისწავლოს დაწყებითი სამხედრო მომზადებისა და სამხედრო-პატრიოტული აღზრდის მდგომარეობა.

5. დაწყებითი სამხედრო მომზადების განყოფილებამ (ამხ. ა. ოთახელაშვილი):

ა) გულდასმით შეისწავლოს მოწინავე სკოლების მიერ დაწყებით სამხედრო მომზადებასა და სამხედრო-პატრიოტულ აღზრდაში მიღებული დადებითი გამოცდილება და ფართოდ გაავრცელოს იგი რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში;

ბ) გამოსაცემად მოამზადოს დაწყებითი სამხედრო მომზადების პროგრამით გათვალისწინებული მეთოდური დამუშავებანი, სასწავლო პლაკატები, სქემები, თვალსაჩინო მასალები და წარმოადგინოს კოლეგიაზე დასამტკიცებლად;

გ) სასწრაფოდ შეადგინოს დაწყებითი სამხედრო მომზადების გამორკვევის კითხვარი და უზრუნველყოს სასკოლო ინსპექტორები ყველა საჭირო დოკუმენტით.

6. რესპუბლიკის ზოგიერთ საშუალო სკოლაში დაწყებითი სამხედრო მომზადების შემოღებასთან დაკავშირებით ჩასატარებელ ღონისძიებათა გეგმა დამტკიცდეს (თან ერთვის).

7. მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტმა (ამხ. თ. ზახაშვილი), 1970 წლის მასწავლებელთა საკურსო ღონისძიებათა გადამზადების გეგმაში გაითვალისწინოს სამხედრო ხელმძღვანელების, სამხედრო-ტექნიკური და სანიტარული მომზადების მასწავლებელთა სასწავლო-მეთოდური შეკრებებისა და კურს-სემინარების ჩატარება.

8. მომარაგებისა და დამხმარე საწარმოთა სამმართველომ (ამხ. ს. არველაძე):

ა) ახალი სასწავლო წლისათვის უზრუნველყოს რესპუბლიკის 140 საშუალო სკოლა იარაღების შესანახი რკინის კარადებით,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რისთვისაც სათანადო განაცხადი წარუდგინოს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს;

ბ) დაწყებითი სამხედრო მომზადების განყოფილებებს გამოეყოს 300 კგ საბეჭდი ქაღალდი, სახელმძღვანელო მასალების, დებულებების, ინსტრუქციების დასაბეჭდად;

გ) სასწავლო-საწარმოო სახელოსნოს მეშვეობით სათანადო რაოდენობით დაამზადოს დსმ პროგრამითა და ტაბელით გათვალისწინებული სასწავლო პლაკატები, სქემები, თვალსაჩინო მასალები, რომელსაც გამოსაცემად მოამზადებს დაწყებითი სამხედრო მომზადების განყოფილება.

9. დაწყებითი სამხედრო მომზადების კარგი ორგანიზაციისა და ამ საქმეში მიღწეული წარმატებებისათვის გამოეცხადოს მადლობა (იხ. დანართი).

10. აღნიშნული ბრძანება განხილულ იქნეს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროების კოლეგიების, სამხრეთ ოსეთის ავტ. ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა საბჭოების სხდომებზე სამხედრო კომისარიატების, სთ შტაბებისა და ჯანმრთელობის დაცვის ორგანოების წარმომადგენელთა დასწრებით და მოხსენებითი ბარათი გატარებულ ღონისძიებათა შესახებ წარმოდგენილ იქნეს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროში ა/წლის 15 მაისამდე.

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1970 წლის 10 მარტის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. **ლაშქარაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

რესპუბლიკის ზოგიერთ საშუალო სკოლაში დაწყებითი
სამხედრო მომზადების შემოღებასთან დაკავშირებით
ჩასატარებელ ღონისძიებათა გეგმა 1970 წლისათვის

| № | ღონისძიებათა დასახელება | შესრულების ვადა | შემსრულებელი |
|---|---|---|---|
| 1 | უფროსი კლ. მოსწავლეებთან სსრ კავშირის კანონის „საყოველთაო სამხედრო ვალდებულების შესახებ“ საუბრების ჩატარება | 15 სექტემბრამდე | განათ. განყ-ბა, სამხედრო კომისარიატი |
| 2 | სამხედრო ხელმძღვანელის თანამდებობაზე სათანადო კანდიდატების შერჩევა | 10 მაისამდე | „ |
| 3 | სანიტარულ რაზმელთა მომზადების კვალიფიციური ექიმ-მასწავლებლების შერჩევა | 15 აგვისტომდე | გან. განყ-ბა, ჯანმრთ. დაცვის განყ-ბა |
| 4 | სამხედრო კაბინეტებისა და იარაღების შესანახი ოთახების მოწყობა მოქმედი ინსტრუქციის შესაბამისად | | გან. განყ. სკოლის დირექტორი და სამხედრო ხელმძღვანელი |
| 5 | დაწყებითი სამხედრო მომზადების პროგრამის, დებულების, საორგანიზაციო-მეთოდური რეკომენდაციების, სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბრძანებებისა და სახელმძღვანელო მასალების გაცნობა-შესწავლა | 10 აგვისტომდე | „ |
| 6 | სამხედრო ნაწილებთან (სასწავლებლებთან) საშეფო კავშირის დამყარება სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის 1968 წლის № 159 ბრძანების საფუძველზე | 20 აგვისტომდე | გან. განყ-ბა, სამხედრო კომისარიატი |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| 1 | 2 | 3 | 4 |
|---|---|---|---|
| 7 | № 1 ტაბელით გათვალისწინებული სასწავლო-სამხედრო იარაღებისა და მკ ვაზნების მიღების ორგანიზაცია | 1-ლ სექტემბრამდე | გან. განყ-ბა, სამხედრო კომისარიატი |
| 8 | დაწყებითი სამხედრო მომზადების საფუძველისა და იარაღის შესწავლაში წრეების ჩამოყალიბება | 10 სექტემბრამდე | სამხედრო ხელმძღვანელი, ორგანიზატორი |
| 9 | დაწყებითი სამხედრო მომზადების შემოღებასთან დაკავშირებით ბრძანების გამოცემა (ბრძანებაში აღინიშნება, რომელ კლასებში შემოდის დსმ და ის მოსწავლეები, რომლებიც დაინიშნებიან ათეულებისა და სასწავლო კლასების მეთაურებად) | 5/IX-მდე | სკოლის დირექტორი, სამხედრო ხელმძღვანელი |
| 10 | ადგილობრივ სამხედრო კომისარიატთან, სთ შტაბთან, დოსააფისა და წითელი ჯვრის კომიტეტთან საქმიანი კონტაქტის დამყარება | „ | გან. განყ-ბა, სკოლის დირექტორი, სამხედრო ხელმძღვანელი, ორგანიზატორი |
| 11 | სკოლასთან სამხედრო დიდების მუზეუმის, ოთახის, კუთხის, ობელისკის, მემორიალური დაფის მოწყობა | I/IX-მდე | „ |
| 12 | სკოლის სპორტული მოედნის სათანადოდ მოწყობა სამწყობრო მომზადებაში მეცადინეობის ჩასატარებლად | „ | სკოლის დირექტორი, ფიზკულტურის მასწავლებელი, სამხედრო ხელმძღვანელი |

დაწყებითი სამხედრო მომზადების
განყოფილების უფროსი **ალ. ორახელაშვილი**

დ ა ნ ა რ თ ი
საქართველოს სსრ განათლების
სამინისტროს 1970 წლის
18 მარტის № 148
ბრძანებისა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## ს ი ა

### სახალხო განათლების მუშაკებისა, რომლებსაც გამოეცხადათ მადლობა

— ამხ. ვ. წულუკიძეს, აჭარის ასსრ განათლების მინისტრს;

— ამხ. ი. გენძეხაძეს, ქუთაისის განათლების განყოფილების გამგეს;

— ამხ. ა. ნადაშვილს, თელავის რაიონის განათლების განყოფილების გამგეს;

— ამხ. მ. ჩიქოვანს, ზესტაფონის რაიონის განათლების განყოფილების გამგეს;

— ამხ. ვ. იანოვსკაიას, თბილისის 37-ე საშ. სკოლის დირექტორს და ამავე სკოლის სამხედრო ხელმძღვანელს ამხ. ვ. პარავიანს;

— ამხ. ი. გიორგაძეს, თბილისის 88-ე საშ. სკოლის დირექტორს და ამავე სკოლის სამხედრო ხელმძღვანელს ამხ. შ. სიხარულიძეს;

— ამხ. ვ. მეხუზლას, გორის მე-6 საშ. სკოლის დირექტორს;

— ამხ. მ. ფიფიას, წალენჯიხის საშ. სკოლის დირექტორს და ამავე სკოლის სამხედრო ხელმძღვანელს ამხ. მ. შელიას;

— ამხ. ვ. იმერლიშვილს, მცხეთის საშ. სკოლის სამხედრო ხელმძღვანელს;

— ამხ. ნ. გუგულაშვილს, კასპის 1-ლი საშ. სკოლის სამხედრო ხელმძღვანელს;

ამხ. ა. გვაზავას, ქუთაისის 32-ე საშ. სკოლის დირექტორს და ამავე სკოლის სამხედრო ხელმძღვანელს ამხ. ი. აბრამიძეს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1970 წ. 18 მარტის ბრძანება № 65/147

**რესპუბლიკის იმ ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლებში, სადაც 1970 წლის 1 სექტემბრიდან შემოღებული იქნება დაწყებითი სამხედრო მომზადება სამხედრო კაბინეტებისა და სამხედრო-სასწავლო იარაღების შესანახი ოთახების მოწყობის შესახებ**

1. მოსწავლე ახალგაზრდობის დაწყებითი სამხედრო მომზადების დებულებით გათვალისწინებულ მოთხოვნათა შესრულების მიზნით ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ თ:

2. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის,რაიონების (ქალაქების) განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) საშუალო სკოლების კაპიტალური და მიმდინარე რემონტების ჩატარებისას პირველ რიგში გაითვალისწინონ სამხედრო კაბინეტების და სამხედრო სასწავლო იარაღების შესანახი ოთახების მოწყობა;

ბ) სამხედრო კაბინეტების მოსაწყობად გამოყონ ფართობი არანაკლებ 50—60 კვ. მეტრისა და სათანადოდ მოაწყონ და აღჭურვონ ისინი, ხოლო სამხედრო-სასწავლო იარაღების შესანახი ოთახისათვის გამოყონ 10—15 კვ. მეტრის ფართობი;

გ) სამხედრო კაბინეტები მოაწყონ სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროსა და სსრ კავშირის განათლების სამინისტროს სარეკომენდაციო დებულების მიხედვით, ხოლო იარაღების შესანახი ოთახი მოეწყოს იარაღების მოვლა-შენახვის შესახებ მოქმედი ინსტრუქციის შესაბამისად: ამასთან გათვალისწინებულ იქნეს ის ცვლილებები და დამატებები, რომლებიც ინსტრუქციაში იქნა შეტანილი სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს მიერ 1969 წლის 27 ნოემბერს;

დ) სასწავლო იარაღების შესანახი ოთახი იზოლირებული უნდა იყოს სხვა ოთახებისაგან, მას უნდა ჰქონდეს კაპიტალური კედლები, მაგარი კონსტრუქციის იატაკი, ჭერი და კარ-ფანჯრები, ოთახში უნდა დაიდგას იარაღების შესანახი რკინის კარადა, პირამიდა, თაროები და იარაღების გასაწმენდი მაგიდა. ოთახის კარები საგანგებოდ უნდა იქნეს გაკეთებული რკინის ან მაგარი ჯიშის ხის კონსტრუქციისაგან, რომელსაც გარედან გადაკრული ექნება ლითონის ფურცელი და საიმედოდ დაიკეტება. ფანჯრებს გაკეთებული უნდა ჰქონდეს რკინის გისოსები და მასზე მიმაგრებული უნდა იქნეს რკინის ბადურა. რომლის განივი კვეთი არ უნდა აღემატებოდეს 8—10 მმ.

ე) იარაღების მოვლასა და შენახვაზე პერსონალურად პასუხისმგებელი გახადონ სკოლების დირექტორები, ხოლო უშუალო პასუხისმგებლობა დააკისრონ სამხედრო ხელმძღვანელებს, რისთვისაც შემოიღონ სასწავლო იარაღების შესანახი ოთახის მიღება-გადაბარების დადგენილი წესები.

ვ) 1970 წლის 15 აგვისტომდე შეამოწმონ სკოლებთან სამხედრო კაბინეტებისა და სამხედრო სასწავლო იარაღების შესანახი ოთახების მოწყობის მდგომარეობა და შემოწმების შედეგები განიხილონ კოლეგიების, სახალხო განათლების საბჭოებისა და საჭირო შემთხვევაში ალმასკომების სხდომებზე;

2. საშუალო სკოლების დირექტორებმა:

ა) გაატარონ ქმედითი ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ სამხედრო-სასწავლო იარაღების იმგვარად მოვლასა და შენახვას, რითაც გამორიცხული იქნება იარაღების დაზიანების, დაკარგვისა და გატაცების ყოველგვარი შესაძლებლობა;

ბ) სამხედრო-სასწავლო იარაღების შესანახი ოთახების მიღება-ჩაბარება ბრძანებით დაავალონ სკოლის დარაჯებს (ოთახი უნდა იკეტებოდეს რამდენიმე საკეტით, იბეჭდებოდეს ლუქით, ან პლომბით, უზრუნველყოფილ იქნეს საიმედო დაცვით) და სისტემატური კონტროლი დააწესონ მათ მუშაობაზე.

3. ეთხოვოს საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სკოლებზე არ გასცენ სამხედრო-სასწავლო-იარაღების შენახვის ნებართვა, ვიდრე იარაღის შენახვის საქმე სათანადოდ არ იქნება მოწესრიგებული და უზრუნველყოფილი საიმედო დაცვით.

4. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და საქართველოს სამხედრო კომისარიატის სათანადო განყოფილებებმა (ამხ. ამხ. მ. კინწურაშვილი და ალ. ორახელაშვილი) ქმედითი კონტროლი დააწესონ ამ ბრძანების შესრულებაზე და შემოწმების შედეგები პერიოდულად მოგვახსენონ.

ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების
მ ი ნ ი ს ტ რ ი
თ. ლაშქარაშვილი

საქართველოს სსრ სამხედრო
კომისარი გენერალ-მაიორი
ვ. მურუსიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლებისა და საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროების 1970 წლის 27 მარტის ბრძანება № 155/134

### საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს სისტემაში მყოფ სკოლამდელ დაწესებულებათა მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ

მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს სისტემაში მუშაობს 28 სკოლამდელი დაწესებულება 3426 ბავშვით. აქედან შემოწმებულ იქნა 16—ქ. ქ. თბილისში, ბათუმში, ქუთაისსა და გორში.

შემოწმებით დადგინდა, რომ სკოლამდელ დაწესებულებათა უმრავლესობაში დამაკმაყოფილებლად არის დაყენებული სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა და გაუმჯობესებულია მათი მატერიალური ბაზა; წლითიწლობით იზრდება სკოლამდელ დაწესებულებათა ქსელი, 1966 წლიდან დღემდე აშენდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა 11 ახალი ტიპიური შენობა. მათ შორის ორი—არაცენტრალიზებული სახსრებით.

საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს კოლეგია სისტემატურად იხილავს საკითხებს სკოლამდელ დაწესებულებათა მუშაობის შესახებ; ტარდება სკოლამდელ მუშაკთა თათბირ-სემინარები, პედაგოგიური კითხვა, ღია მეცადინეობები და სხვ. მჭიდრო კონტაქტია დამყარებული განათლების სისტემის სკოლამდელ დაწესებულებებთან.

სკოლამდელი დაწესებულებები ძირითადად უზრუნველყოფილია შესაფერისი პედაგოგიური კადრით, გამგეების უმრავლესობა უნარიანად ხელმძღვანელობს პედაგოგიურ-აღმზრდელობით მუშაობას; ჯგუფები დაკომპლექტებულია ბავშვთა ასაკისა და სალაპარაკო ენის მიხედვით; მოწესრიგებულია საბავშვო ბაღების დოკუმენტაცია, ბავშვების პირადი საქმეები, ბავშვთა გამოცხადების აღრიცხვის ჟურნალები და სხვ. ჯგუფები უზრუნველყოფილია

სასწავლო ნივთებით, დიდაქტიკური მასალით, სათამაშოებით. გარკვეული მუშაობა ტარდება მშობლებთან (ქ. თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის № 8, კამვოლური კომბინატის № 6, № 1 სამკერვალო ფაბრიკის № 7, ქ. ქუთაისის აბრეშუმკომბინატის და მაუდის ფაბრიკის, ქ. გორის ბამბეულის კომბინატის № 1 და № 2 საბავშვო ბაღები. ქ. თბილისის № 7 სამკერვალო ფაბრიკის № 52 ბაგა ბაღი—გამგეები ა. კანდელაკი, თ. ლომიძე, ა. რამიშვილი, ო. ჭილესაშვილი, ზ. უგულავა, თ. ჯაფარიძე, დ. კაპანაძე, ნ. თოფურიძე).

აღსაზრდელების უმრავლესობა დაუფლებულია პედაგოგიურ-აღმზრდელობითი მუშაობის მეთოდებსა და ხერხებს, სწორად წარმართავს დილით ბავშვების მიღებას, თამაშს, მეცადინეობებს, ექსკურსიებს. დიდი ყურადღება ექცევა ბავშვებთან ინდივიდუალურ მუშაობას ბგერების სწორად წარმოთქმის, მწყობრი მეტყველებისა და მათემატიკურ წარმოდგენათა განვითარებისითვის. სამუშაო გეგმები შედგენილია „აღზრდის პროგრამის“ მოთხოვნების შესაბამისად. მოწყობილია ცოცხალი და ბუნების კუთხეები, სადაც ბავშვები აწარმოებენ დაკვირვებას ცოცხალი ობიექტების, ბოსტნეულის, ჯეჯილის, გაზაფხულის პირველი ყვავილების ზრდასა და განვითარებაზე (ქ. თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის № 8, № 1 სამკერვალო ფაბრიკის № 7, მაუდ-კამვოლური კომბინატის № 6, ხელოვნური ბოჭკოს დართვის № 99, სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის № 78, № 6 სამკერვალო ფაბრიკის № 29, № 7 სამკერვალო ფაბრიკის № 52, ქუთაისის აბრეშუმკომბინატის და მაუდის ფაბრიკის, ქ. გორის ბამბეულის კომბინიტის № 1 და № 2 საბავშვო ბაღების აღმზრდელები ნ. საყვარელიძე, მ. ლეჟავა, მ. გომელაური, ნ. ჯაველიძე, ნ. ჭიპაშვილი, ე. ხუბულავა, შ. სარქისოვა, ე. მერმანიშვილი, ნ. ნიკოლაიშვილი, ფ. დიდებულიძე, ნ. ნადარეიშვილი, ც. ლაითაძე, ე. მოგელაძე, ნ. კალმახელიძე, გ. კენჭოშვილი, მ. ქელეხსაია, ნ. აკოფოვა).

სათანადო ყურადღება ექცევა ბავშვებში უფროსებისადმი თავაზიან და თანატოლებისადმი მეგობრულ დამოკიდებულების აღზრდას, შენობებისა და საალმზრდელო ჯგუფების ესთეტიკურად გაფორმებას, სისუფთავის დაცვას, ბავშვების, პედაგოგიური და ტექნიკური პერსონალის ჩაცმულობის მოწესრიგებას.

შემოწმებული საბავშვო ბაღების ბევრი აღმზრდელი ორგანიზებულად და მეთოდურად სწორად ატარებს მეცადინეობებს.

საინტერესოდ წარმართავენ მუშაობას მშობლიურ ენაში აღმზრდელები ნ. საყვარელიძე და ნ. ჯაველიძე (ქ. თბილისის აბრეშუმ-საქსოვი ფაბრიკის № 8, № 1 სამკერვალო ფაბრიკის № 7 საბავშვო ბაღები); თვლა-ანგარიშში—ნ. ჭიპაშვილი და ნ. ლეჟავა (ქ. თბილისის მაუდ-კამვოლური კომბინატის № 6, აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის № 8 საბავშვო ბაღები); ხატვაში—ფ. დიდებულიძე, ნ. ჭიპაშვილი და მ. კალმახელიძე (ქ. თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის № 78, მაუდ-კამვოლური კომბინატის № 6, ქ. ქუთაისის მაუდის ფაბრიკის საბავშვო ბაღები); მუსიკალურ აღზრდაში—ლ. გრიგოლია, ქ. ანდრონიკაშვილი, ქ. დგებუაძე, ჟ. მარგველაშვილი (ქ. თბილისის № 7 სამკერვალო ფაბრიკის № 52 ბაგა-ბაღი, აბრეშუმ-საქსოვი ფაბრიკის № 8, № 1 სამკერვალო ფაბრიკის № 7, ქ. ქუთაისის აბრეშუმის კომბინატის საბავშვო ბაღები); ფიზიკურ აღზრდაში—ნ. ლობჟანიძე (ქ. გორის ბამბეულის კომბინატის № 1 საბავშვო ბაღი) და სხვანი.

დამაკმაყოფილებლად არის დაყენებული ბავშვთა კვების საქმე. ბავშვებს ეძლევათ მრავალფეროვანი კერძები, მენიუ-მოთხოვნილების ფურცლები დანომრილი, დალუქული და დამტკიცებულია წარმოებათა ხელმძღვანელობის მიერ. საწყობებში და სამზარეულოებში სისუფთავეა.

ასეთი შედეგები განპირობებულია იმითაც, რომ სამინისტროს აპარატში სკოლამდელ დაწესებულებათა მუშაობაზე ხელმძღვანელობისათვის გამოყენებულია ერთი საშტატო ერთეული.

მიუხედავად ამისა, საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს უწყების ზოგიერთი სკოლამდელი დაწესებულების მუშაობაში შეინიშნება სერიოზული ნაკლოვანებანი.

ქ. თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის № 78 საბავშვო ბაღში არ ტარდება ღია მეცადინეობები; ამ საბავშვო ბაღის აღმზრდელი ლ. ოქრუაშვილი ვერ ფლობს თვლა-ანგარიშში მეცადინეობის ჩატარების ხერხებსა და მეთოდებს, იგი ვერ ახერხებს მეცადინეობაში ყველა ბავშვის ჩაბმას, არ ცდილობს მათ გამოუმუშაოს დამოუკიდებელი აზროვნების ჩვევები. ზოგიერთი აღმზრდელის გეგმა მოკლებულია კონკრეტულობას (ი. ბოკერია, ა. ჯინჯიხაშვილი, რ. გურწიშვილი, ნ. ბათიაშვილი), არ ჩანს თანმიმდევრობა პროგრამის ათვისების მხრივ.

მეორე ცვლის აღმზრდელები მიზნობრივად და სრულყოფილად არ იყენებენ სამუშაო საათებს, არ უთანხმებენ მუშაობას

დილის ცვლის ალმზრდელებს (ქ. ჯავახაძე—ქ. თბილისის № 6 სამკერვალო ფაბრიკის № 29 საბავშვო ბაღის ალმზრდელ[illegible] საბავშვო ბაღში ალმზრდელები მ. მაჭარაძე, მ. როინიშვილი მშობლიურ ენაში ბავშვებს აწვდიან ასაკისათვის შეუფერებელ ლიტერატურულ მასალას. ამ საბავშვო ბაღის გამგე ჯეროვან ყურადღებას არ აქცევს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სადირექტივო მასალების, მეთოდური მითითებებისა და დებულებების თითოეული მუშაკისათვის გაცნობას და მუშაობაში მათი გამოყენების საქმეზე ზედამხედველობას.

ქ. თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო ფაბრიკის № 78 საბავშვო ბაღში (ალმზრდელი ფ. დიდებულიძე) საალმზრდელო ჯგუფში ჭერზე მიმაგრებულია საახალწლო ზეიმიდან შემორჩენილი ქაღალდის ფიფქები, ჯგუფები გადატვირთულია ძველი კარადებით, ყვავილები თუნუქის ყუთებშია. № 6 სამკერვალო ფაბრიკის № 29 საბავშვო ბაღში (ალმზრდელები მ. მაჭარაძე და ნ. ნადარეიშვილი) ჯგუფის კედლები გადატვირთულია ასაკისათვის შეუფერებელი სურათებით, თვლა-ანგარიშისა და მშობლიური ენისათვის განკუთვნილი თვალსაჩინო მასალით.

საბავშვო ბაღების უმრავლესობასთან შექმნილ ღამის ჯგუფებში სამუშაოს დამთავრების შემდეგ ბავშვები იკრიბებიან საბავშვო ბაღის ყველა ჯგუფიდან, რაც სამედიცინო და პედაგოგიურ-ალმზრდელობითი თვალსაზრისით დაუშვებელია.

ადგილი აქვს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 16 ნოემბრის № 669 დადგენილების იმ ნაწილის შეუსრულებლობას, რომლითაც აკრძალულია სხვა უწყების სკოლამდელ დაწესებულებათა კადრების დანიშვნა განათლების ორგანოებთან შეთანხმების გარეშე. ასე, მაგალითად, ქ. თბილისის № 6 სამკერვალო ფაბრიკის № 29, № 7 სამკერვალო ფაბრიკის № 85 საბავშვო ბაღების ალმზრდელებად, განათლების განყოფილების თანხმობის გარეშე, დაინიშნენ ლ. რომანიშვილი, ნ. რჩეულიშვილი, რომელთაც საშუალო ან შეუფერებელი უმაღლესი განათლება აქვთ, ხოლო ქ. თბილისის ლენინის რაიონის კამვოლური ძაფსართავი ფაბრიკის ბაგა-ბაღის გამგედ ადგილობრივი პარტიული ორგანოებისა და განათლების განყოფილების თანხმობის გარეშე დაინიშნა პირი, რომელიც სრულებით არ იცნობს სკოლამდელი აღზრდის საქმიანობას (მას დამთავრებული აქვს უცხო ენათა ინსტიტუტი).

ზოგიერთი წარმოება სათანადო ყურადღებას არ აქცევს ბავ-შვების აღზრდისათვის ნორმალური პირობების შექმნას, დროულად და ხარისხიანად არ ტარდება კაპიტალური და მიმდინარე რემონ-ტები (ქ. გორის ბამბეულის კომბინატის № 1 და №. 2, ბათუმის № 5 სამკერვალო ფაბრიკის № 20 საბავშვო ბაღები), ქ. თბილი-სის № 1 სამკერვალო ფაბრიკის № 7 და საქტრიკოტაჟის № 93 საბავშვო ბაღების შენობებში შესახლებულია კერძო მობინადრეები, რომელთა გასახლების საქმე დღემდე მოუგვარებელია.

საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს სა-კონსტრუქტორო-საპროექტო ბიურო აწარმოებს სკოლამდელ და-წესებულებათა ძველი შენობების რეკონსტრუქციისა და მათი ეზო-ების კეთილმოწყობის დაპროექტებას. მაგრამ შემოწმებული ზო-გიერთი საბავშვო ბაღის ეზოების უმრავლესობა მაინც არ არის გამწვანებული, ფიზიკური აღზრდის იარაღებით და სათამაშო-დანადგარებით უზრუნველყოფილი. სკოლამდელი დაწესებულებები განიცდიან სიძნელეს მაგარი ინვენტარით, სასწავლო ნივთებითა და სათამაშოებით უზრუნველყოფის მხრივ. ამ სამინისტროს სკო-ლამდელი დაწესებულებებისათვის არ აქვს გამოყოფილი მაგარი ინვენტარის ფონდი. მიუხედავად ამისა, იგი განათლების სამინი-სტროს ახლადმშენებარე სკოლამდელი დაწესებულებებისათვის არ უდგენს განაცხადს მაგარი ინვენტარის გამოყოფის შესახებ.

სსრკ განათლების სამინისტროს 1969 წლის 12 სექტემბრის № 24 გადაწყვეტილების შესასრულებლად და სკოლამდელ დაწე-სებულებათა მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ თ

1. საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს სისტემის სკოლამდელ დაწესებულებათა გამგეებმა:

ა) მიიღონ ყველა ზომა, რათა მოკლე დროში გარდაქმნან სკოლამდელ დაწესებულებათა მუშაობა განათლებისა და მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს მიერ მიღებული დირექტივების საფუ-ძველზე;

ბ) დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი პედაგოგიურ-აღმზრდელობითი მუშაობის სათანადო სიმაღლეზე დასაყენებლად, შეუქმნან აღმზრდელებს პირობები, რათა თითოეული მათგანი მეცადინეობას ატარებდეს მაღალ პედაგოგიურ დონეზე. ბავშვე-ბისათვის გასაგებად და საინტერესოდ;

გ) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ბავშვთა ფიზიკურ, ესთეტიკურ აღზრდას, შესაფერისად მოაწყონ ჯგუფის ოთახები, მოაწესრიგონ სანიტარულ-ჰიგიენური პირობები;

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ) ჯეროვანი ყურადღება მიაქციონ ბავშვებში დამოუკიდებლად აზროვნების, დაკვირვების და აქტიური აღქმის უნარის გამომუშავებას;

ე) მჭიდრო კონტაქტი დაამყარონ განათლებისა და სხვა უწყების სკოლამდელ დაწესებულებებთან.

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ო, რაიონის (ქალაქის) განათლების განყოფილებებმა:

ა) სათანადო ხელმძღვანელობა და დახმარება გაუწიონ ყველა უწყების სკოლამდელ დაწესებულებებს, რისთვისაც სისტემატურად შეისწავლონ მათი საქმიანობა და დასახონ კონკრეტული ღონისძიებები მუშაობის გასაუმჯობესებლად;

ბ) განათლების სამინისტროს სადირექტივო, მეთოდური ლიტერატურა და სხვა დოკუმენტები დროულად გააცნონ თითოეულ სკოლამდელ დაწესებულებასა და მუშაკს;

გ) სხვა უწყებების სკოლამდელი მუშაკები ჩააბან განათლების სამინისტროს სკოლამდელ მუშაკთა მეთოდგაერთიანებებში და მონაწილეობა მიაღებინონ მათ სხვადასხვა ღონისძიებაში;

დ) არ დაუშვან, როგორც თავიანთი, ასევე სხვა სისტემის სკოლამდელ დაწესებულებებში შეუფერებელი კადრის შერჩევა-დანიშვნა;

3. საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის საწარმოთა დირექტორებმა:

ა) სათანადო დახმარება გაუწიონ თავიანთ სისტემაში შემავალ სკოლამდელ დაწესებულებებს მატერიალური ბაზის განმტკიცების, კაპიტალური და მიმდინარე რემონტების ჩატარების, ინვენტარით უზრუნველყოფისა და ეზოების კეთილმოწყობის საქმეში;

ბ) განუხრელად შეასრულონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 16 ნოემბრის № 669 დადგენილების ის მუხლი, რომლითაც აკრძალულია სხვადასხვა უწყების სკოლამდელ დაწესებულებებში ხელმძღვანელი კადრისა და პედაგოგიური პერსონა-

ლის ადგილობრივი განათლების ორგანოების თანხმობის გარეშე დანიშვნა;

გ) სკოლამდელ დაწესებულებებში აკრძალონ დღის ბოლოს სხვადასხვა ჯგუფიდან იმ ბავშვების შეკრება, რომლებიც საჭიროებენ სადღეღამისო მომსახურებას. ჯგუფები დააკომპლექტონ იმდაგვარად, რომ ბავშვები აქ იმყოფებოდნენ დღეღამის განმავლობაში ერთი და იგივე პედაგოგიური და ტექნიკური პერსონალის მეთვალყურეობის ქვეშ.

4. პედაგოგიურ-აღმზრდელობითი მუშაობის არადამაკმაყოფილებლად დაყენების, ეზოების კეთილმოუწყობლობის და კვების ბლოკზე არასათანადო კონტროლისათვის ქ. თბილისის სართავსიტრიკოტაჟო კომბინატის № 78 და მეექვსე სამკერვალო ფაბრიკის № 29 საბავშვო ბაღების გამგეებს გ. პეტროსოვას და თ. ურუშაძეს მიეთითოთ.

5. საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს საკონსტრუქტორო-საპროექტო ბიურომ (ამხ. ე. ცაგარეიშვილი) მიმდინარე წელს უზრუნველყოს გორის ბამბეულის კომბინატის სანატორიული, თბილისის № 1 ფეხსაცმელების ფაბრიკა „ისანის“, ქუთაისის № 1 საძკერვალო გაერთიანების ბაგა-ბაღების, ბათუმის № 5 სამკერვალო ფაბრიკის საბავშვო ბაღების შენობებისა და ეზოების კეთილმოწყობის პროექტების დამზადება.

6. მსუბუქი მრეწველობის სამინისტრომ ყოველწლიურად წარმოადგინოს განათლების სამინისტროს მომარაგებისა და დამხმარე წარმოებათა სამმართველოს ახლადმშენებარე სკოლამდელი დაწესებულებებისათვის მაგარი ინვენტარის გამოყოფის შესახებ განაცხადი, ხოლო აღნიშნულმა სამინისტრომ შეძლებისდაგვარად დააკმაყოფილოს მისი მოთხოვნა.

7. განათლების განყოფილებათა გამგეებმა და წარმოების ხელმძღვანელებმა აღნიშნული ბრძანება განიხილონ სკოლამდელ მუშაკთა თათბირებზე და გაატარონ სათანადო ღონისძიებები.

8. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლამდელი აღზრდის განყოფილებამ და მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს ინჟინერ-მეთოდისტმა სკოლამდელი აღზრდის დარგში (ამხ. გ. აბდუშელიშვილი და მ. ინანეიშვილი) მტკიცე კონტროლი დააწესონ ამ ბრძანების შესრულებაზე.

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლებისა და საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროების 1970 წლის 27 მარტის კოლეგიების ერთობლივი დადგენილება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრის მოადგილე
**უშ. ობოლაძე**

საქართველოს სსრ მსუბუქი
მრეწველობის მინისტრი
**მ. ჩხეიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1970 წ. 1 აპრილის ბრძანება № 161

### საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სისტემაში საარქივო საქმის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

განათლების სამინისტროს საუწყებო არქივის საქმიანობა, განსაკუთრებით ამ ბოლო დროს, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. არქივი საცნობარო ხასიათის მასალებით უფრო სრულად და ამომწურავად აკმაყოფილებს მთხოვნელებს, საარქივო ცნობების გაცემის დაგვიანების შემთხვევებს ადგილი არა აქვს. არქივი მნიშვნელოვან დახმარებას უწევს დაინტერესებულ მეცნიერ მუშაკებს სხვადასხვა ხასიათის მასალების შეგროვებასა და დამუშავებაში და სხვ.

ამასთან აღსანიშნავია, რომ საცავის ფართობის სიმცირის გამო, არქივი დროულად ვერ იღებს სამმართველო განყოფილებებიდან დამუშავებულ საარქივო მასალებს, რის გამო, ეს მასალები წლების მანძილზე სამმართველო-განყოფილებებში ინახება.

არქივში დაცული მასალების ბევრი იარლიყი გახუნებულია, რის გამო ხშირად ძნელია მათზე გაკეთებული წარწერების ამოკითხვა, ზოგიერთ შენაკრავზე შესაფუთი ქაღალდები საგრძნობლად დაზიანებულია. დღემდე დაუმუშავებელია არქივში დაცული ყოფილი დაწყებითი და საშუალო სკოლის სამმართველოს მასალები. ასევე დაუმუშავებელია საგეგმო-საფინანსო სამმართველოს საარქივო დოკუმენტები, რომლებიც იმავე სამმართველოში ინახება.

იმის გამო, რომ ბევრ განათლების ადგილობრივი ორგანოებისა და სამინისტროებისადმი დაქვემდებარებულ სხვა დაწესებულება-ორგანიზაციებში საარქივო მასალები მოუვლელი და დაუმუშავებელია, მასწავლებლები და სხვა მუშაკები მოკლებულნი არიან სამსახურებრივ მოძრაობასთან დაკავშირებული დოკუმენტების ადგილებზე აღდგენის შესაძლებლობას.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საუწყებო არქივის გამგეს ამხ. ც. სიხარულიძეს ორი თვის ვადაში:

ა) სრულ წესრიგში მოიყვანოს ცენტრალური არქივისათვის გასაცემი მასალები და უზრუნველყოს დაუბრკოლებლად მათი ჩაბარება;

ბ) ცენტრალური არქივისათვის საარქივო დოკუმენტების გადაცემისთანავე დაუყოვნებლივ მიიღოს სამმართველო-განყოფილებებიდან დამუშავებული საარქივო მასალები;

გ) ა/წლის 1 ივლისამდე გამოუცვალოს ყველა შენაკრავს, როგორც გახუნებული იარლიყი, ისე დაზიანებული შესაფუთი ქაღალდი.

2. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისა და რაიონის (ქალაქის) განათლების განყოფილებებმა და აგრეთვე სამინისტროსადმი დაქვემდებარებულმა დაწესებულება-ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა დაუყოვნებლივ მიიღონ ზომები საარქივო მასალების დასაცავად გამოსადეგი სადგომების შერჩევისათვის, საუწყებო არქივებში საქმის დაყენების გაუმჯობესებისა და არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის.

3. სამინისტროს სამმართველო-განყოფილებებმა, რაიონისა და ქალაქის სახალხო განათლების განყოფილებებმა, სამინისტროსადმი დაქვემდებარებულმა სკოლებმა და სხვა დაწესებულებებმა:

ა) 1970 წლის საქმეების ნომენკლატურაში ცალკე გამოყონ ვ. ი. ლენინის დაბადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო ღონისძიებათა დოკუმენტური მასალები;

ბ) გააძლიერონ მომთხოვნელობა საქმის წარმოების საქმისადმი, სისტემატურად განახორციელონ საჭირო ღონისძიებანი ამ საქმის გაუმჯობესებისათვის; ამასთან აამაღლონ საქმის წარმოების კულტურა და გაზარდონ შრომის ნაყოფიერების დონე; მიიღონ ზომები კანცელარიის მუშაკთა სამსახურებრივი კვალიფიკაციის ასამაღლებლად.

4. განათლების სამინისტროს სახალხო განათლების მუზეუმმა (ამხ. გ. გაბისონია) მიმდინარე წლის დამლევამდე დააზუსტოს პოლიტიკურ და საზოგადო მოღვაწეთა, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეთა ძველი ხელნაწერების, სიგელ-გუჯრების, პირადი

არქივების, დაწესებულება-ორგანიზაციათა საარქივო ფონდების, აგრეთვე ნეგატივებისა და ფოტოდოკუმენტების ნუსხა და 1971 წლის 1 კვარტალში, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 26 თებერვლის № 88 დადგენილების შესაბამისად, გადასცეს საქართველოს სსრ ლიტერატურისა და ხელოვნების ცენტრალურ სახელმწიფო არქივს მუდმივ შესანახად.

5. საგეგმო-საფინანსო სამმართველომ და მთავარმა ბუხჰალტერმა ამხ. დ. ყარაშვილმა სამი თვის ვადაში გამონახონ საჭირო თანხები, ხოლო საგეგმო-საფინანსო სამმართველომ და არქივის გამგემ უზრუნველყონ სამმართველოსა და არქივში შენახული დაუმუშავებელი საარქივო მასალების დამუშავება არსებული წესის შესაბამისად.

6. ადმინისტრაციულ-სამეურნეო განყოფილებამ (ამხ. ვ. კეშელავა) თვალყური ადევნოს ამ ბრძანების შესრულებას.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1970 წ. 9 აპრილის ბრძანება № 190

### ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი მე-9 რესპუბლიკური კონკურსის—„ნორჩ ნატურალისტთა დახმარება სკოლას“ შედეგებისა და მე-10 რესპუბლიკური კონკურსის ჩატარების ღონისძიებათა შესახებ

მე-9 რესპუბლიკური კონკურსის—„ნორჩ ნატურალისტთა დახმარება სკოლას“ ჩატარებამ დიდად შეუწყო ხელი სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგის შესწავლით დაინტერესებული მოსწავლეების გამოვლინებას.

ზოგიერთმა სკოლამ და სკოლისგარეშე დაწესებულებამ საიუბილეო კონკურსისათვის მზადების პერიოდში გააუმჯობესა ნორჩ ნატურალისტთა შორის მუშაობა. გაუმჯობესდა სკოლებსა და სკოლისგარეშე დაწესებულებებში ცდა-დაკვირვებების ჩატარებისა და სასკოლო მიწის ნაკვეთებზე მოწინავე აგროტექნიკის გამოყენების მეთოდიკა.

კონკურსში მონაწილეობა მიიღო 42 ქალაქისა და რაიონის 348 სკოლისა და სკოლისგარეშე დაწესებულების 236 ნორჩ ნატურალისტთა წრემ და 11523 ნორჩმა ნატურალისტმა, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ნორჩ ნატურალისტთა რესპუბლიკურმა სადგურმა (დირ. ირ. ბაქრაძე), აჭარის ასსრ ნორჩ ნატურალისტთა სადგურმა (დირ. ა. მიქელაძე), სამხრეთ ოსეთის ა/ო ნორჩ ნატურალისტთა საოლქო სადგურმა (დირ. მ. თედეევი), აფხაზეთის ასსრ ნორჩ ნატურალისტთა სადგურმა (დირ. ნ. ქუთელია), ქუთაისის ნორჩ ნატურალისტთა საოლქო სადგურმა (დირ. შ. ნიკოლაიშვილი). კონკურსის შემაჯამებელ რესპუბლიკურ გამოფენაზე წარმოდგენილი იყო მოსწავლეთა 13034 ნამუშევარი.

რესპუბლიკურ კონკურსში სკოლებისა და მოსწავლეთა მა-სობრივად ჩაბმისა და კონკურსის ორგანიზებულად ჩატარებისა-თვის კარგი მუშაობა ჩაატარეს: ამბროლაურის, ასპინძის, ახალქალაქის, დუშეთის, ზუგდიდის, ქარელის, კასპის, ლაგოდეხის, ლანჩხუთის, მაიაკოვსკის, ონის, საგარეჯოს, სამტრედიის, თელავისა და წალენ-ჯიხის რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებმა.

კარგი ექსპონატები წარმოადგინეს: თბილისის მე-7 (დირ. ვ. ანდღულაძე), ამბროლაურის რაიონის ჭრებალოს (დირ. ა. ფრუიძე), ხოტევის (დირ. ტ. გურგენიძე), გორის რაიონის მერეთის (დირ. გ. ნარიმანიძე), კარალეთის (დირ. ნ. სიხარულიძე), ქარელის რაიონის კეხიჯვრის (დირ. ო. კაბულაშვილი), ქვემოხვედურეთის (დირ. ნ. ზურაბიშვილი), რუისის (დირ. გუდაძე), ზღუდერის (დირ. ი. მამიევი), ბებნისის (დირ. ა. სამნიაშვილი), დვანის (დირ. შ. გოგნაძე), ხეობის (დირ. ნ. შავხულაშვილი), ზემოხვედურეთის (დირ. ვ. სალუქვაძე), აბისის (დირ, გ. ოსაძე), ლანჩხუთის რაიონის ნიგოითის (დირ. გ. ჩხაიძე), ქვიანის (დირ. ვ. კეკელიშვილი), ჩოჩხათის (დირ. დ. მშვიდობაძე), საგარეჯოს 1-ლი, საგარეჯოს რაიონის გიორგიწმინდის (დირ. ნ. კევლიშვილი), თელავის რაიონის ფშაველის (დირ. გ. როსტომაშვილი), ხაშურის რაიონის ვაყის (დირ. დ. ტეფნაძე), ქვიშხეთის (დირ. გ. მაჩხაშვილი), გარდაბნის რაიონის სამგორის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის (დირ. გ. წიქარიშვილი) სკოლებმა და მახარაძის სკოლა-ინტერნატმა (დირ. უ. ჭეიშვილი).

აღსანიშნავია ტყიბულის მე-2, მე-7, ამბროლაურის რაიონის ლიხეთის, ლადიშის, ხვანჭკარის, ასპინძის საშუალო, ასპინძის რაიონის აწყვიტის, დამალას, იდუმალის, საროს, ძველის, ჭობარეთის, ახალციხის რაიონის მინაძის, ახმეტის რაიონის ზემოალვანის, გურჯაანის რაიონის ახაშენის, ჩუმლაყის, მახარაძის, დუშეთის რაიონის არღუნის, არაგვისპირის, გუდამაყრის, უბნისის, ლაგოდეხის რაიონის ნინიგორის, ცოდნის, ლანჩხუთის რაიონის გულიანის, სუფსის, საგარეჯოს რაიონის კაკაბეთის, უჯარმის, საჩხერის რაიონის არგვეთის, წულუკიძის რაიონის ქიტირის მე-2 რვაწლიანი და საშუალო სკოლების, ონის საბავშვო სახლის, ახმეტის სკოლა-ინტერნატის, აჭარის ასსრ ნორჩ ნატურალისტთა სადგურის სამკურნალო მცენარეთა, მეაბრეშუმეთა, მემინდვრეთა, თვალსაჩინო ხელსაწყოთა შემსწავლელი, ნორჩ დეკორატორთა, ნორჩ მეფუტკრეთა, სამხრეთ ოსეთის ა/ო ნორჩ ნატურალისტთა სადგური

სადგურის მეხილეთა, მევენახეთა, მებოსტნეთა, მემინდვრეთა, ზოოლოგთა, ნორჩ ნატურალისტთა რესპუბლიკური სადგურის ნორჩ მეყვავილეთა, ტექნიკურ მცენარეთა შემსწავლელთა, ნორჩ ზოოლოგთა, დაწყებითი კლასების, ნორჩ მეხილეთა, ნორჩ მებოსტნეთა, ნორჩ მეკურდღლეთა, ქუთაისის ნორჩ ნატურალისტთა საქალაქო სადგურის ნორჩ ნატურალისტთა წრეების კარგი მუშაობა.

მიუხედავად ზემოთ აღნიშნულისა, მზადებისა და ჩატარების პერიოდში ადგილი ჰქონდა ნაკლოვანებებსაც: კონკურსში რესპუბლიკის სკოლების დიდი ნაწილი მონაწილეობას არ იღებდა, წარმოდგენილ ყველა ექსპონატს არ ახლდა თან ცდისა და დაკვირვებების დღიურები, აღწერილობა, მონოგრაფიები.

კონკურსში მონაწილეობა არ მიუღიათ ადიგენის, ახალქალაქის, ბოგდანოვკის, ბოლნისის, ბორჯომის, დმანისის, ზესტაფონის, ლენტეხის, მარნეულის, მესტიის, ორჯონიკიძის, თეთრიწყაროს, წალკის, ჩხოროწყუს რაიონების სკოლებსა და სკოლისგარეშე დაწესებულებებს.

ნაკლებად იყო წარმოდგენილი აბაშის, ვანის, კასპის, მახარაძის, სამტრედიის, სიღნაღის, თიანეთის, ხობის, ცაგერის, წითელი წყაროს, წულუკიძის, ცხაკაიას, ჩოხატაურის რაიონების სკოლები და სკოლისგარეშე დაწესებულებები.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

კონკურსში „ნორჩ ნატურალისტთა დახმარება სკოლას“ წარმატებით მონაწილეობისათვის დაჯილდოვდნენ:

I—პირველი ხარისხის დიპლომით:

ა) სკოლები და სკოლისგარეშე დაწესებულებები: თბილისის მე-7, რუსთავის მე-10, ამბროლაურის რაიონის ლადიშის, ჭრებალოს, ასპინძის საშუალო, ასპინძის რაიონის აწყვერის, დამალას, იდუმალას, საროს, ჭობარეთის, ახალციხის რაიონის მინაძის, გარდაბნის რაიონის გლდანის, წავკისის, გურჯაანის საშუალო, გურჯაანის რაიონის ახაშენის, მახარაძის, ჩუმლაყის, გორის რაიონის კარალეთის, ქარელის რაიონის ქვემოხვედურეთის, ლანჩხუთის რაიონის სუფსის, ქვიანის, ჩოჩხათის, მცხეთის რაიონის წილკანის, საგარეჯოს 1-ლი, საგარეჯოს რაიონის მანავის 1-ლი, მე-2, კაკაბეთის, ყანდაურის, თელავის რაიონის ფშაველის, ხაშურის

რაიონის ვაყის, ქვიშხეთის, წალენჯიხის 1-ლი, მე-2, წალენჯიხის რაიონის ლიის, წყალტუბოს რაიონის მექვენის საშუალო და რვაწლიანი სკოლების, ახალციხის მე-2 სკოლა-ინტერნატის, მახარაძის სკოლა-ინტერნატის, ახალციხის პიონერთა სახლის, ზუგდიდის რაიონის პიონერთა სახლის, სამტრედიის პიონერთა სახლის ნორჩ ნატურალისტთა წრეები.

ბ) მოსწავლეები (სამი მანეთის ღირებულების ლიტერატურით):

1. ცაგარელი მარინა—ქალაქ ქუთაისის მე-5 საშ. სკოლა
2. ცაგარელი ნინო—ქალაქ ქუთაისის მე-5 საშ. სკოლა
3. კახიძე გივი—ასპინძის რაიონის ოშორის საშ. სკოლა
4. ბუცხრიკიძე ამირანი—ასპინძის რაიონის ოშორის საშ. სკოლა
5. ვერჯანაშვილი ავთანდილი—ასპინძის რაიონი ტოლოშის საშ. სკოლა
6. ქობლიანიძე გია—გორის რაიონი ქიწნისის საშ. სკოლა
7. ხოხაშვილი თამარი—გორის რაიონი ქიწნისის საშ. სკოლა
8. ხოხაშვილი გელა—გორის რაიონი ქიწნისის საშ. სკოლა
9. ქოქოშვილი თამარი—ქარელის რაიონი დვანის საშ. სკოლა
10. კობაძე დავით—ქარელის რაიონი დვანის საშ. სკოლა
11. ყულუმბეგაშვილი ლეილა—ქარელის რაიონი ხეობის 8 წლიანი სკოლა
12. გაბარაშვილი რინგული—ქარელის რაიონი ხეობის 8 წლიანი სკოლა
18. ხატიაშვილი თინათინ—ლაგოდეხის რაიონის შრომის 8 წლიანი სკოლა
14. დაულაშვილი ნინო—ლაგოდეხის რაიონის შრომის 8 წლიანი სკოლა
15. აფაქიძე გიორგი—ლაგოდეხის რაიონი შრომის 8 წლიანი სკოლა

გ) მასწავლებლები:

1. თაბუკაშვილი ნინო—თბილისის მე-7 საშ. სკოლა
2. თარხნიშვილი შალვა—ასპინძის საშ. სკოლა
3. გიორგაძე ავთანდილი—ვანის რაიონი კიროვის სახ. საშ. სკოლა

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. შუბლაძე ანტონ — გარდაბნის რაიონი გლდანის საშ. სკოლა

5. ჯანიაშვილი ეთერი—გარდაბნის რაიონი სამგორის საშ. სკოლა

6. კვინიხიძე თამარ — ქარელის რაიონი კეხიჯვრის საშ. სკოლა

7. ხვედელიძე თამარი—ქარელის რაიონი რუისის 1-ლი საშ. სკოლა

8. ელბაქიძე მარიამი—ქარელის რაიონი ქვემოხვედურეთის საშ. სკოლა

9. დემეტრაშვილი იოსები—ლაგოდეხის რაიონი შრომის 8 წლიანი სკოლა

10. ნიკოლაიშვილი ამბროსი—ლანჩხუთის რაიონი ნიგოითის საშ. სკოლა

11. ფირცხალაიშვილი თამარ—ლანჩხუთის რაიონის აცანის საშ. სკოლა

12. ჭყონია ეთერი—ლანჩხუთის რაიონი ჩიბათის საშ. სკოლა

13. ტიკარაძე სევერიან—ლანჩხუთის რაიონი ჩოჩხათის საშ. სკოლა

14. ლელუაშვილი ნინო—მცხეთის რაიონი წილკანის საშ. სკოლა

15. ახვერდაშვილი თამარი—საგარეჯოს რაიონი გიორგი-წმინდის 8 წლიანი სკოლა

16 გალახვარიძე სილვა—თელავის რაიონი კონდოლის საშ. სკოლა

17. ძიძიგური გრიშა—ხობის რაიონი ხეთის საშ. სკოლა

18. სამუშია ჟუჟუნა — წალენჯიხის რაიონი ლიის საშ. სკოლა

19. ნემსაძე ვლასი—წყალტუბოს რაიონი მექვენის 8 წლიანი სკოლა

20. ნიორაძე ლეონიდე—მახარაძის სკოლა-ინტერნატი

21. შიომღვდლიშვილი ვალენტინა—ახმეტის რაიონის პიონერთა სახლი

22. კვირკველია ნანული—ზუგდიდის პიონერთა სახლი

23. კარტოზია მაყვალა — ზუგდიდის რაიონის პიონერთა სახლი

24. ქანთარია მზია—ზუგდიდის რაიონის პიონერთა სახლი

25. ძნელაძე გულნარა — სამტრედიის რაიონის პიონერთა სახლი

26. ფოცხვერაშვილი ტიტიკო—ასპინძის რაიონის საბავშვო სახლი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## II—მეორე ხარისხის დიპლომით:

ა) სკოლები და სკოლისგარეშე დაწესებულებები: თბილისის 132-ე, მე-10, ტყიბულის მე-2, ახმეტის რაიონის ზემოალვანის. გარდაბნის რაიონის სამგორის, გორის რაიონის ნიქოზის, დუშეთის რაიონის გუდამაყრის, არაგვისპირის, ზუგდიდის რაიონის ჭკადუაშის, ახალსოფლის, მარაზენის, ქარელის მე-3, ქარელის რაიონის ძლევისჯვრის, კასპის რაიონის დოესის, ერთაწმინდის, ზემოხანდაკის, სასირეთის, ლაგოდეხის რაიონის ლელიანის, ნინიგორის, ლანჩხუთის რაიონის გულიანის, საგარეჯოს რაიონის გიორგიწმინდის, გომბორის, სამტრედიის 1-ლი, მე-3, საჩხერის რაიონის არგვეთის, თელავის მე-2, თელავის რაიონის წინანდლის, თიანეთის რაიონის ახალსოფლის, ხობის 1-ლი, წულუკიძის მე-2, წულუკიძის რაიონის ივანდიდის საშუალო და 8 წლიანი სკოლების, ახმეტის ზკოლა-ინტერნატის, ონის საბავშვო სახლის, ხობის პიონერთა სახლის ნორჩ ნატურალისტთა წრეები.

ბ) მოსწავლეები:

1. ტრაპაიძე თამარი—თბილისის მე-7 საშ. სკოლა
2. უშვერიძე ანტონი—ქუთაისის 1-ლი საშ. სკოლა
3. სირბილაძე რამაზი—ქუთაისის 33-ე საშ. სკოლა
4. რატიანი გურამი—ამბროლაურის რაიონის ბუგეულის საშ. სკოლა
5. გიორგაძე ნაირა—ახალციხის რაიონი ვალეს 1-ლი საშ. სკოლა
6. მჟავანაძე ციცინო—ვანის რაიონი კიროვის სახ. საშ. სკოლა
7. ახვლედიანი თამარი—ვანის რაიონი კიროვის სახ. საშ. სკოლა
8. კაკაშვილი ნანული—გარდაბნის რაიონის სამგორის საშ. სკოლა
9. ივანიშვილი მერაბი—გარდაბნის რაიონი სამგორის საშ. სკოლა

10. ჭრიკიშვილი ზაური—გარდაბნის რაიონი სამგორის საშ. სკოლა

11. სადალაშვილი ზურაბი—გორის რაიონი ქვახვრელის საშ. სკოლა

12. გოგიტიშვილი ვახტანგი—გორის რაიონი ბერშუეთის საშ. სკოლა

13. რთველიაშვილი თამაზი—გორის რაიონი მეჯვრისხევის საშ. სკოლა

14. გურგენიძე თინა—გორის რაიონი მეჯვრისხევის საშ სკოლა

15. მოლოდინი ავთანდილი—დუშეთის 1-ლი საშ. სკოლა

16. პაჭკორია თემური—ზუგდიდის რაიონი ჯუმის 8 წლიანი სკოლა

17. დარასელია თენგიზი—ზუგდიდის რაიონი ჯუმის 8 წლიანი სკოლა

18. ბუთურიშვილი ოთარი—ქარელის რაიონი კეხიჯვრის საშ. სკოლა

19. მაისურაძე მარიამი—ქარელის რაიონი ბებნისის 8 წლიანი სკოლა

20. ჯაფიაშვილი ტარიელ—ლაგოდეხის რაიონი შრომის 8 წლიანი სკოლა

21. ნარსია გალაქტიონი—ლანჩხუთის რაიონი ნიგოითის საშ. სკოლა

22. გოგუაძე კოტე—ლანჩხუთის რაიონი ნიგოითის საშ. სკოლა

23. ფირცხალაიშვილი ნინო—ლანჩხუთის რაიონი ქვიანის 8 წლიანი სკოლა

24. ფირცხალაიშვილი ოთარი—ლანჩხუთის რაიონი ქვიანის 8 წლიანი სკოლა

25. კვიჭიძე ნინო—ლანჩხუთის რაიონი აცანის საშ. სკოლა

26. თავართქილაძე ზურაბი—ლანჩხუთის რაიონი ჩოჩხათის საშ. სკოლა

27. კევლიშვილი ირაკლი—საგარეჯოს რაიონი გიორგიწმინდის 8 წლიანი სკოლა

28. სანთელაძე ნოდარი—საგარეჯოს რაიონი გიორგიწმინდის 8 წლიანი სკოლა

ეროვნული ბიბლიოთეკა

29. ხოსიტაშვილი ოთარი—საგარეჯოს რაიონი გიორგიწმინ-
ეროვნული ბიბლიოთეკა
დის 8 წლიანი სკოლა

30. გალახვარიძე ნუნუ—თელავის რაიონი კონდოლის საშ. სკოლა

31. ფეიქრიშვილი ოთარი—თელავის რაიონი კონდოლის საშ. სკოლა

32. შაქარაშვილი ნელი—თელავის რაიონი კონდოლის საშ. სკოლა

33. ნახშირაშვილი ანნა—თელავის რაიონი ფშაველის საშ. სკოლა

34. მელიქიშვილი თინა—თელავის რაიონი სანიორეს საშ. სკოლა

35. ბალიაშვილი მერაბი—ხაშურის რაიონი ვაყის საშ. სკოლა

36. მოსიაშვილი ვალერიანი—ხაშურის რაიონი ვაყის საშ. სკოლა

37, მეტრეველი მაყვალა—ხაშურის რაიონი ვაყის საშ. სკოლა

38. ამირხანოვი ნუგზარი—ხაშურის რაიონი ქვიშხეთის საშ. სკოლა

39. ხაჩიძე მარინე—ხაშურის რაიონი ქვიშხეთის საშ. სკოლა

40. კვარაცხელია მედეა—წალენჯიხის რაიონი ქვედამაზანდარის საშ. სკოლა

41. ხარამიშვილი რამინ—წალენჯიხის ჩაის საბჭოთა მეურნეობის საშ. სკოლა

42. სამუშია ნონა—წალენჯიხის რაიონი ლიის საშ. სკოლა

43. ხარჩილავა ლალი—ცხაკაიას მე-3 საშ. სკოლა

44. შეწირული ჟუჟუნა—მახარაძის სკოლა-ინტერნატი

45. ჩიგოგიძე თამაზი—მახარაძის სკოლა-ინტერნატი

46. ბელქანია რუსუდანი—ზუგდიდის პიონერთა სახლი

47. შენგელია გულნარა—სამტრედიის პიონერთა სახლი

გ) მასწავლებლები:

1. ჩხაიძე ნელი—თბილისის 132-ე საშ. სკოლა
2. ქერიმოვა ფირა—სოღანლუღის 8 წლიანი სკოლა
3. გოგუაძე ნინო—თბილისის მე-10 საშ. სკოლა
4. კიკვიძე მიტროფანე—ამბროლაურის რაიონის ჭრებალოს საშ. სკოლა

5. ჯალალანია მარიამ—გარდაბნის რაიონის გლდანის საშ. სკოლა

ეროვნული ბიბლიოთეკა

6. კობალიანი ნაზი — გარდაბნის რაიონი წავკისის საშ. სკოლა

7. გელაშვილი მიხეილი—გორის რაიონი საქაშეთის 8 წლიანი სკოლა

8. კასრაძე ელისაბედი—გორის რაიონი ნიქოზის 8 წლიანი სკოლა

9. ტლაშაძე ბაბულია—გორის რაიონი ხიდისთავის საშ. სკოლა

10. დედანაშვილი ნინო—გორის რაიონი მეღვრეკისის 8 წლიანი სკოლა

11. რთველიაშვილი გალაქტიონი—გორის რაიონი მეჯვრისხევის საშ. სკოლა

12. ფუხაშვილი ომარი—გორის რაიონი, ზემოხიდისთავის 8 წლიანი სკოლა

13. ქუქავა ეთერი—ზუგდიდის რაიონი რუხის საშ. სკოლა

14. ალბოროვი იური—ქარელის რაიონი ზღუდერის საშ. სკოლა

15. ალბორივი ვლადიმერი—ქარელის რაიონი გვერძინეთის საშ. სკოლა

16. შერმადინი ომარი—ქარელის რაიონი ხეობის 8 წლიანი სკოლა

17. რეფიაშვილი ლონდა—ლაგოდეხის რაიონი აფენის საშ. სკოლა

18. ვასაძე რუსუდანი—ლანჩხუთის რაიონი სუფსის საშ. სკოლა

19. ნოდია გოგონა—მცხეთის რაიონი ნიჩბისის საშ. სკოლა

20. კოჭლამაზაშვილი მაყვალა — საგარეჯოს 1-ლი საშ. სკოლა

21. პაპიაშვილი რომან—საგარეჯოს რაიონი გომბორის საშ. სკოლა

22. უტიაშვილი თამარ საგარეჯოს რაიონი ნინოწმინდის საშ. სკოლა

23. დარისპანაშვილი მაყვალა-საგარეჯოს რაიონი თოხლიაურის 8 წლიანი სკოლა

24. ქოქრაშვილი ნოშრევან—საგარეჯოს რაიონი ხაშმის საშ. სკოლა

25. მოსეშვილი მერი—სამტრედიის რაიონი კულაშის საშ. სკოლა

26. დათუკაშვილი ევგენი—თელავის რაიონი წინანდლის საშ. სკოლა

27. შაქარაშვილი სონია—თელავის რაიონი სანიორეს საშ. სკოლა

28. ჭუკლება თამარი—თერჯოლის რაიონი ზედასაზანოს საშ. სკოლა

29. ლომიძე მარიამ—ხაშურის რაიონი ქვიშხეთის საშ. სკოლა

30. ქავთარაძე თინა—ცხაკაიას მე-3 საშ. სკოლა

31. გურგენიძე ლონგინოზ—ახალციხის მე-2 სკოლა-ინტერნატი

32. მექვაბიშვილი დარეჯანი—ახმეტის სკოლა-ინტერნატი

33. ტაბატაძე ნორა—ახალციხის პიონერთა სახლი

34. დოლიძე შოთა—აჭარის ნორჩ ნატურალისტთა სადგური

35. ადამია არკადი—ქუთაისის ნორჩ ნატურალისტთა სადგური

## III. სიგელით

ა) სკოლები და სკოლისგარეშე დაწესებულებები: ოჩამჩირის 1-ლი, ქუთაისის მე-17, მე-20, 31-ე, ტყიბულის რაიონის გელათის, ასპინძის რაიონის თმოგვის, ახმეტის 1-ლი, გორის რაიონის ბერშუეთის, ზემოხიდისთავის, ვარიანის, საქაშეთის, სკრის, მეღვრეკისის, ტირძნისის, ძევერას, მერეთის, ხიდისთავის, დუშეთის 1-ლი; ზუგდიდის რაიონის რუხის, ჯემის, ჯიხაშკარის, ქარელის მე-2, ქარელის რაიონის აბისის, ზემოხვედურეთის, ლეთეთის, მოხისის, ფცის, კასპის რაიონის ლამისყანის, ქვემოჭალის, ლაგოდეხის რაიონის აფენის, შრომის, ლანჩხუთის რაიონის აცანის, ნიგოითის, ჩიბათის, მაიაკოვსკის რაიონის დაბამაიაკოვსკის, ნინოშვილის სახელობის, საგარეჯოს რაიონის თოხლიაურის, სიღნაღის რაიონის ანაგის, თერჯოლის რაიონის ზედასაზანოს საშუალო და 8 წლიანი, ახმეტის სკოლა-ინტერნატის, ასპინძის საბავშვო სახლის ნორჩ ნატურალისტთა წრეები.

გ) მოსწავლეები:

1. მელიქიძე თენგიზი—ასპინძის რაიონი ტოლოშის საშ. სკოლა

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. მელიქიძე ნანა—ასპინძის რაიონი ტოლოშის საშ. სკოლა

3. ბურდული ილია—გორის რაიონი ქიწნისის საშ. სკოლა

4. მახაჭაშვილი ილია—ქარელის რაიონი დვანის საშ. სკოლა

4. კოპაძე გულო—ქარელის რაიონი დვანის საშ. სკოლა

5. მახაჭაშვილი მანანა—ქარელის რაიონი დვანის საშ. სკოლა

6. კოპაძე ზურაბი—ქარელის რაიონი დვანის საშ. სკოლა

7. კოპაძე მაყვალა—ქარელის რაიონი დვანის საშ. სკოლა

8. მამაგულაშვილი ანდრო—ქარელის რაიონი დვანის საშ. სკოლა

9. კობახიძე გივი—ქარელის რაიონი დვანის საშ. სკოლა

10. მელოძე ჯუმბერი—ქარელის რაიონი დვანის საშ. სკოლა

11. მარუსაშვილი გივი—ქარელის რაიონი დვანის საშ. სკოლა

12. მარდუხაშვილი ტარიელი—ქარელის რაიონი დვანის საშ. სკოლა

13. გაბარაშვილი ნინო—ქარელის რაიონი ხეობის 8 წლიანი სკოლა

14. ჩოჩიშვილი მარინე—ქარელის რაიონი ხეობის 8 წლიანი სკოლა

15. ქობულია მურმანი—გაგრის რაიონი არადუს 8 წლიანი სკოლა

16. ცირეკიძე რუსლან—ტყიბულის საშ. სკოლა

17. გუნავა ლუდმილა—ზუგდიდის მე-8 საშ. სკოლა

18. ზედგინიძე ნუნუ—ახალციხის 1-ლი საშ. სკოლა

19. დურგლიშვილი ავთანდილი—გორის რაიონი ბერშუეთის საშ. სკოლა

20. მირუაშვილი ინეზა—გორის რაიონი ქახვრელის საშ. სკოლა

21. ბერიკაშვილი ეკატერინე—გორის რაიონი ქახვრელის საშ. სკოლა

22. კობიაშვილი არინდა—დუშეთის მე-2 საშ. სკოლა

23. ნიკოლაშვილი ნინო—დუშეთის რაიონი ჭოპორტის საშ. სკოლა

ეროვნული ბიბლიოთეკა

24. კაკაევი ანზორი—ქარელის რაიონი კეხიჯვრის საშ. სკოლა

25. ქიტიაშვილი იოსები—ქარელის რაიონი კეხიჯვრის საშ. სკოლა

26. ელბაქიძე ციური—ქარელის რაიონი ქვემოხვედურეთის 8 წლ. სკოლა

27. იაკობაშვილი ეთერი—ქარელის რაიონი ქვემოხვედურეთის 8 წლ. სკოლა

28. მარტიევი არჩილი—ქარელის რაიონი ბებნისის 8 წლიანი სკოლა

29. ხეთაგური ჯულიეტა—ქარელის რაიონი ზემოხვედურეთის საშ. სკოლა

30. ჯეჯელიძე ნანული—ქარელის რაიონი ზემოხვედურეთის საშ. სკოლა

31. წიკლაური რეზო—ყაზბეგის საშ. სკოლა

32. სუჯაშვილი ციცო—ყაზბეგის საშ. სკოლა

33. ბაგაშვილი მარინა—ყაზბეგის საშ. სკოლა

34. გოდერძიშვილი მარინა—ყაზბეგის საშ. სკოლა

35. სომხიშვილი ნუნუ—ლაგოდეხის რაიონი ილია ჭავჭავაძის სახ. საშ. სკოლა

36. ჩხაიძე ნინელი—ლანჩხუთის რაიონი აცანის საშ. სკოლა

37. ჭყონია ქეთო—ლანჩხუთის რაიონი ჩიბათის საშ. სკოლა

38. ჭყონია მარინე—ლანჩხუთის რაიონი ჩიბათის საშ. სკოლა

39. ტაბიძე ნიკოლოზი—ლანჩხუთის რაიონი ნიგოითის 8 წლიანი სკოლა

40. ჭანტურიშვილი ზაზა—ლანჩხუთის რაიონი ნიგოითის 8 წლიანი სკოლა

41. ჭრელაშვილი ჯენარო—მაიაკოვსკის რაიონი ნინოშვილის სახ. საშ. სკოლა

42. ებანოიძე ნატა—მაიაკოვსკის რაიონი დიმის 8 წლიანი სკოლა

43. ჭრელაშვილი თემური—მაიაკოვსკის რაიონი როკითის საშ. სკოლა

44. ცხომელიძე მარინე—მახარაძის რაიონი დვაბზუს საშ. სკოლა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

45. დათუნაშვილი ლეილა—მახარაძის რაიონი გურიანთის საშ. სკოლა

46. დოლიძე თამარი—მახარაძის რაიონი გურიანთის საშ. სკოლა

47. რუსიძე მარინე—მახარაძის რაიონი გურიანთის საშ. სკოლა

48. რუსიძე მარინე—მახარაძის ნაგომრის საშ. სკოლა

49. ჩილინდრიშვილი ლალა—მცხეთის რაიონი წილკნის საშ. სკოლა

50. ლილუაშვილი არჩილი—მცხეთის რაიონი წილკნის საშ. სკოლა

51. სტეფანიაშვილი ნიკოლოზი—მცხეთის რაიონი წილკნის საშ. სკოლა

52. მეტრეველი ლეილა—ონის რაიონი პიპილეთის საშ. სკოლა

53. გილაშვილი მარინე—საგარეჯოს 1-ლი საშ. სკოლა

54. დუჩიძე რუსუდანი—საგარეჯოს რაიონი მანავის 1-ლი საშ. სკოლა

55. მათიაშვილი გიორგი—საგარეჯოს რაიონი მანავის 2-ე საშ. სკოლა

56. გრძელიშვილი სოსო—საგარეჯოს რაიონი ნინოწმინდის 8 წლიანი სკოლა

57. ჩარბოდაშვილი მარიამი—საგარეჯოს რაიონი ნინოწმინდის 8 წლიანი სკოლა

58. როსტომაშვილი ნოდარი—საგარეჯოს რაიონი ნინოწმინდის 8 წლ. სკოლა

59. ბოთელაშვილი ია—სამტრედიის რაიონი კულაშის საშ. სკოლა

60. ბოთელაშვილი რივა—სამტრედიის რაიონი კულაშის საშ. სკოლა

61. წულაია ილია—სამტრედიის რაიონი კულაშის საშ. სკოლა

62. ზათიაშვილი სონია—თელავის რაიონი ფშაველის საშ. სკოლა

63. სამყურაშვილი ციცინო—თელავის რაიონი წინანდლის საშ. სკოლა

64. შერეზადაშვილი მანანა—თელავის მე-2 საშ. სკოლა

65. ჭანტურია აზა—თერჯოლის რაიონი ზედასაზანოს საშ. სკოლა

66. კუპატაძე ნესტანი—თერჯოლის რაიონი ზედასაზანოს საშ. სკოლა

67. ვარდოსანიძე მერაბი—თერჯოლის რაიონი ზედასაზანოს საშ. სკოლა

68. კუპატაძე ტარიელი—თერჯოლის რაიონი ზედასაზანოს საშ. სკოლა

69. ნოზაძე ლეილა—ხაშურის რაიონი ვაყის საშ. სკოლა

70. ხარჩილაძე დარეჯანი—ხაშურის რაიონი ვაყის საშ. სკოლა

71. ლამბარაშვილი ლეილა—ხაშურის რაიონი ვაყის საშ. სკოლა

72. ქუქავა თენგიზი—ხობის რაიონი ხამისკაურის საშ. სკოლა

73. ლვინერია ინეზა—წულუკიძის რაიონი ქიტირის საშ. სკოლა

74. რუხაძე პავლე—წულუკიძის რაიონი ქიტირის საშ. სკოლა

75. ოგბაიძე მაყვალა—ყაზბეგის სკოლა-ინტერნატი

76. მეხუდიანი ფლორა—ყაზბეგის სკოლა-ინტერნატი

78. სუჯაშვილი მარინე—ყაზბეგის სკოლა-ინტერნატი

გ) მასწავლებლები:

1. დედანაშვილი თამარი—ცხინვალის რაიონი კეხვის საშ. სკოლა

2. ციციაშვილი როლანდი—ქუთაისის მე-9 საშ. სკოლა

3. ყუფარაძე ლუდმილა—ქუთაისის მე-4 საშ. სკოლა

4. ნოდია ტოტო—აბაშის რაიონი სუჯუნის საშ. სკოლა

5. კევოშვილი ნინო—ასპინძის რაიონი აწყვიტის საშ. სკოლა

6. დავლაბერიძე ვახტანგი—ასპინძის რაიონი რუსთავის 8 წლიანი სკოლა

7. არაბიძე ნოდარი—ასპინძის რაიონი იდუმალის 8 წლიანი სკოლა

8. ბექირიანი ალასი—ასპინძის რაიონი დამალას საშ. სკოლა

9. პუნდუხაშვილი ნატალია—ახალციხის 1-ლი საშ. სკოლა

10. ფაქიზაშვილი პელო—ახმეტის რაიონი აწყურის საშ. სკოლა

11. წმერიშვილი ივლიტა—ახმეტის რაიონი ქისტაურის №2 საშ. სკოლა

ეროვნული ბიბლიოთეკა

12. რაზმაძე ქეთო—გორის რაიონი ქარელის საშ. სკოლა

13. ლალაშვილი ანასტასია—გორის რაიონი ტირძნისის საშ. სკოლა

14. ცარციძე თამარი—გორის რაიონი ბერშუეთის საშ. სკოლა

15. მერაბიშვილი ლავრენტი—გორის რაიონი შავშების საშ. სკოლა

16. ზუმბურიძე მაყვალა—გორის რაიონი ზემოხვედურეთის საშ. სკოლა

17. ჭონქაძე მარიამი—დუშეთის 1-ლი საშ. სკოლა

18. წიკლაური გიორგი—დუშეთის რაიონი გუდამაყრის საშ. სკოლა

19. სართანია ლუბა—ზუგდიდის რაიონი ახალსოფლის საშ. სკოლა

20. კიტიშვილი მიხეილი—ქარელის რაიონი ატოცის საშ. სკოლა

21. კოპაძე თენგიზი—ქარელის რაიონი ტახტისძირის საშ. სკოლა

22. აბუაშვილი ქუქუნა—ქარელის რაიონი ბრეთის საშ. სკოლა

23. ალიმბარაშვილი თამარი—ქარელის რაიონი ძლევისჯვრის საშ. სკოლა

24. ხაბალაშვილი ნათელა—ქარელის რაიონი ზემოხვედურეთის საშ. სკოლა

25. ნოზაძე შოთა—ქარელის რაიონი მოხისის საშ. სკოლა

26. ირემაძე მარიამი—ქარელის რაიონი აბისის საშ. სკოლა

27. ხარატიშვილი ესმა—ქარელის 1-ლი საშ. სკოლა

28. არსენიძე ქუქუნა—ქარელის რაიონი აბანოს 8 წლ. სკოლა

29. ნავროზაშვილი ნონა—კასპის რაიონი ლამისყანის საშ. სკოლა

30. ტლაშაძე ირა—კასპის რაიონი ახალქალაქის საშ. სკოლა

31. ხუციშვილი ვლადიმერი—ლაგოდეხის რაიონი ლელიანის საშ. სკოლა

32. პაპავა როზა—საგარეჯოს რაიონი უჯარმის 8 წლიანი სკოლა

ეროვნული ბიბლიოთეკა

33. შოშიაშვილი ეკატერინე—თელავის რაიონი ჩაფარეულის საშ. სკოლა

34. ვარდოსანიძე დავითი—თერჯოლის რაიონი ზედასაზანოს საშ. სკოლა

35. დოლიაშვილი სოფიო—თიანეთის რაიონი ახალსოფლის 8 წლ. სკოლა

36. ჩიხლაძე ლიანა—ქუთაისის ნორჩ ნატურალისტთა სადგური

37. კიკვინია ცისანა—ზუგდიდის პიონერთა სახლი.

IV—1970 წლის 1/V-დან 1971 წლის 20/X-მდე გამოცხადდეს მე-X რესპუბლიკური კონკურსი „ნორჩ ნატურალისტთა დახმარება სკოლას".

V—მე-X რესპუბლიკური კონკურსის—„ნორჩ ნატურალისტთა დახმარება სკოლას" ხელმძღვანელობისათვის დამტკიცდეს საორგანიზაციო კომიტეტი შემდეგი შემადგენლობით:

1. ობოლაძე უშანგი პლატონის-ძე—საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მოადგილე (თავ-რე).

2. ქლაღიძე ნათელა ილიას-ასული—საქართველოს ალკკ ც. კ.-ის მდივანი.

3. ჯანაშვილი არჩილ გაბრიელის-ძე—თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზოოლოგიის კათედრის გამგე, პროფესორი.

4. შენგელია გრიგოლ ნოეს-ძე—საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სასკოლო ინსპექტორი.

5. ახვლედიანი ნიკოლოზ ორენტის-ძე—საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მეთოდისტი.

6. დარსალია ქეთევან მიხეილის ასული—საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სასკოლო ინსპექტორი.

7. ბაქრაძე ირაკლი ვარლამის ძე—საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ნორჩ ნატურალისტთა რესპუბლიკური სადგურის დირექტორი.

VI—მე-X რესპუბლიკური კონკურსის „ნორჩ ნატურალისტთა დახმარება სკოლას" საორგანიზაციო კომიტეტმა:

ა) უზრუნველყოს რესპუბლიკის სკოლებისა და სკოლისგარეშე დაწესებულებების ნორჩ ნატურალისტთა წრეები საჭირო მეთოდური ლიტერატურით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) კონკურსისათვის მზადების საქმეში დახმარების გაწევის მიზნით მიავლინოს სპეციალისტები: ბორჯომის, წალკის, ახალქალაქის, ბოგდანოვკის, ბოლნისის, მესტიის, თეთრიწყაროს, ადიგენის, დმანისის, ზესტაფონის, მარნეულის, ორჯონიკიძის, ჩხოროწყუს, რაიონების სკოლებსა და სკოლისგარეშე დაწესებულებებში.

VII—აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ო, ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებმა:

ა) სკოლების დირექტორებს გააცნონ IX რესპუბლიკური კონკურსის „ნორჩ ნატურალისტთა დახმარება სკოლას“ შედეგები და X რესპუბლიკური კონკურსის ჩატარების პირობები;

ბ) გამოავლინონ და შეარჩიონ საუკეთესო სკოლები, სკოლისგარეშე დაწესებულებები, ნორჩ ნატურალისტთა წრეები და ნორჩი ნატურალისტები სსრკ სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაში მონაწილეობისათვის.

VIII—საშუალო და რვაწლიანი სკოლების დირექტორებმა:

ა) საფუძვლიანად გააცნონ მოსწავლეებს კონკურსის ჩატარების პირობები და აღმოუჩინონ მათ საჭირო დახმარება.

ბ) სანიმუშოდ მოაწყონ სასკოლო მიწის ნაკვეთები და ცოცხალი ბუნების კუთხე.

IX—ნორჩ ნატურალისტთა რესპუბლიკურმა სადგურმა, აფხაზეთისა და აჭარის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ა/ო-სა და ქუთაისის საქალაქო ნორჩ ნატურალისტთა სადგურებმა, პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეებმა და სახლებმა, განათლების ორგანოებთან ერთად, პერიოდულად შეამოწმონ ადგილებზე კონკურსისათვის მზადების მიმდინარეობა.

X—საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მომარაგებისა და დამხმარე საწარმოთა სამმართველომ (ამხ. ს. არველაძე) ნორჩ ნატურალისტთა რესპუბლიკურ სადგურს კონკურსისათვის გამოუყოს 800 კგ. ქაღალდი და სხვა საჭირო მასალები.

XI—გაზეთ „სახალხო განათლების“ და ჟურნალ „სკოლა და ცხოვრების“ რედაქციებმა სისტემატურად გააშუქონ კონკურსის მიმდინარეობის საკითხები.

XII—სკოლების სამმართველომ (ა. ჩხიკვაძე) თვალყური ადევნოს და კონტროლი გაუწიოს კონკურსის მომზადებისა და ჩატარების საქმეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1970 წ. 9 აპრილის ბრძანება № 191

### ქ. ფოთის ზოგადსაგანმანათლებლო და ბავშვთა-მოზარდთა სპორტულ სკოლებში მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდისა და სპორტული მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ

ქ. ფოთის ზოგადსაგანმანათლებლო და ბავშვთა-მოზარდთა სპორტულ სკოლებში უკანასკნელი წლების მანძილზე ფიზიკურ აღზრდასა და სპორტში გარკვეული მუშაობაა ჩატარებული. აღნიშნულ სკოლებში 1969 წელს მომზადდა 20 პირველი, 84 მეორე, 462 მესამე, 474 მოზარდთა თანრიგოსანი სპორტსმენი, 33 მსაჯი და 72 საზოგადოებრივი ინსტრუქტორი.

საქართველოს მოსწავლეთა XXI რესპუბლიკურ სპარტაკიადაზე ქ. ფოთის სკოლების მოსწავლეთა ნაკრებმა გუნდებმა სპორტის სახეობების მიხედვით დაიკავეს 3 პირველი, 1 მეორე და 1 მესამე გუნდური ადგილები, მოიპოვეს 13 ოქროს, 16 ვერცხლის და 21 ბრინჯაოს მედალი.

1969 წლის საკავშირო პირველობებზე ფოთის მოსწავლე ხელბურთელ გოგონათა ნაკრებმა გუნდმა დაიკავა პირველი ადგილი და მოიპოვა 11 ოქროს მედალი, ხოლო ნიჩბოსნებმა 2 ოქროსი და 3 ვერცხლის მედალი დაისაკუთრეს.

ხელბურთში, ნიჩბოსნობაში, მძლეოსნობასა და ფეხბურთში საქართველოს მოსწავლეთა ნაკრები გუნდების ძირითად შემადგენლობაში ქ. ფოთიდან ჩართული იყო 14 მოსწავლე-სპორტსმენი, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს 1969 წლის საკავშირო სპარტაკიადის ფინალურ შეჯიბრებებში.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ სსრ კავშირის განათლების სამინისტროსა და სსრ კავში-

რის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის 1969 წლის 19 ნოემბრის ერთობლივი დადგენილების შესასრულებლად, ქ. ფოთის მთელი რიგი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ხელმძღვანელები და ფიზკულტურის მასწავლებლები გარკვეულ მუშაობას ეწევიან ბავშვთა ფიზიკური აღზრდის გაუმჯობესებისათვის.

№ 1 (დირექტორი ნ. ქოიავა, ფიზკულტურის მასწავლებლები ი. მურვანიძე, ნ. შელეგია), № 2 (დირექტორი პ. ნაცვლიშვილი, ფიზკულტურის მასწავლებელი ნ. ა. აფხაზავა), № 3 (დირექტორი შ. კაკულია, ფიზკულტურის მასწავლებლები ა. მიქელაძე, ტ. პაპკოვიჩი) საშუალო სკოლების მეხუთე და ზედა კლასებში ფიზიკური კულტურის გაკვეთილები და კლასგარეშე სპორტული მუშაობა ტარდება საპროგრამო მოთხოვნათა შესაბამისად.

კარგად არის დაყენებული მასწავლო-სპორტული მუშაობა ბავშვთა-მოზარდთა კომპლექსური სპორტული სკოლის (დირექტორი პ. გიგინეიშვილი) მძლეოსნობის (მწვრთ. გ. თალაკვაძე), ნიჩბოსნობის (მწვრთნ. გ. ჭედია), ხელბურთის (მწვრთ. ქ. გაგულია), სპორტ-ტანვარჯიშის (მწვრთ. ნ. მიქელაძე და ნ. აფხაზავა), კრივის (მწვრთ. ლ. თავაძე) და ფეხბურთის სპორტული სკოლის (მწვრთ. თ. ადამია) სპორტულ ჯგუფებში.

მიუხედავად აღნიშნულისა, ფოთის ზოგადსაგანმანათლებლო და ბავშვთა მოზარდთა სპორტული სკოლების მუშაობაში შეინიშნება რიგი ნაკლოვანებები.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დაწყებით კლასებში სათანადო დონეზე არ ისწავლება ფიზიკური კულტურა, რის გამო აღნიშნულ კლასებში მოსწავლეთა საერთო ფიზიკური მომზადების დონე დაბალია.

მე-5 და მე-10 (ფიზკულტურის მასწავლებლები ჟ. გიორგიევა და ლ. ალანია) საშუალო სკოლების ფიზკულტურის მასწავლებლები გაკვეთილებს ატარებენ უფერულად, დაბალ მეთოდურ დონეზე, წინასწარ არ ემზადებიან გაკვეთილებისათვის. აღნიშნულ სკოლებში მოსწავლეთა უმრავლესობამ არ იცის წყობილებაში სიარული და გადაწყობები, არ არიან დაუფლებული პროგრამით გათვალისწინებულ მასალას, სპორტის სხვადასხვა სახეობის ვარჯიშების შესრულების ხერხებს და ხშირ შემთხვევაში გაკვეთილები მხოლოდ ვარჯიშების მექანიკური შესრულებით ისაზღვრება.

მე-7 და მე-10 სკოლებში დაბალია კლასგარეშე სპორტულ მუშაობაში გაერთიანებულ მოსწავლეთა რაოდენობა, ფიზკულტურის კოლექტივის საბჭოს მუშაობის შესახებ არ გააჩნიათ საჭირო დოკუმენტაცია, მცირე რაოდენობით ტარდება შინასასკოლო შეჯიბრებები, სათანადოდ არ არის დაყენებული მასობრივ-ფიზკულტურული და გამაჯანსაღებელ-სპორტული მუშაობა, არაორგანიზებულად ტარდება სპორტული სექციების მუშაობის დაგეგმვა და მეცადინეობები, ნაკლებად მზადდება თანრიგოსანი სპორტსმენები. კლასგარეშე სპორტული მუშაობა სასწავლო მუშაობასთან მთლიანად მოწყვეტილია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღნიშნული სკოლების ფიზკულტურის მასწავლებლებს ქ. გიორგიევას, ზ. სინატაშვილს და მე-5 საშუალო სკოლის მასწავლებელ ლ. ალანიას საკლასო ჟურნალებში დამუშავებული მასალა არასწორად შეაქვთ, არ აწარმოებენ მოსწავლეთა მიმდინარე შეფასებებს და სხვ.

ფიზიკური კულტურის საგნის დაბალ დონეზე სწავლებისა და კლასგარეშე სპორტული მუშაობის სუსტად წარმართვის მიუხედავად მე-6, მე-8, მე-10 სკოლებში სასწავლო წლის მანძილზე ფიზიკური კულტურის საკითხი პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე არც ერთხელ არ განხილულა.

მე-4 (დირექტორი ა. აბდუშელიშვილი), მე-7 (დირექტორი ვ. ზერაგია), მე-8 (დირექტორი ჰ. გოლოვანოვი) მე-10 (დირექტორი ბარაბაში) საშუალო სკოლებში საპროგრამო მასალით გათვალისწინებული სპორტული ინვენტარის მინიმუმის უქონლობის მიუხედავად, სასწავლო წლის განმავლობაში ინვენტარი სრულიად არ შეუძენიათ.

მე-7 და მე-10 საშუალო სკოლების გაკვეთილების ცხრილში ფიზიკური კულტურის საათები ერთსა და იმავე კლასში განაწილებულია სათანადო ინტერვალის გარეშე.

მე-8, მე-9 და მე-10 სკოლებში სპორტული დარბაზების გასახდელი ოთახები გამოყენებულია შრომითი სწავლებისათვის, მე-7 საშუალო სკოლის სპორტულ დარბაზში ფიზკულტურის მასწავლებლის სამუშაო ოთახი გაუქმებულია და დღემდე არ არის დაგებული იატაკი.

ქ. ფოთის ბავშვთა—მოზარდთა კომპლექსურ სპორტულ სკოლაში (დირექტორი პ. გიგინეიშვილი) დარბაზის ჭერი შეუკეთებელია და წვიმა ჩამოდის. სპორტული სკოლის მავიდის ჩოგბურთის

სავარჯიშო ოთახი გამოყენებულია მე-2 საშუალო სკოლის ბუფეტისა და სამზარეულოსათვის, რის გამო მაგიდის ჩოგბურთის მეცადინეობის ნორმალური ჩატარების პირობები შეზღუდულია. ამავე სასპორტო სკოლაში კრივის მეცადინეობები ტარდება რინგის გარეშე, ექიმის დაუსწრებლად, რაც მოსწავლეთა ჯანმრთელობას საფრთხეს უქმნის. მე-4 საშუალო სკოლის კლას-დარბაზი 1968 წელს გადაუკეთებიათ საკლასო ოთახად და სკოლაში ცუდ ამინდში გაკვეთილების ჩატარება შეუძლებელია.

ზოგადსაგანმანათლებლო და ბავშვთა-მოზარდთა სპორტულ სკოლებში სასწავლო წლის მანძილზე არ ჩატარებულა ღრმა სამედიცინო შემოწმება. სკოლებში მოსწავლეები არ არიან დაყოფილი სამედიცინო ჯგუფებად და არცერთ სკოლაში სუსტი ჯანმრთელობის მქონე მოსწავლეებთან არ ტარდება სპეციალური სამკურნალო ფიზკულტურული მეცადინეობები.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. ქ. ფოთის განათლების განყოფილებამ (ამხ. ა. ცხადაია):

ა) გააძლიეროს დახმარება და კონტროლი ზოგადსაგანმანათლებლო და ბავშვთა-მოზარდთა სასპორტო სკოლების მუშაობაზე. აამაღლოს სკოლის ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის საქმეში; მიიღოს ზომები, რათა გაკვეთილები, ასევე კლასგარეშე და სკოლის გარეშე მუშაობა ფიზიკურ კულტურასა და სპორტში ტარდებოდეს მაღალხარისხოვნად და საპროგრამო მოთხოვნათა სრული შესაბამისობით, სისტემატურად განახორციელოს ღონისძიებანი მოსწავლეთა სპორტული ოსტატობის ასამაღლებლად;

ბ) ადგილობრივი ხელმძღვანელი ორგანოების დახმარებით მიაღწიოს იმას, რომ სხვა უწყებების სპორტული ნაგებობანი დღის საათებში უფასოდ დაეთმოს სკოლებს ფიზკულტურის გაკვეთილებისა და კლასგარეშე სპორტული მუშაობის ჩასატარებლად;

გ) განათლების განყოფილების საბჭოს სხდომებზე პერიოდულად განიხილოს მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდისა და სპორტული მუშაობის საკითხები და მიიღოს ზომები ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად;

დ) გაატაროს სათანადო ღონისძიებები სკოლებში მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის, სპორტული და გამაჯანსაღებელი მუშაობის მდგომარეობის მკვეთრად გაუმჯობესებისათვის, სისტემატურად შეამოწმოს ზოგადსაგანმანათლებლო და ბავშვთა-მოზარდთა სპორტული სკოლების მუშაობა და საჭიროების შემთხვევაში საკითხი განიხილოს სახალხო განათლების საბჭოს სხდომებზე;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ე) მოსთხოვოს სკოლის დირექტორებს, რათა III—X კლასის მოსწავლეთა საერთო რაოდენობიდან, კლასგარეშე სპორტულ მუშაობაში ჩაბმული იქნან არანაკლებ 65—70%-ისა.

ხელი შეუწყოს მოსწავლეთა სასკოლო და საქალაქო სპარტაკიადების ორგანიზებულად და მაღალ დონეზე ჩატარებას;

ვ) ქ. ფოთის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების საშუალებით მიაღწიოს სკოლებში მოსწავლეთა სამედიცინო შემოწმებისა და სუსტი ჯანმრთელობის მქონე მოსწავლეებთან სპეციალური სამკურნალო-ფიზკულტურული მეცადინეობების ჩატარების ორგანიზაციას;

2. სკოლის დირექტორებმა:

ა) სისტემატურად კონტროლი და დახმარება გაუწიონ ფიზკულტურის მასწავლებლებს მუშაობაში. პერიოდულად შეამოწმონ და მისცენ სათანადო მეთოდური მითითება გაკვეთილების მაღალ დონეზე ჩატარებისათვის; თვალყური ადევნონ სასწავლო პროგრამის შესრულებას;

ბ) სათანადო ყურადღება დაუთმონ დაწყებითი კლასების მოსწავლეთა ფიზიკურ აღზრდას, იქ, სადაც დაწყებითი კლასის მასწავლებლებს არ შესწევთ უნარი ჩაატარონ ფიზკულტურის გაკვეთილები პროგრამის შესაბამისად, არსებული წესის დაცვით გაკვეთილები გადასცენ ამ საგნის სპეციალისტს;

გ) გააძლიერონ ხელმძღვანელობა სკოლის ფიზკულტურის კოლექტივის მუშაობაზე, ფართოდ გაშალონ სკოლაში კლასგარეშე—სპორტული მუშაობა, მოსწავლეთა მეტი რაოდენობა გააერთიანონ სპორტულ სექციებსა და ღონისძიებებში; უზრუნველყონ ნიშნოსნებისა და სპორტსმენ თანრიგოსნების მომზადების თვითვალდებულებების დროული შესრულება;

დ) სრულ წესრიგში მოიყვანონ არსებული სპორტული სასწავლო-მატერიალური ბაზები, უზრუნველყონ საჭირო სპორტული ინვენტარითა და მოწყობილობით. შექმნან აუცილებელი პირობები ფიზიკურ კულტურაში მეცადინეობის ნორმალური ჩატარებისათვის

მაქსიმალურად გამოიყენონ ამ საქმეში საშეფო და სხვა ორგანიზაციების დახმარება.

3. მე-5 და მე-10 საშუალო სკოლების ფიზკულტურის მასწავლებლებს ლ. ალანიას და ჟ. გიორგიევას სკოლაში ფიზკულტურის საგნის დაბალ მეთოდურ დონეზე სწავლებისა და კლასგარეშე სპორტული მუშაობის სუსტად დაყენებისათვის მიეთითოთ, ამასთან გაფრთხილებული იქნენ, რომ თუ შემდგომში არ გააუმჯობესებენ მუშაობას, მათ მიმართ მიღებული იქნება უფრო მკაცრი ზომები.

4. განათლების სამინისტროს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის განყოფილებამ (ამხ. ი. ბაცელაშვილი) კონტროლი დააწესოს აღნიშნული ბრძანების შესრულებაზე.

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1970 წლის 6 მარტის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. **ლაშქარაშვილი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1970 წ. 9 აპრილის ბრძანება № 192

### სპორტულ ტანვარჯიშში საქართველოს მოსწავლეთა 1969 წლის პირად-გუნდური შეჯიბრების შედეგების შესახებ

სპორტულ ტანვარჯიშში 1969 წლის 27—30 დეკემბერს ქ. თბილისში ჩატარებულ საქართველოს მოსწავლეთა პირად-გუნდურ შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღეს: პირველ ჯგუფში—ქ. ქუთაისის განათლების განყოფილების ტანვარჯიშის სკოლამ ქ. თბილისის განათლების განყოფილებისა და ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოება „განთიადის“ სპეციალიზებულმა ტანვარჯიშის სკოლებმა, მეორე ჯგუფში—ქ. ქ. სოხუმის, ბათუმის, გორის, ზუგდიდის, თელავისა და ლანჩხუთის რაიონების ბავშვთა სასპორტო სკოლებმა.

პირველი ჯგუფის გუნდებს შორის შეჯიბრებაში პირველი ადგილი მოიპოვა ქ. თბილისის განათლების განყოფილების ბავშვთა ტანვარჯიშის სპეციალიზებულმა სკოლამ (101 ქულა), მეორე—ნსს „განთიადის“ თბილისის ბავშვთა ტანვარჯიშის სპეციალიზებულმა სკოლამ (98 ქულა), ხოლო მესამე ადგილი ქ. ქუთაისის ბავშვთა ტანვარჯიშის სასპორტო სკოლამ (36 ქულა).

მეორე ჯგუფის გუნდებს შორის შეჯიბრებაში პირველი ადგილი დაიკავა ქ. ბათუმის (32 ქულა), მეორე—ქ. გორის (20 ქულა), მესამე—ქ. სოხუმის (12 ქულა), მეოთხე—ქ. თელავის (6 ქულა), ხოლო ბოლო მეხუთე და მეექვსე ადგილები გაინაწილეს ქ. ზუგდიდისა და ლანჩხუთის ბავშვთა სასპორტო სკოლებმა (4—4 ქულა).

პირად შეჯიბრებაში კარგი მაჩვენებლებით გამოვიდნენ რ. სიხარულიძე (ქ. ბათუმი), მ. მონიავა, გ. რაჭველიშვილი (თბილისის განათლების განყოფილება) ნ. დრონოვა (ნსს „განთიადი“), ვ. ჭილლაძე (ქ. გორი).

შეჯიბრება ჩატარდა კარგ ორგანიზაციულ დონეზე.

შეჯიბრებაზე დაბალი სპორტული მომზადება გამოავლინეს ლანჩხუთის ბავშვთა სასპორტო სკოლის აღსაზრდელებმა. [illegible] ოთხი მონაწილიდან მხოლოდ ერთმა შესძლო თავის [illegible] ჯგუფში მონაწილე 12 ტანმოვარჯიშიდან მე-9 ადგილის დაკავება.

შეჯიბრებისათვის სუსტად იყვნენ მომზადებული ასევე ქ. ქუთაისის ტანმოვარჯიშეები, განსაკუთრებით კი უმცროსი ასაკის გოგონები, რომლებმაც მხოლოდ ბოლო ადგილების დაკავება შესძლეს.

გარდა ზემო აღნიშნულისა, შეჯიბრებამ გამოავლინა რიგი ნაკლოვანებები, როგორც ნებისმიერი ვარჯიშების შედგენაში, ასევე მათი შესრულების ტექნიკაში. შეჯიბრებაში მონაწილეთა უმრავლესობის ნებისმიერი ვარჯიშები შედგენილი იყო უფერული ტრაფარეტული ნაერთებით და არ იყო კომპოზიციურად კარგად გამართული. ბავშვები ჯეროვნად ვერ ფლობდნენ ცალკეული ილეთების და ნაერთების შესრულების ტექნიკას, რამაც განაპირობა შეჯიბრების შედეგების საერთო დაბალი დონე.

აღსანიშნავია, რომ „განთიადის" თბილისის ბავშვთა ტანვარჯიშის სპეციალიზებული სკოლის ხელმძღვანელობის (დირექტორი ს. ბურჯანაძე) არაპედაგოგიურმა მოქმედებამ (იმის გამო, რომ ერთი უმცროსი ასაკის გოგონა ჩათვლაში არ დაუშვეს, შეჯიბრების პირველ დღეს გოგონათა გუნდი არ გამოიყვანა) უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენა ამ ორგანიზაციის გოგონათა გუნდი და შეჯიბრების მსაჯთა კოლეგია.

მიუხედავად იმისა, რომ შეჯიბრების დებულება რამოდენიმე თვით ადრე დაეგზავნათ ადგილებზე ქ. ქ. ცხინვალის, რუსთავის, სამტრედიის, დუშეთის, ხაშურის, ფოთის, ახალციხის განათლების განყოფილებათა სასპორტო სკოლებმა და ნსს „დინამოს" ქ. თბილისის ბავშვთა ტანვარჯიშის სპეციალიზებულმა სკოლამ შეჯიბრებაში მონაწილეობა არ მიიღეს. არასრული გუნდებით მონაწილეობდნენ შეჯიბრებაში სოხუმის, ზუგდიდის და თელავის ბავშვთა სასპორტო სკოლები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ვ ბ რ ძ ა ნ-ე ბ

1. შეჯიბრების მთავარ მსაჯთა კოლეგიის მიერ წარმოდგენილი შეჯიბრების ტექნიკური შედეგები დამტკიცდეს.

2. პირველი და მეორე ჯგუფების გუნდებს შორის პირველ ადგილზე გამოსული ქ. თბილისის განათლების განყოფილების

ბავშვთა ტანვარჯიშის სპეციალიზებული სკოლა და ქ. ბათუმის ბავშვთა კომპლექსური სასპორტო სკოლა დაჯილდოვდნენ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს გარდამავალი [illegible] და პირველი ხარისხის დიპლომებით.

3. ნსს „განთიადის" თბილისის ბავშვთა ტანვარჯიშის სპეციალიზებული სკოლა და ქ. გორის განათლების განყოფილების სასპორტო სკოლა, პირველ და მეორე ჯგუფებს შორის მეორე ადგილის დაკავებისათვის დაჯილდოვდნენ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მეორე ხარისხის დიპლომებით.

4. პირად შეჯიბრებაში პირველ ადგილებზე გამოსული ტანმოვარჯიშეები საშუალო ასაკში: რ. სიხარულიძე (ქ. ბათუმი) და ვ. ჭილლაძე (ქ. გორი), უმცროს ასაკში: ნ. დრონოვა (ნსს „განთიადი") და გ. რაჭველიშვილი (თბილისის განათლების განყოფილება), მეორე ადგილებზე გამოსული ტანმოვარჯიშეები, საშუალო ასაკში: მ. მონიავა და ს. ფაჩულია (თბილისის განათლების განყოფილება) უმცროს ასაკში: ნ. ვასილიევა („განთიადი") და ვ. ქევლიშვილი (თბილისის განათლების განყოფილება).

მესამე ადგილზე გამოსული ტანმოვარჯიშეები, საშუალო ასაკში: ქ. კობერიძე (თბილისის განათლების განყოფილება) და კ. ლაშხი („განთიადი") დაჯილდოვდნენ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს შესაბამისი ხარისხის დიპლომებით.

5. მწვრთნელები ა. გაბრიაძე, ვ. კლიმოვა, ო. მიქელაძე და გ. გოშაძე, რომელთა მიერ მომზადებულმა ტანმოვარჯიშეებმა დაიკავეს პირველი ადგილები, დაჯილდოვდნენ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სიგელებით.

6. ქ. ქ. ცხინვალის, ფოთის, რუსთავის, სამტრედიის, დუშეთის, ხაშურისა და ახალციხის რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებსა და ბავშვთა სასპორტო სკოლებს შორის ურთიერთ კავშირის მკვეთრად გაუმჯობესების საფუძველზე, ხელი შეუწყონ ბავშვთა სასპორტო სკოლების ტანვარჯიშის განყოფილებებს, პერსპექტიული, კარგი მონაცემების მქონე მოსწავლეებით დაკომპლექტებისა და სასწავლო საწვრთნელი პროცესის მნიშვნელოვნად გაუმჯობესების საკითხში, საჭიროების შემთხვევაში გამოყონ დრო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების სპორტდარბაზებში ტანვარჯიშის განყოფილების ჯგუფების სავარჯიშოდ, შეავსონ სპორტდარბაზები ტანვარჯიშული იარაღებით და სხვა მოწყობილობით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) შეისწავლონ 1969 წლის დეკემბრის მოსწავლეთა რესპუბლიკურ შეჯიბრებაზე ბავშვთა-მოზარდთა სასპორტო სკოლების გუნდების გამოუცხადებლობის მიზეზები და მიღებული ზომების შესახებ მოახსენონ განათლების სამინისტროს ა/წლის 15 აპრილამდე.

შემდგომისათვის უზრუნველყონ მოსწავლეთა ტანვარჯიშის გუნდების მონაწილეობა განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებულ სპორტლონისძიებათა კალენდარით გათვალისწინებულ ყველა ღონისძიებაში.

7. ქ. თბილისის განათლების განყოფილების ტანვარჯიშის სპეციალიზებული სპორტული სკოლის დირექტორმა (ამხ. მ. იმნაძე) 1970 წლის სექტემბრიდან სკოლის მუშაობა გარდაქმნას იმგვარად, რომ სპორტული ტანვარჯიშის განყოფილება დაკომპლექტდეს ჯგუფებით არა ნაკლები სამი ნაკადისა და მოსწავლეთა ყოველწლიური მიღება და სკოლა დამთავრებულთა გამოშვება ზუსტად შეესაბამებოდეს ტანვარჯიშის სპეციალიზებული სკოლებისათვის დამტკიცებულ დებულებას.

8. ქ. ქუთაისის განათლების განყოფილების გამგემ (ამხ. გენძეხაძე) ქალაქის ბავშვთა-მოზარდთა სპორტულ სკოლებში სპორტული ჯგუფებისათვის გათვალისწინებული საშტატო ერთეულებიდან გამოუყოს ტანვარჯიშულ სპორტულ სკოლას იმ რაოდენობით ჯგუფები, რაც უზრუნველყოფს 1970 წლის სექტემბრიდან ტანვარჯიშის განყოფილების ორ ნაკადად დაკომპლექტებას. ამასთან ხელი შეუწყოს აღნიშნულ სპორტულ სკოლას სასწავლო-საწვრთნელი და აღმზრდელობითი მუშაობის მნიშვნელოვნად გაუმჯობესებაში.

9. რესპუბლიკის რაიონებისა და ქალაქების ბავშვთა-მოზარდთა სპორტული სკოლების დირექტორებმა და ტანვარჯიშის განყოფილებათა მწვრთნელებმა გადაჭრით გააუმჯობესონ სასწავლო-საწვრთნელი მუშაობა ჯგუფებში, შეისწავლონ სსრ კავშირისა და რესპუბლიკის წამყვანი ტანმოვარჯიშეების ნებისმიერი ვარჯიშების საუკეთესო ნიმუშები, გააუმჯობესონ ნებისმიერი ვარჯიშების შედგენაში შემოქმედებითი მუშაობა. თავისუფალი ვარჯიშებისათვის ფართოდ გამოიყენონ ქართული ნაციონალური მუსიკა და ხალხური ცეკვების ილეთები.

10. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის განყოფილებამ 1970 და მომდევნო წლებში

პრაქტიკაში შემოიღოს ბავშვთა-მოზარდთა სპორტული სკოლების ტანვარჯიშის მწვრთნელთა გადასამზადებელი სემინარების ჩატარება და გამოცდილების გაზიარების მიზნით მწვრთნელთა მიყვანება რესპუბლიკურ და საკავშირო ტანვარჯიშულ შეჯიბრებებზე.

11. ნსს „განთიადის" ბავშვთა ტანვარჯიშის სპეციალიზებული სკოლის დირექტორი ს. ბურჯანაძე გაფრთხილებული იქნას, რომ თუ შემდგომშიაც ექნება ადგილი მის მიერ მსგავს არაპედაგოგიურ მოქმედებას, განიხილება საკითხი მისი განათლების სამინისტროს სკოლების მოსწავლეებთან სპორტული მუშაობის მიზანშეუწონლობის შესახებ.

12. აეკრძალოთ განათლების განყოფილებებსა და ბავშვთა-მოზარდთა სპორტულ სკოლებს მოსწავლეთა მივლინება რესპუბლიკურ და საკავშირო შეჯიბრებებში მონაწილეობის მისაღებად განათლების სამინისტროს ნებართვის გარეშე.

13. აღნიშნული ბრძანების შესრულებაზე კონტროლის გაწევა დაევალოს განათლების სამინისტროს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის განყოფილებას.

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სიმინისტროს კოლეგიის 1970 წლის 6 მარტის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **თ. ლაშქარაშვილი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1970 წ. 10 აპრილის ბრძანება № 193

### ქალაქ თბილისის სკოლების მუსიკალური ჯგუფების კურსდამთავრებულთა მომზადების დონისა და მისი გაუმჯობესების შესახებ

რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ესთეტიკური აღზრდის მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ ზემდგომი ორგანოების დადგენილების მიღების შემდეგ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებმა, სკოლისგარეშე დაწესებულებებმა და განათლების ორგანოებმა მნიშვნელოვანი მუშაობა გასწიეს.

ესთეტიკური აღზრდის საქმეში გარკვეული ადგილი უკავია მუსიკალურ ჯგუფებს. ბოლო ხანებში მუსიკალური ჯგუფების ქსელი გაიზარდა. იგი გახსნილია თბილისის 111, ქუთაისის—11, სოხუმის—13, თელავის რაიონის—28, ცხაკაიას რაიონის—10 სკოლაში და სხვ. განმტკიცდა მუსიკალური ჯგუფების ტექნიკურ-მატერიალური ბაზა, მათთვის გამოყოფილია სამუშაო ოთახები; უზრუნველყოფილნი არიან საკრავებით, ფირსაკრავებით, ელექტროდამკვრელებით და სხვ.

საგრძნობლად ამაღლდა მასწავლებელთა კვალიფიკაცია, სკოლებში იმატა უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტებმა. მაგ. თბილისის—111 მუსიკალურ ჯგუფში ასწავლის 1581 მასწავლებელი. მათ შორის სპეციალური უმაღლესი განათლება აქვს 337 მასწავლებელს, 204-ს აქვს არასრული უმაღლესი განათლება, საშუალო სპეციალური განათლება 909 მასწავლებელს, ხოლო არასრული საშუალო 61-ს.

მუსიკალური ჯგუფების დამთავრების შემდეგ მოსწავლეთა ნაწილი სწავლას აგრძელებს საშუალო მუსიკალურ და სპეციალურ

უმაღლეს სასწავლებლებში. მარტო მიმდინარე წელს მუსიკალურ სასწავლებლებში შესასვლელ გამოცდებს აბარებდა 115 [illegible] რიცხა 63 მოსწავლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუსიკალურ სასწავლებლებში მისაღებ გამოცდებზე არადამაკმაყოფილებელი შეფასება მიიღო 87-ე საშუალო სკოლიდან 3 მოსწავლემ, 54-ე საშუალო სკოლიდან 2 მოსწავლემ, 35-ე საშუალო სკოლიდან 2 მოსწავლემ, ხოლო 1-ლ, მე-3, მე-10, მე-13, 24-ე, 53-ე და რესპუბლიკურ ექსპერიმენტული სკოლებიდან თითო მოსწავლემ.

ათკლასიანი მუსიკალური ჯგუფების კურსდამთავრებულებიდან უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში ვ. სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში სწავლა განაგრძო 17 კურსდამთავრებულმა, ერევნის სახელმწიფო კონსერვატორიაში 3, ა. პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ფილოლოგიის და მუსიკის ფაკულტეტზე 27-მა კურსდამთავრებულმა.

მიმდინარე წელს ვ. სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორიაში დასწრებულ განყოფილებაზე აბარებდა 9 აბიტურიენტი, ჩაირიცხა 2. 3 აბიტურიენტმა 24-ე, 23-ე და 126-ე საშუალო სკოლების მუსიკალური ჯგუფების კურსდამთავრებულებმა არადამაკმაყოფილებელი შეფასება მიიღეს. ამავე წელს სახელმწიფო კონსერვატორიის დაუსწრებელ განყოფილებაზე აბარებდა 9 აბიტურიენტი, ჩაირიცხა 1, არადამაკმაყოფილებელი შეფასება მიიღო— 4-მა, აქედან ორია ქუთაისის მასწავლებელთა სახლის ათწლიანი მუსიკალური ჯგუფების კურსდამთავრებული, 1—თბილისის 1-ლი საშუალო სკოლიდან, 1—თბილისის მე 5 საშუალო სკოლიდან. როგორც აღნიშნული მონაცემებიდან ჩანს მუსიკალური ჯგუფების კურსდამთავრებულთა ნაწილს არა აქვს სათანადო მომზადება. პედაგოგიური კადრები კიდევ მოითხოვენ დახვეწასა და კვალიფიკაციის ამაღლებას.

მუსიკალური ჯგუფების მუშაობის გაუმჯობესების მიზნით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. საშუალო სკოლების დირექტორებმა, სადაც მუსიკალური ჯგუფებია გახსნილი:

ა) უზრუნველყონ მუსიკალური ჯგუფების აკადემიური დონის ამაღლება. სისტემატურად იზრუნონ მასწავლებელთა კვალიფიკაციის გაუმჯობესებაზე;

ბ) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ჯგუფებში გამოსაშვები გამოცდების მაღალ დონეზე ჩატარებას, მოსწავლეთა სწორად შეფასებას;

გ) ყურადღება მიაქციონ იმ მოსწავლეთა მუშაობას, რომლებიც იჩენენ მუსიკისადმი მიდრეკილებას და განზრახული აქვთ ამ ხაზით სწავლის გაგრძელება.

2. 1970—71 სასწავლო წლიდან გაუქმდეს თბილისის მე-5 საშუალო სკოლაში მუსიკის გაძლიერებული სწავლება.

აღინიშნოს ქუთაისის მასწავლებლის სახლის, თბილისის 1-ლი, მე-3, მე-10, მე-13, 53-ე, 57-ე, 24-ე, 43-ე, 126-ე, 35-ე, 54-ე, 87-ე საშუალო სკოლების მუსიკალური ჯგუფების გამგეების სუსტი მუშაობა.

3. ესთეტიკური აღზრდის რესპუბლიკურმა სამეცნიერო მეთოდურმა კაბინეტმა (ჯ. მუჯირი) გააუმჯობესოს მუსიკალური ჯგუფებისადმი ხელმძღვანელობა და დახმარება.

4. განათლების სამინისტროს მომარაგებისა და დამხმარე წარმოებათა სამმართველომ (ს. არველაძე) 1970—1971 სასწავლო წლის დასაწყისისათვის უზრუნველყოს მუსიკალური ჯგუფების დოკუმენტაციის დაბეჭდვა, ესთეტიკური აღზრდის რესპუბლიკური სამეცნიერო მეთოდური კაბინეტის მიერ წარმოდგენილი ნიმუშებისა და რაოდენობის მიხედვით.

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1970 წლის 13 მარტის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. **ლაშქარაშვილი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1970 წ. 10 აპრილის ბრძანება № 195

### ქალაქ თბილისსა, გორსა და რუსთავში, ადიგენის, ამბროლაურის, ასპინძის, ახმეტის, ბოგდანოვკის, ბოლნისის, ბორჯომის, გორის, ლენტეხის, მესტიის, სიღნაღის, თეთრიწყაროს, თიანეთის, ხაშურის, ცაგერის რაიონებში საყოველთაო სავალდებულო სწავლების კანონის განხორციელების მდგომარეობის შესახებ

გავეცანი რა ქალაქების თბილისის, გორის და რუსთავის, ადიგენის, ამბროლაურის, ასპინძის, ახმეტის, ბოგდანოვკის, ბოლნისის, ბორჯომის, გორის, ლენტეხის, მესტიის, სიღნაღის, თეთრიწყაროს, თიანეთის, ხაშურის, ცაგერის სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეების, თ. ეგაძის, ვ. ზექალიშვილის, რ. ურუშაძის, პ. გზირიშვილის, მ. ჭილვარიას. ვ. თამაზაშვილის, ს. სალაძის, ხ. თუმასიანის, ზ. ბარათაშვილის, ბ. ძინჯიას, ა. ჩხეიძის, რ. შავრეშიანის, ნ. გუჯეჯიანის, ე. დალაქიშვილის, დ. ბექაურის, ე. თურქიაშვილის, კ. ნადირაძის და კ. გოდოლაძის მოხსენებებს და განათლების სამინისტროში არსებულ მასალებს, აღვნიშნავ, რომ მიუხედავად გატარებული ღონისძიებებისა, ზემოდ დასახელებულ ქალაქებსა და რაიონებში საყოველთაო სავალდებულო სწავლების კანონის გატარების საქმეში ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს.

ქ. რუსთავში I—VIII კლასების მოსწავლეთა კონტინგენტის გეგმის შესრულებას დააკლდა 55 ბავშვი, ადიგენის რაიონში—32, ამბროლაურის რ-ში—91, ასპინძის რ-ში—50, ახმეტის რაიონში—53, ბოგდანოვკის რაიონში—196, ბოლნისის რაიონში—58, ბორჯომის რაიონში—14, ლენტეხში—58, მესტიაში—90, თეთრიწყაროში—103, თიანეთში—75.

დიდია სკოლებიდან გასულ მოსწავლეთა რაოდენობა. ქ. თბილისის სკოლებიდან 1968—1969 სასწავლო წელს გავიდა [illegible] მოსწავლე (3,0%), მათ შორის მუშა ახალგაზრდობის სკოლებში 979, ავადმყოფობით და სხვა მიზეზით—269 მოსწავლე; ქ. რუსთავიდან—630 (3.3%), მათ შორის მუშა ახალგაზრდობის სკოლებში—250; ქ, გორიდან—262 (3.17), მათ შორის მუშა ახალგაზრდობის სკოლებში—135, ავადმყოფობით და სხვა მიზეზით—33, ადიგენიდან—133 (2.66), ავადმყოფობით და სხვა მიზეზით—62, ამბროლაურიდან—44 (4.01), მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლებში—12; ასპინძიდან 55 (1.76), ახმეტიდან—346 (3.94), მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლებში—96, ავადმყოფობით და სხვა მიზეზით—59. ბოგდანოვკიდან—215 (2.07), მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლებში—13, ავადმყოფობით და სხვა მიზეზით—39; ბორჯომიდან—205 (3.2), მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლებში—29; ავადმყოფობით და სხვა მიზეზით—29; გორის რაიონიდან—337 (2.07), მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლებში—23, ავადმყოფობით და სხვა მიზეზით—147; ლენტეხიდან—95 (3.0). ავადმყოფობით და სხვა მიზეზით—60; მესტიიდან—171 (4.35), ავადმყოფობით და სხვა მიზეზით—54. სიღნაღიდან—91 (1.06), თეთრიწყაროდან—313 (3.81), ავადმყოფობით და სხვა მიზეზით—99, თიანეთიდან—154 (4.27), ავადმყოფობით და სხვა მიზეზით—40; ხაშურიდან—154 (4.45), მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლებში—38; ცაგერიდან—62 (1.32%), ავადმყოფობით და სხვა მიზეზით გავიდა 26 ბავშვი. ბოლნისიდან—439 (3.6), მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლებში—88, ავადმყოფობით და სხვა მიზეზით—66. ქ. თბილისის სკოლების I—VIII კლასებიდან გავიდა 2426, მუშა ახალგაზრდობის სკოლებში—463, ავადმყოფობით—126, ქ. რუსთავიდან—381, მუშა ახალგაზრდობის სკოლებში—161; ქ. გორიდან—164, მუშა ახალგაზრდობის სკოლებში—48, ავადმყოფობით და სხვა მიზეზებით—33; ამბროლაურიდან—81, სოფლის ახალგაზრდობის სკოლებში—9, ავადმყოფობით და სხვა მიზეზით—41; ადიგენიდან—101, ავადმყოფობით და სხვა მიზეზით—55, ასპინძიდან—50, სოფლის ახალგაზრდობის სკოლებში—6, ავადმყოფობით და სხვა მიზეზით—18, ახმეტიდან—199, მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლებში—62, ავადმყოფობით და სხვა მიზეზით—28; ბოლნისიდან 310, მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლებში—66, ავადმყოფობით და სხვა

მიზეზით—49; ბორჯომიდან—140, მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლებში—16, ავადმყოფობით და სხვა მიზეზით—14; გორის რაიონიდან—183, სოფლის ახალგაზრდობის სკოლებში—9, ავადმყოფობით და სხვა მიზეზით—117; ლენტეხიდან—45, ავადმყოფობით და სხვა მიზეზით—38; მესტიიდან—141, ავადმყოფობით და სხვა მიზეზით—50; სიღნაღიდან—57, მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლებიდან—14; თეთრიწყაროდან—238, მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლებში—16, ავადმყოფობით და სხვა მიზეზით—79; თიანეთიდან—111, მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლებში—15, ავადმყოფობით და სხვა მიზეზით—32; ხაშურიდან—161, მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლებში—18, ავადმყოფობით და სხვა მიზეზით—14, ცაგერიდან—51, სოფლის ახალგაზრდობის სკოლებში—8, ავადმყოფობით და სხვა მიზეზით გავიდა—36 ბავშვი.

ეროვნული

ჯეროვნად არ იბრძვიან მოსწავლეთა კონტინგენტის შესანარჩუნებლად ქ. თბილისში 1961—1962 სასწავლო წელს 1 კლასში მიღებული 14684 მოსწავლიდან 1968—1969 სასწავლო წელს რვა კლასი დაამთავრა 12252 (76.5%), შესაბამისად ქ. რუსთავში—1589-დან 1417 (89.1%), ქ. გორში—658-დან—587 (89.2%), ადიგენში—505-დან—409 (80.0), ამბროლაურში—562-დან—442 (78.5), ბორჯომში—720-დან—523 (72.6), გორში—1700-დან—1469 (74.9), ლანჩხუთში—828-დან—702 (84.7), ლენტეხში—456-დან 299 (65.5), მესტიაში—462-დან—333 (72.0), სიღნაღში—968-დან—838 (87.0), თეთრიწყაროში—1021-დან — 617 (60,4), თიანეთში — 462-დან — 267 (57.7), ხაშურში—1038-დან—843 (81.2), ცაგერში—547-დან—422 (77.1).

ქ. თბილისში—1968—1969 სასწავლო წელს რვაკლასდამთავრებულ 10,712 ბავშვიდან 1969—1970 სასწავლო წელს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის 9 კლასში სწავლას აგრძელებს 9995 (93.3%), ქ. რუსთავში—1417-დან 1256 (88.5), ქ. გორში—587-დან—586 (100%), ადიგენში—409-დან 329 (80.4), ამბროლაურში—442-დან—326 (73.7), ასპინძაში—240-დან 227 (94.5), ახმეტაში—697-დან—653 (93.7), ბოგდანოვკაში—768-დან 653 (85,0), ბოლნისში—1116-დან 973 (87.1), ბორჯომში—523-დან 453 (86,6). გორის რაიონში — 1469-დან — 1283 (87,3), ლენტეხში 299 დან 231 (93,9) მესტიაში—333-დან—311 (93,0), სიღნაღში—838-დან—645 (77,0), თეთრწყაროში—617-დან—462 (74.9).

ჯეროვნად არ მუშაობენ აკადემიურად ჩამორჩენილ და მეორე წლიან მოსწავლეთა შორის, რის გამო დიდია მეორეწლიან მოსწავლეთა რაოდენობა, რომელთა გარკვეული ნაწილი აღარ უბრუნდება სკოლებს. ქ. თბილისში 1968—1969 სასწავლო წლის [illegible] დატოვებული იქნა იმავე კლასში 4334 ბავშვი, აქედან 1969—1970 სასწავლო წლის დასაწყისში არ გამოცხადდა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში 561, შესაბამისად ქ. რუსთავში არ გამოცხადდა 623-დან—63, ქ. გორში—326-დან—17, ადიგენში—235-დან—34, ამბროლაურში—150-დან—6, ასპინძაში—150-დან—8, ახმეტაში—482-დან—28, ბოგდანოვკაში—377-დან—23, ბოლნისში—704-დან—71, ბორჯომში—365-დან—105, გორის რაიონში—323-დან—25, ლენტეხში — 189-დან— 9, მესტიაში — 219-დან—57, სიღნაღში—146-დან—14, თეთრწყაროში—550-დან—69, თიანეთში—227-დან—18, ხაშურში—351-დან—11, ცაგერში—116-დან არ გამოცხადებულა 22 მეორეწლიანი.

საყოველთაო სავალდებულო სწავლების საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა გამოსწორების მიზნით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. ქ. თბილისის, გორის, რუსთავის, ადიგენის, ამბროლაურის, ასპინძის, ახმეტის, ბოგდანოვკის, ბოლნისის, ბორჯომის, გორის, ლენტეხის, მესტიის, სიღნაღის, თეთრიწყაროს, თიანეთის, ხაშურის, ცაგერის, სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეებმა თ. ეგაძემ, ვ. ზექალიშვილმა, რ. ურუშაძემ, პ. გზირიშვილმა, ვ. თამაზაშვილმა, ს. სალაძემ, ხ. თუმასიანმა ზ. ბარათაშვილმა, ბ. მინჯიამ, ა. ჩხეიძემ, რ. შავრეშიანმა, ნ. გუჯეჯიანმა, ე. დალაქიშვილმა, დ. ბექაურმა, ე. თურქიაშვილმა, კ. ნადირაძემ და კ. გოდოლაძემ გაატარონ შემდეგი ღონისძიება:

ა) არსებითად გააუმჯობესონ მუშაობა აკადემიურად ჩამორჩენილ და მეორეწლიან მოსწავლეებთან, დამატებითი მუშაობის წარმოებით მიაღწიონ იმას, რომ სასწავლო წლის ბოლოსათვის ყველა მეორეწლიანი მოსწავლე აკადემიურად ასწრებდეს;

ბ) სასოფლო საბჭოებთან და სახლმმართველობებთან ერთად ზუსტად აღრიცხონ სკოლას ჩამოცილებული ბავშვები და 1970—1971 სასწავლო წლიდან უზრუნველჰყონ მათი უკლებლივ სწავლებაში ჩაბმა;

გ) 1969—1970 სასწავლო წლის ბოლოს წარმოდგენილ ანგარიშებს თან დაურთონ ზუსტი სიები მოსწავლეთა მოძრაობის შესახებ;

დ) აამაღლონ სკოლის დირექტორების პასუხისმგებლობა საყოველთაო სავალდებულო სწავლების კანონის გატარების საქმისადმი, მკაცრი სასჯელი დაადონ მათ,. ვინც გულგრილად ეკიდება ამ ფრიად მნიშვნელოვანი სახელმწიფო კანონის განხორციელების საქმეს.

2. სკოლების (აკ. ჩხიკვაძე), საგეგმო-საფინანსო (ა. კვაჭაძე) სამმართველოებმა კონტროლი დააწესონ ამ ბრძანების შესრულებაზე.

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1970 წლის 3 აპრილის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. **ლაშქარაშვილი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1970 წ. 10 აპრილის ბრძანება № 196

**აჭარის ასსრ, ქ. ქ. ქუთაისსა და ზუგდიდში, აბაშის, ვანის, ზუგდიდის, ლანჩხუთის, მახარაძის, მაიაკოვსკის, ორჯონიკიძის, სამტრედიის, საჩხერის, თერჯოლის, ხობის, წულუკიძის, წყალტუბოს, ჩოხატაურისა და ჩხოროწყუს რაიონებში საყოველთაო სავალდებულო სწავლების კანონის განხორციელების მდგომარეობის შესახებ**

განვიხილე რა აჭარის ასს რესპუბლიკის განათლების მინისტრის ვ. წულუკიძის, ქალაქების ქუთაისისა და ზუგდიდის სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეების ი. გენძეხაძისა და კ. მიქაიას, აბაშის, ვანის, ზუგდიდის, ლანჩხუთის, მახარაძის, მაიაკოვსკის, ორჯონიკიძის, სამტრედიის, საჩხერის, თერჯოლის, ხობის, წულუკიძის, წყალტუბოს, ჩოხატაურის და ჩხოროწყუს რაიონების სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეების ნ. ფოჩხუას, მ. ხარძეიშვილის, მ. ნარმანიას, ვ. ჩიკაშუას, ხ. ხავთასის, ვ. გიორგობიანის, შ. ჩხიკვაძის, კ. ძნელაძის, ალ. ლომიძის, ს. გაბრიჭიძის, შ. ხარებავას, ს. ჭოლოკავას, ი. მელაძის, მ. კეკელიძის და ვ. როდონაიას ანგარიშებს და განათლების სამინისტროში არსებულ მასალებს საყოველთაო სავალდებულო სწავლების კანონის განხორციელების მდგომარეობის შესახებ აღვნიშნავ, რომ ამ კანონის გატარების საქმეში ადგილი აქვს ნაკლოვანებებს; დიდია სკოლებიდან გასულ მოსწავლეთა რაოდენობა. აჭარის ასს რესპუბლიკის სკოლებიდან 1968—1969 სასწავლო წელს გავიდა 1903 მოსწავლე (3.12%), მათ შორის სხვა რესპუბლიკის სკოლებში 526, პროფტექნიკურ სასწავლებლებში—478, ტექნიკუმებში—88, მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლებში—313, არმიაში—64, ავადმყოფობით და სხვა მიზეზით—418; ქ. ქუთაისიდან—457 (1.74),

მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლებში—108, ქ. ზუგდიდიდან—162 (2.02)—მუშა ახალგაზრდობის სკოლებში—46; აბაშის რაიონიდან—77 (1.41), ავადმყოფობით და სხვა მიზეზით—41; ვანის რაიონიდან—164,(1.87), მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლებში—25, ავადმყოფობით და სხვა მიზეზით—80; ზუგდიდის რაიონიდან—227 (2.79), ავადმყოფობით და სხვა მიზეზით—58; ლანჩხუთიდან—189 (2.55), ავადმყოფობით და სხვა მიზეზით—57; მახარაძიდან—371 (1.52), მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლებში—78, ავადმყოფობით და სხვა მიზეზით—41; მაიაკოვსკიდან 45 (0,74), მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლებში—35: ორჯონიკიძიდან—178 (8.43), ავადმყოფობით და სხვა მიზეზით—43; სამტრედიიდან—277 (2.03), მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლებში—41, ავადმყოფობით და სხვა მიზეზით—27; საჩხერიდან—168 (1.5), მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლებში—40; თერჯოლიდან—166 (1.76), მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლებში—42; ხობიდან—162 (2.07), ავადმყოფობით და სხვა მიზეზით—43; წულუკიძიდან—92 (1.67); წყალტუბოდან—275 (2.34), მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლებში—41, ავადმყოფობით და სხვა მიზეზით—67; ჩოხატაურიდან—264 (4.47), ავადმყოფობით და სხვა მიზეზით—79; ჩხოროწყუს რაიონიდან გავიდა 187 (2.6), ავადმყოფობით და სხვა მიზეზით გავიდა 141 ბავშვი.

საჭირო ზომებს არ ღებულობენ მოსწავლეთა კონტინგენტის შესანარჩუნებლად. აჭარის ასს რესპუბლიკაში 1961—1962 სასწავლო წელს 1-ლ კლასში მიღებულ მოსწავლეთაგან 1968—1969 სასწავლო წელს 8 კლასი დაამთავრა 77.4 პროცენტმა, ქ. ქუთაისში—93.2, ქ. ზუგდიდში—83.3; აბაშაში—93 5, ვანში—83.9; ზუგდიდში—85.9; ლანჩხუთში—84.7; მახარაძეში—73.6; მაიაკოვსკში—85.8, ორჯონიკიძეში—75.5, სამტრედიაში—87.8; საჩხერეში—70.8, თერჯოლაში—86.0, ხობში—91.2; წულუკიძეში—85.0, წყალტუბოში—94.1; ჩოხატაურში—74.1, ჩხოროწყუს რაიონში—81.6 პროცენტმა.

აჭარის ასს რესპუბლიკაში 1968—1969 სასწავლო წელს VIII კლასდამთავრებულთაგან მე-9 კლასში სწავლას აგრძელებენ 4691-დან—3489 (75.3). ქ. ქუთაისში—2345-დან—2067 (88.1), ქ. ზუგდიდში 670-დან—630 (94.0%), აბაშაში—537-დან—411(78.4), ვანში—864-დან—731 (84,6), ზუგდიდში—1408-დან—1185 (84.1); ლანჩხუთში—702-დან—502 (71.5); მახარაძეში—1179-დან—

972 (82.4), მაიაკოვსკში—586-დან—592 (84.0); ორჯონიკიძეში—607-დან—502 (82.7), სამტრედიაში—1004-დან—726 (72.[illegible]), თერჯოლაში—849-დან 656 (77.1), ხობში—716-დან—497 (69.4); წულუკიძეში—563-დან—469 (83.2), წყალტუბოში—1204-დან—921 (76.0), ჩოხატაურში—591-დან—381 (71.7), ჩხოროწყუში—677-დან—538 (79.4).

სახალხო განათლების განყოფილებები და სკოლები ნაკლებად იბრძვიან მეორეწლიანობის და აკადემიური ჩამორჩენილობის წინააღმდეგ, რის გამო დიდია მეორეწლიანთა რაოდენობა. აჭარის ასს რესპუბლიკაში 1970—1971 სასწავლო წელს 3725 მეორეწლიანი მოსწავლიდან არ გამოცხადდა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში 242. შესაბამისად ქ. ქუთაისში 161-დან—32; ქ. ზუგდიდში—88-დან 14, აბაშაში—40-დან 15, ვანში—184-დან—27, ზუგდიდის რაიონში—405-დან—82; ლანჩხუთში—220-დან—18; მახარაძეში—865-დან 99; მაიაკოვსკში—104-დან—10, ორჯონიკიძეში—529-დან—111, სამტრედიაში—223-დან—19, საჩხერეში—434-დან—19. თერჯოლაში—277-დან—11, ხობში—191-დან—30, წულუკიძეში—139-დან—23; წყალტუბოში—271-დან—18, ჩოხატაურში—297-დან—47; ჩხოროწყუს რაიონში—163-დან—22 მეორეწლიანი მოსწავლე.

საყოველთაო სავალდებულო სწავლების კანონის განხორციელების საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის მიზნით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. აჭარის ასსრ განათლების მინისტრმა ამხ. ვ. წულუკიძემ, ქ. ქუთაისისა და ქ. ზუგდიდის სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეებმა ი, გენძეხაძემ და კ. მიქაიამ, აბაშის, ვანის, ზუგდიდის, ლანჩხუთის, მახარაძის, მაიაკოვსკის, ორჯონიკიძის, სამტრედიის, საჩხერის, თერჯოლის, ხობის, წულუკიძის, წყალტუბოს, ჩოხატაურის და ჩხოროწყუს რაიონების სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეებმა ნ. ფოჩხუამ, მ. ხარძეიშვილმა, მ. ნარმანიამ, ვ. ჩიკაშუამ, ა. ხავთასმა, ვ. გიორგობიანმა, შ. ჩხიკვაძემ, კ. ძნელაძემ. ა. ლომიძემ, ს. გაბრიჭიძემ, შ. ხარებავამ, ს. ჭოლოკავამ, ი. მელაძემ, მ. კეკელიძემ და ვ. როდონაიამ საყოველთაო სავალდებულო სწავლების კანონის განუხრელად განხორციელებისათვის გაატარონ შემდეგი ღონისძიებები:

ა) არსებითად გააუმჯობესონ მუშაობა აკადემიურად ჩამორჩენილ და მეორეწლიან მოსწავლეთა შორის, ქმედითი ზომები მიიღონ, რათა სასწავლო წლის ბოლოსათვის ასწრებდეს ყველა მეორეწლიანი მოსწავლე;

ბ) საბინაო სამმართველოებთან და საბჭოებთან ერთად ზუსტად აღრიცხონ სკოლას ჩამოცილებული ბავშვები და ახალი 1970—1971 სასწავლო წლისათვის უზრუნველყონ მათი ჩაბმა სწავლებაში;

გ) გაატარონ საჭირო ღონისძიებანი მოსწავლეთა კონტინგენტის უკლებლივ შენარჩუნებისათვის;

დ) 1969—1970 სასწავლო წლის ანგარიშების წარმოდგენისას წარმოადგინონ ზუსტი ცნობები (სიების დართვით) მოსწავლეთა მოძრაობის შესახებ.

2. აჭარის ასს რესპუბლიკის განათლების მინისტრის ვ. წულუკიძის, ორჯონიკიძის, ჩოხატაურის და ჩხოროწყუს რაიონების სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეების შ. ჩხიკვაძის, მ. კეკელიძის და ვ. როდონაიას ყურადღებას მივაქცევ აჭარის ასს რესპუბლიკასა და ორჯონიკიძის, ჩოხატაურის და ჩხოროწყუს რაიონებში საყოველთაო სავალდებულო სწავლების განხორციელების საქმეში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებებზე.

3. სკოლების (ამხ. აკ. ჩხიკვაძე), საგეგმო-საფინანსო (ა. კვაჭაძე) სამმართველოებმა.

1970 წ. მეორე კვარტალში გაითვალისწინონ შერჩევით ქალაქებსა და რაიონებში საყოველთაო სავალდებულო სწავლების კანონის განხორციელების მდგომარეობის შესწავლა.

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1970 წლის 27 მარტის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **თ. ლაშქარაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1970 წ. 10 აპრილის ბრძანება № 198

### სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში, ახალქალაქის, ახალციხის, ზესტაფონის, გარდაბნის, დმანისის, კასპის, მცხეთის, ყაზბეგის, ონის, წალენჯიხის, ქარელის, საგარეჯოს, წითელწყაროს, წალკისა და გეგეჭკორის რაიონებში საყოველთაო სავალდებულო სწავლების კანონის განხორციელების მდგომარეობის შესახებ

გავეცანი რა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო განათლების განყოფილების გამგის გ. ძაგოევის, ახალქალაქის, ახალციხის, ზესტაფონის, გარდაბნის, დმანისის, კასპის, მცხეთის, ყაზბეგის, ონის, წალენჯიხის, ქარელის, საგარეჯოს, წითელწყაროს, წალკის და გეგეჭკორის რაიონების სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეების კ. კარახანიანის, ბ. ახვლედიანის, მ. ჩიქოვანის, ა. ერტელიშვილის, ა. მანსუროვის, ა. ბექანიშვილის, გ. კურკუმულის, ვ. ცანავას, ვ. მაისურაძის, ვ. ბელქანიას, ნ. გოგიჩაიშვილის, ი. ბედიაშვილის, გ. ლომაშვილის, ლ. კარსლიევას და შ. ცანავას მოხსენებებს და განათლების სამინისტროში არსებულ მასალებს სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში და დასახელებულ რაიონებში საყოველთაო სავალდებულო სწავლების კანონის განხორციელების თაობაზე, აღვნიშნავ, რომ მიუხედავად გატარებული ღონისძიებებისა, საყოველთაო სავალდებულო განათლების კანონის განხორციელების საქმეში ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს.

I—VIII კლასების მოსწავლეთა კონტინგენტის 1969—1970 სასწავლო წლის სახელმწიფო სამეურნეო გეგმების შესრულებას დააკლდა სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში—331, ახალციხის რაიონში—284, ახალქალაქის რაიონში—243, ბოგდანოვკის რაიონში—196, ყაზბეგის რაიონში—246, ონის რაიონში—145, წალენ-

ჯიხის რაიონში—169, წითელწყაროს რაიონში—224, გეგეჭკორის რაიონში—5 ბავშვი.

დიდია სკოლიდან გასულ მოსწავლეთა რაოდენობა; 1968—1969 სასწავლო წელს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სკოლები-დან გასულია 957 ბავშვი (ანუ მოსწავლეთა საერთო რაოდენობის 4.7%), მათ შორის სხვა რესპუბლიკის სკოლებში გადავიდა—345, ტექნიკუმებში—37, პროფტექნიკურ სასწავლებლებში—113, მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლებში—98, არმიაში—42, ავადმყოფობით და სხვა მიზეზით—518; ახალქალაქიდან—707, სხვა რესპუბლიკაში—383, პროფტექნიკურ სასწავლებლებში—87, ტექნიკუმებში—6, მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლებში—37, არმიაში—18, გარდაიცვალა—7, ავადმყოფობით და სხვა მიზეზებით—169; ახალციხიდან—441, სხვა რესპუბლიკაში—270, ტექნიკუმებში—9, პროფტექნიკურ სასწავლებლებში—40, მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლებში—29, არმიაში—15, გარდაიცვალა—4, ავადმყოფობით და სხვა მიზეზებით—74; ზესტაფონიდან—194, სხვა რესპუბლიკაში—29, ტიქნიკუმებში—11, პროფტექნიკურ სასწავლებლებში—63, მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლებში—55, არმიაში—2, გარდაიცვალა—1; ავადმყოფობით და სხვა მიზეზით—33; ყაზბეგიდან—121, სხვა რესპუბლიკაში—59, ტექნიკუმებში—7, პროფტექნიკურ სასწავლებლებში—2, მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლებში—3, არმიაში—1, ავადმყოფობით და სხვა მიზეზით—49; ონიდან—159, სხვა რესპუბლიკაში—7, ტექნიკუმებში—8, პროფტექნიკურ სასწავლებლებში—8, მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლებში—40, არმიაში—1, ავადმყოფობით და სხვა მიზეზებით—95; წალენჯიხიდან—204, სხვა რესპუბლიკაში—89, ტექნიკუმებში—7, პროფტექნიკურ სასწავლებლებში—20, მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლებში—31, არმიაში—8, გარდაიცვალა—2, ავადმყოფობით და სხვა მიზეზით—47; წითელწყაროდან—399, სხვა რესპუბლიკაში—124, ტექნიკუმებში—24, პროფტექნიკურ სასწავლებლებში—122, მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლებში—70, არმიაში—3, გარდაიცვალა—1; ავადმყოფობით და სხვა მიზეზით—55; წალკიდან—301, სხვა რესპუბლიკაში—109, ტექნიკუმებში—8, პროფტექნიკურ სასწავლებლებში—48, მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლებში—24, არმიაში—2, გარდაიცვალა—4, ავადმყოფობით და სხვა მიზეზით—116, გეგეჭკორიდან—228, სხვა რესპუბლიკებში—10,

ტექნიკუმებში—11, პროფტექნიკურ სასწავლებლებში—80, მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლებში—51, არმიაში—14, ავადმყოფობით და სხვა მიზეზებით—62, დმანისის რაიონიდან—310, აქედან სხვა რესპუბლიკის სკოლებში—60, ტექნიკუმებში—[illegible], პროფტექნიკურ სასწავლებლებში—91, მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლებში—23; არმიაში—8, გარდაიცვალა—3, ავადმყოფობით და სხვა მიზეზით—127; მცხეთიდან—206, სხვა რესპუბლიკაში—12, ტექნიკუმებში—15, პროფტექნიკურ სასწავლებლებში—64, მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლებში—39, გარდაიცვალა—3, ავადმყოფობით და სხვა მიზეზით—7, საგარეჯოდან—334, სხვა რესპუბლიკაში—42, ტექნიკუმებში—16, პროფტექნიკურ სასწავლებლებში—49, მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლებში—35, არმიაში—2, გარდაიცვალა—4, ავადმყოფობით და სხვა მიზეზით—189; კასპიდან—161, სხვა რესპუბლიკაში—12, ტექნიკუმებში—68, პროფტექნიკურ სასწავლებლებში—80, მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლებში—44, არმიაში—6; ქარელიდან—155, სხვა რესპუბლიკაში—16, ტექნიკუმებში—7, პროფტექნიკურ სასწავლებლებში—109, მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლებში—14, არმიაში—6, გარდაიცვალა—3, გარდაბნის რაიონში—გავიდა 651, მათ შორის სხვა რესპუბლიკაში გადავიდა—163, ტექნიკუმებში—32, პროფტექნიკურ სასწავლებლებში—182, მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლებში—188, არმიაში—29, გარდაიცვალა—2, ავადმყოფობით და სხვა მიზეზით გავიდა 55 ბავშვი.

აღსანიშნავია, რომ 1968—1969 სასწავლო წელს I—VIII კლასების მოსწავლეთაგან სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სკოლებიდან გავიდა—662 ბავშვი, მათ შორის სხვა რესპუბლიკებში—301, პროფტექნიკურ სასწავლებლებში—64, მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლებში—57, არმიაში—18, გარდაიცვალა—4, ავადმყოფობით და სხვა მიზეზებით—218; ახალქალაქის რაიონიდან—513, მათ შორის სხვა რესპუბლიკაში—472, პროფტექნიკურ სასწავლებლებში—49, მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლებში—25, არმიაში—9, გარდაიცვალა—7, ახალციხის რაიონიდან—318, სხვა რესპუბლიკაში—230, პროფტექნიკურ სასწავლებლებში—49, მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლებში—19, არმიაში—1, გარდაიცვალა—2, ავადმყოფობით და სხვა მიზეზით—37; ზესტაფონის რაიონში—65, სხვა რესპუბლი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კებში—23, პროფტექნიკურ სასწავლებლებში—39, მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლებში—31, არმიაში—1, გარდაიცვალა—1; დმანისის რაიონიდან—266, სხვა რესპუბლიკაში—31, პროფტექნიკურ სასწავლებლებში—77, მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლებში—16, გარდაიცვალა—2, ავადმყოფობით და სხვა მიზეზით—120; წალკის რაიონიდან—212, სხვა რესპუბლიკაში—95, პროფტექნიკურ სასწავლებლებში—33, მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლებში—20, არმიაში—1, გარდაიცვალა—4, ავადმყოფობით და სხვა მიზეზებით—67; ყაზბეგის რაიონიდან—109; სხვა რესპუბლიკაში—57, პროფტექნიკურ სასწავლებლებში—1, მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლებში—3, არმიაში—1, ავადმყოფობით და სხვა მიზეზებით—47; ონის რაიონიდან—101, სხვა რესპუბლიკაში—7, პროფტექნიკურ სასწავლებლებში—7, მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლაში—33, არმიაში—1, ავადმყოფობით და სხვა მიზეზებით—54; წალენჯიხის რაიონიდან—214, სხვა რესპუბლიკაში—87, პროფტექნიკურ სასწავლებლებში—9, მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლებში—20, არმიაში—1, გარდაიცვალა—2, ავადმყოფობით და სხვა მიზეზებით—95; წითელწყაროს რაიონში—348, სხვა რესპუბლიკაში—117, პროფტექნიკურ სასწავლებლებში—117, მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლებში—40, არმიაში—3, გარდაიცვალა—3, ავადმყოფობით და სხვა მიზეზებით—70; გეგეჭკორის რაიონიდან გავიდა 141 ბავშვი, სხვა რესპუბლიკაში—10, პროფტექნიკურ სასწავლებლებში—64, მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლებში—36, არმიაში—1, ავადმყოფობით და სხვა მიზეზებით—30; მცხეთიდან—124, სხვა რესპუბლიკაში—12, პროფტექნიკურ სასწავლებლებში—54, მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლებში—15, გარდაიცვალა—3, ავადმყოფობით და სხვა მიზეზით—40; წალკიდან—212, სხვა რესპუბლიკებში—95, პროფტექნიკურ სახწავლებლებში—33, მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლებში—13, არმიაში—1, გარდაიცვალა—4, ავადმყოფობით და სხვა მიზეზით—67, საგარეჯოდან—226, სხვა რესპუბლიკაში—42, პროფტექნიკურ სასწავლებლებში—18, მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლებში—22, გარდაიცვალა—2, ავადმყოფობით და სხვა მიზეზით—142, კასპიდან—1.7, სხვა რესპუბლიკაში—8, პროფტექნიკურ სასწავლებლებში—36, მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლებში—17, არმიაში—1, ავადმვოფობით და სხვა მიზეზით—55; ქარელიდან—73,

სხვა რესპუბლიკაში—14, პროფტექნიკურ სასწავლებლებში—67, მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლებში—6, არმიაში—2, გარდაიცვალა—2, გარდაბნის რაიონიდან გავიდა—480, აქედან სხვა რესპუბლიკაში—116, პროფტექნიკურ სასწავლებლებში—146, მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლებში—146, არმიაში—20, გარდაიცვალა—51, ავადმყოფობით და სხვა მიზეზით გავიდა—52 ბავშვი.

ადგილებზე საჭირო ზომებს არ იღებენ მოსწავლეთა კონტინგენტის შესანარჩუნებლად. მაგალითად, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში 1 კლასში 1961—1962 სასწავლო წელს მიღებული იყო 2627 ბავშვი, აქედან 1968—1969 სასწავლო წელს 8 კლასი დაამთავრა 1840-მა (70%); შესაბამისად ახალციხის რაიონში—2185-დან—1677-მა (76.7%), ახალქალაქის რაიონში—2967-დან—2188-მ (73.3%-მა), გეგეჭკორის რაიონში — 1259-დან—939-მა (74.5), ყაზბეგის რაიონში—200-დან—121-მა (60.5%), ონის რაიონში—468-დან—354-მა (75.6%): წალენჯიხის რაიონში—947-დან—666-მა (70.3%); წითელწყაროს რაიონში 772-დან—548 (70.9%), დმანისის რაიონში—1122-დან—763-მა (68.3%); მცხეთის რაიონში—782-დან — 673-მა (85.1%); კასპის რაიონში—1217-დან—1017-მა (83.5%), ქარელის რაიონში 1165-დან—1026-მა (88.0%), საგარეჯოს რაიონში—919-დან 725-მა (78.6%).

1968—1969 სასწავლო წელს 1840 8 კლასდამთავრებულთაგან IX კლასებში სწავლას აგრძელებს სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში—1610 (87.5%), ახალქალაქის რაიონში—1420-დან 1204 (85.0%), ახალციხის რაიონში — 1028-დან — 880 (85.6%), დმანისის რაიონში—763-დან—536 (70.1%); ყაზბეგის რაიონში—121-დან—74 (61.1%), ონის რაიონში—354-დან — 295 (83.3%). წალენჯიხის რაიონში — 666-დან—581 (88.9%), წითელწყაროს რაიონში — 548-დან — 427 (77.9%), ბოგდანოვკის რაიონში — 768-დან — 653 (85.0%), გეგეჭკორის რაიონში — 939-დან — 800 (85 2%), მცხეთის რაიონში — 613-დან — 448 (73.1%), კასპის რაიონში—1017-დან—731 (71.8%), ქარელის რაიონში—1026-დან —868 (84.5%), საგარეჯოს რაიონში—795-დან—524 (72.2%).

მოსწავლეთა სკოლიდან ჩამოშორების ძირითად მიზეზს აკადემიური ჩამორჩენილობა და მეორეწლიანობა წარმოადგენს; 1968—1969 სასწავლო წლის ბოლოს საგაზაფხულო და საშემოდგომო გამოცდების შედეგად სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში

იმავე კლასში დატოვებული იქნა 1288 მოსწავლე, ახალციხის რაიონში—526, ახალქალაქის რაიონში—752, წალკის რაიონში—798, წითელწყაროს რ-ში—466, წალენჯიხის რაიონში—483, [illegible] რაიონში—228, ყაზბეგის რაიონში დატოვებული იქნა 70 მოსწავლე. მეორეწლიანთაგან სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში არ გამოცხადებულა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში—83 მოსწავლე; ახალციხეში—79, ახალქალაქში—8, ონში—20, ყაზბეგის რაიონში—7, წალკაში—62, წითელწყაროში—20, წალენჯიხაში—59 მეორეწლიანი მოსწავლე.

ცუდად არის დაყენებული მუშაობა მეორეწლიან მოსწავლეთა შორის; მაგალითად, წითელწყაროს რაიონში 1969—1970 სასწავლო წლის პირველი ნახევრის შედეგების მიხედვით 395 შეფასებული მეორეწლიან მოსწავლეთაგან ვერ ასწრებს 102 მოსწავლე, ახალქალაქში მეორეწლიან მოსწავლეთა მოსწრება 80%-ს უდრის. აღსანიშნავია, რომ ახალქალაქში გასულ სასწავლო წელს 640 მეორეწლიანი მოსწავლიდან შემდეგ კლასში გადავიდა—420, იმავე კლასში მესამედ იქნა დატოვებული 220 ბავშვი.

სკოლის ხელმძღვანელთა ერთი ნაწილი დაუდევრობას იჩენს სტატისტიკური ანგარიშების დროულად წარმოდგენისადმი, ხოლო რაიონის და საქალაქო სახალხო განათლების განყოფილებებში ამ საქმის შეჯამებას ზოგჯერ მეორეხარისხოვან მუშაკებს ანდობენ. წალენჯიხის რაიონში 5 სექტემბრის ანგარიშში რაიონის სკოლებმა ზედმეტად უჩვენეს 37 ბავშვი. ერთი და იგივე ბავშვი ორ ადგილას აქვთ ნაჩვენები ფახულანის, მეჟავას, ჩქვალერის, ჯვარის პირველ და მეორე; ჯგალის, საჩინოს საშუალო, მედანის, ლეჯოხინეს რვაწლიან, ქველეს და ნაშამგუს დაწყებით სკოლებს. ზოგჯერ სასკოლო ასაკის ბავშვები ფორმალურად გადაჰყავთ მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლებში; მასობრივი სკოლები იღებენ ცნობებს, რომ მათი მოსწავლეები მუშა თუ სოფლის ახალგაზრდობის სკოლებში ირიცხებიან, ფაქტიურად ისინი ამ სკოლებში არ სწავლობენ. მაგ. ახალქალაქის მუშა ახალგაზრდობის სკოლიდან (დირექტორი ო. კარტაშიანი) გასულ სასწავლო წელს გავიდა 30 და მიმდინარე სასწავლო წელს 22 სასკოლო ასაკის ბავშვი. ამ სკოლაში მოსწავლეთა ჩარიცხვა ხდება ყოველგვარი კანონების დარღვევით. VIII კლასში ჩარიცხულია 2 დღის სკოლის VII კლასში, ხოლო ერთი VI კლასში დატოვებული მოსწავლე; VII კლასში ჩარიცხულია ერთი მოსწავლე V კლასიდან.

საყოველთაო სავალდებულო განათლების კანონის განხორციელების საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის განათლების განყოფილების გამგემ გ. ძაგოევმა, ახალქალაქის, ახალციხის, ზესტაფონის, გარდაბნის, დმანისის, კასპის, ყაზბეგის, მცხეთის, ონის, წალენჯიხის, ქარელის, საგარეჯოს, წითელწყაროს, წალკის და გეგეჭკორის რაიონების სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეებმა კ. კარახანიანმა, ბ. ახვლედიანმა, მ. ჩიქოვანმა, ა. ერტელიშვილმა, ა. მანსუროვმა, ა. ბექაშვილმა, გ. კურკუმულმა, ვ. ცანავამ, ვ. მაისურაძემ, ვ. ბელქანიამ, ნ. გოგიჩაიშვილმა, გ. ლომაშვილმა, ლ. კარსლიევამ და მ. ცანავამ გაატარონ შემდეგი ღონისძიებანი:

1. გადამჭრელი ზომები მიიღონ სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის მკვეთრად გასაუმჯობესებლად, დარაზმონ განათლების მუშაკები, სკოლების ხელმძღვანელები, მასწავლებელთა და მშობელთა კოლექტივები მოსწავლეთა აკადემიური მომზადების დონის ასამაღლებლად, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მეორე წლიან მოსწავლეთა შორის მუშაობას, განახორციელონ დამატებითი ღონისძიებანი, რათა სასწავლო წლის ბოლოსათვის ლიკვიდაცია უყონ I—VIII კლასების მეორეწლიან მოსწავლეთა აკადემიურ ჩამორჩენილობას.

2. საჭირო ზომები მიიღონ სკოლების მატერიალური ბაზის განსამტკიცებლად; სასწავლო კაბინეტებისა და სახელოსნოების სრულყოფილად მოსაწყობად, საჭირო იარაღ-მოწყობილობებითა და რეაქტივებით მათი უზრუნველყოფისათვის; რადიკალური ზომები მიიღონ სასკოლო ინტერნატებისა და გახანგრძლივებული დღის ჯგუფების მუშაობის გასაუმჯობესებლად.

3. 1969—1970 სასწავლო წლის ანგარიშების წარმოდგენისას განათლების სამინისტროს წარმოუდგინონ ზუსტი ცნობები (სიების თანდართვით) სკოლებიდან გასულ მოსწავლეთა შესახებ.

4. ყველა ზომა მიიღონ მოსწავლეთა კონტინგენტის შესანარჩუნებლად. სასოფლო საბჭოებთან და სახლმმართველობებთან ერთად, კარდაკარ ჩამოვლით ზუსტად აღრიცხონ სწავლას ჩამოცილებული ბავშვები და უზრუნველჰყონ მათი უკლებლივ სწავლებაში ჩაბმა ახალი 1970—1971 სასწავლო წლიდან.

5. გაზარდონ სკოლის დირექტორების პასუხისმგებლობა საყოველთაო სავალდებულო სწავლების კანონის განხორციელების საქმისადმი, მკაცრი სასჯელი დაადონ იმ სკოლის დირექტორებს, რომლებიც გულგრილად ეკიდებიან ამ დიდმნიშვნელოვან სახელმწიფო კანონის განხორციელების საქმეს.

6. ახალქალაქის მუშა ახალგაზრდობის საშუალო სკოლის დირექტორი ო. კარტაშიანი, სკოლაში მოსწავლეთა ჩარიცხვის წესების უხეშად დარღვევისათვის, მასობრივი სკოლების სასკოლო ასაკის ბავშვთა ხელაღებით ჩარიცხვისათვის და ასევე სკოლიდან მათი გაშვებისათვის იმსახურებს სკოლის დირექტორის თანამდებობიდან მოხსნას, მაგრამ იმის გამო, რომ სახალხო განათლების განყოფილების გამგის ამხ. კ. კარახანიანის განცხადებით იგი სასწავლო წლის ბოლოს მოხუცებულობის პენსიაზე გადის, გამოეცხადოს სასტიკი საყვედური.

7. ახალქალაქის და წალენჯიხის რაიონების სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეებს კ. კარახანიანს და ვ. ბელქანიას საყოველთაო სავალდებულო სწავლების კანონის გატარების საქმისადმი არადამაკმაყოფილებელი ხელმძღვანელობისათვის გამოეცხადოთ საყვედური.

8. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის განათლების განყოფილების გამგის გ. ძაგოევის ყურადღება მიექცეს ოლქში საყოველთაო სავალდებულო სწავლების კანონის განხორციელების საქმეში არსებულ ნაკლოვანებებზე.

9. სკოლების (აკ. ჩხიკვაძე) და საგეგმო-საფინანსო (ა. კვაჭაძე) სამმართველოებმა კონტროლი განახორციელონ ამ ბრძანების შესრულებაზე.

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1970 წლის 20 მარტის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. **ლაშქარაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1970 წ. 10 აპრილის ბრძანება № 199

### აფხაზეთის ასს რესპუბლიკასა, ქ. ფოთსა, ტყიბულის, გურჯაანის, დუშეთის, ლაგოდეხის, მარნეულის, თელავისა და ცხაკაიას რაიონებში საყოველთაო სავალდებულო სწავლების კანონის განხორციელების მდგომარეობის შესახებ

გავეცანი რა აფხაზეთის ასს რესპუბლიკის განათლების მინისტრის ა. ჯონუას, ქალაქების ჭიათურის, ფოთისა და ტყიბულის სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეების გ. ცხადიაშვილის, ა. ცხადაიას, მ. გვენეტაძის, გურჯაანის, დუშეთის, ლაგოდეხის, მარნეულის, თელავის, ყვარელის და ცხაკაიას რაიონების სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეების მ. თოდაშვილის, ა. ბალხამიშვილის, ა. ბეკიაშვილის, უ. გეიდაროვის, ა. ნადაშვილის, დ. ლაფაჩიშვილის და კ. შარტავას მოხსენებებს და განათლების სამინისტროში არსებულ მასალებს აფხაზეთის ასს რესპუბლიკასა და დასახელებულ ქალაქებსა და რაიონებში საყოველთაო სწავლების კანონის განხორციელების თაობაზე, აღვნიშნავ, რომ მიუხედავად გატარებული ერთგვარი ღონისძიებებისა საყოველთაო სავალდებულო სწავლების კანონის განხორციელების საქმეში ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს.

I—VIII კლასების მოსწავლეთა კონტინგენტის 1969—1970 სასწავლო წლის სახელმწიფო გეგმის შესრულებას დააკლდა აფხაზეთის ასსრ-ში 278 ბავშვი, ქ. ფოთში—164, ქ. ტყიბულში—173, გურჯაანში—135, დუშეთში—109, ლაგოდეხში—255, მარნეულში—393, თელავში—102, ცხაკაიას რაიონში გეგმის შესრულებას დააკლდა 126 ბავშვი.

დიდია სკოლიდან გასულ მოსწავლეთა რაოდენობა, 1968—1969 სასწავლო წელს აფხაზეთის ასსრ-ის სკოლებიდან გავიდა 3318

მოსწავლე (ანუ მოსწავლეთა საერთო რაოდენობის 3.45%), აქედან გადავიდა სხვა მოკავშირე რესპუბლიკის სკოლებში—1141, პროფ-ტექნიკურ სასწავლებლებში—565, ტექნიკუმებში—174, მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლებში—553, არმიის რიგებში გაწვიეს—24, გარდაიცვალა—6, ავადმყოფობისა და სხვა მიზეზით გავიდა—855; ქ. ტყიბულის სკოლებიდან გავიდა—347 (3,76%), აქედან გადავიდა სხვა რესპუბლიკის სკოლებში—9, პროფტექნიკურ სასწავლებლებში—83, ტექნიკუმებში—28, მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლებში—134, არმიაში—5, გარდაიცვალა—2, ავადმყოფობით და სხვა მიზეზით—86. ქ. ჭიათურიდან—479, სხვა რესპუბლიკაში—30, ტექნიკუმებში—31, პროფტექნიკურ სასწავლებლებში—125, მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლებში—170, არმიაში—5, გარდაიცვალა—2, ავადმყოფობით და სხვა მიზეზებით—116. გურჯაანის რაიონის სკოლებიდან გავიდა—346 (2,47%), მათ შორის სხვა რესპუბლიკის სკოლებში—9, პროფტექნიკურ სასწავლებლებში—167, ტექნიკუმებში—29, მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლებში—96, გაიწვიეს არმიის რიგებში—1, გარდაიცვალა—4, ავადმყოფობით და სხვა მიზეზით—40; დუშეთის რაიონის სკოლებიდან—224 (2,94), აქედან სხვა რესპუბლიკის სკოლებში—13, პროფტექნიკურ სასწავლებლებში—107, ტექნიკუმებში—7, არმიის რიგებში—4, გარდაიცვალა—2, ავადმყოფობით და სხვა მიზეზით—91; ლაგოდეხის რაიონის სკოლებიდან—473 (3,97), სხვა რესპუბლიკაში—67; პროფტექნიკურ სასწავლებლებში—124, ტექნიკუმებში—6, მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლებში—52, არმიაში—2, გარდაიცვალა—2, ავადმყოფობით და სხვა მიზეზით—22, მარნეულის რაიონიდან—657 (2,84) აქედან სხვა რესპუბლიკაში—259, პროფტექნიკურ სასწავლებლებში—217, ტექნიკუმებში—8, მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლებში—98, არმიაში—10, გარდაიცვალა—4, ავადმყოფობით და სხვა მიზეზით—61; თელავის რაიონიდან—308 (2,43), სხვა რესპუბლიკაში—35, პროფტექნიკურ სასწავლებლებში—162, ტექნიკუმებში—24, მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლებში—63, არმიაში—3, გარდაიცვალა—2, ავადმყოფობით და სხვა მიზეზით—13; ყვარელიდან—216, სხვა რესპუბლიკაში—39, ტექნიკუმებში—5, პროფტექნიკურ სასწავლებლებში—93, მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლებში—53, არმიაში—1, გარდაიცვალა—3, ავადმყოფობით და სხვა მიზეზებით—22: ცხაკაიას რაიონ-

ნიდან—322 (3,22), სხვა რესპუბლიკაში—60, პროფტექნიკურ სასწავლებლებში—85, ტექნიკუმებში—7, მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლებში—64, არმიაში—1, გარდაიცვალა—2, ავადმყოფობით და სხვა მიზეზით—103 ბავშვი,

აღსანიშნავია, რომ I—VIII კლასების მოსწავლეთაგან გავიდა 1968—1969 სასწავლო წელს აფხაზეთის ასს რესპუბლიკიდან—2385 ბავშვი, მათ შორის გადავიდა სხვა რესპუბლაკის სკოლებში 1004, პროფტექნიკურ სასწავლებლებში—438, მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლებში—355, გაიწვიეს არმიაში—24, გარდაიცვალა—6, ავადმყოფობით და გაურკვეველი მიზეზებით გავიდა—558 ბავშვი; ჭიათურიდან გავიდა—316, მათ შორის სხვა რესპუბლიკაში—37, პროფტექნიკურ სასწავლებლებში—63, არმიაში—3, გარდაიცვალა—2, ავადმყოფობით და სხვა მიზეზებით—121; ქ. ტყიბულიდან გავიდა—183, მათ შორის სხვა რესპუბლიკაში—8, პროფტექნიკურ სასწავლებლებში—52, მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლებში—55, არმიაში—19, გარდაიცვალა—2, ავადმყოფობით და გაურკვეველი მიზეზით—65; გურჯაანიდან გავიდა—265, აქედან სხვა რესპუბლიკაში—7, პროფტექნიკურ სასწავლებლებში—113, მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლებში—65. გარდაიცვალა—2, ავადმყოფობით და სხვა გაურკვეველი მიზეზით—78; დუშეთიდან გავიდა—188, აქედან სხვა რესპუბლიკებში—11, პროფტექნიკურ სასწავლებლებში—68, არმიაში—4, გარდაიცვალა—1, ავადმყოფობით და სხვა მიზეზით—84; ლაგოდეხიდან გავიდა—390, აქედან სხვა რესპუბლიკებში—60, პროფტექნიკურ სასწავლებლებში—70, მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლებში—32, არმიაში—2, ავადმყოფობით და გაურკვეველი მიზეზით—226; მარნეულიდან გავიდა—749. აქედან სხვა რესპუბლიკაში—180, პროფტექნიკურ სასწავლებლებში—159, მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლებში—65, არმიაში—6, გარდაიცვლა—4, ავადმყოფობითა ლა სხვა გაურკვეველი მიზეზებით—295; ყვარლის რაიონიდან გავიდა—138, მათ შორის სხვა რესპუბლიკაში—37, პროფტექნიკურ სასწავლებლებში—58, მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლებში—26, გარდაიცვალა—1, ავადმყოფობით და სხვა მიზეზებით—28; ცხაკაიადან გავიდა—215, აქედან სხვა რესპუბლიკაში—50, პროფტექნიკურ სასწავლებლებში—35, მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლებში—16, არმიაში—1, გარდაი-

ცვალა — 2, ავადმყოფობით და სხვა გაურკვეველი მიზეზით — 111 ბავშვი.

მოსწავლეთა სკოლიდან ჩამოშორების ძირითად მიზეზს წარმოადგენს მოსწავლეთა აკადემიური ჩამორჩენილობა და მეორეწლიანობა, 1969—1970 სასწავლო წლის პირველი ნახევრის შედეგად აფხაზეთის ასსრ-ის სკოლებში შეფასებულ 96078 მოსწავლიდან ვერ ასწრებს 17.358 მოსწავლე, ხოლო 5689 მეორეწლიან მოსწავლიდან ვერ ასწრებს 1717. მოუთმენელი მდგომარეობაა ზოგიერთ სკოლაში; მაგ. სოხუმის მე-3 საშუალო სკოლაში 23 მეორეწლიანი მოსწავლიდან ვერ ასწრებს 18, ოჩამჩირის მე-3 საშუალო სკოლაში 40-დან—24, სოხუმის მე-12 საშუალო სკოლაში 47-დან—31. მარნეულის რაიონში შეფასებული 23023 მოსწავლიდან ვერ ასწრებს 3594, 1302 მეორეწლიანი მოსწავლიდან ვერ ასწრებს 352 უფრო მძიმე მდგომარეობაა ცალკეულ სკოლაში, მარნეულის აზერბაიჯანულ საშუალო სკოლაში 47 მეორეწლიანი მოსწავლიდან ვერ ასწრებს—26, მეორე ქესალოს საშუალო სკოლაში 19-დან—10. კასუმლოს საშუალო სკოლაში 20-დან—14, ბაიდარის საშუალო სკოლაში 19-დან 14, ახკერპის საშუალო სკოლაში ვერ ასწრებს 15 მეორეწლიანი მოსწავლიდან 12 მოსწავლე. ლაგოდეხის რაიონში 392 მეორეწლიანი მოსწავლიდან ვერ ასწრებს 74.

გურჯაანის რაიონში შეფასებულ 13775 მოსწავლიდან ვერ ასწრებს 2079, 662 მეორეწლიან მოსწავლიდან ვერ ასწრებს 220.

დიდია მეორეწლიან მოსწავლეთა რაოდენობა. საგაზაფხულო და საშემოდგომო გამოცდების შედეგად დატოვებული იქნა აფხაზეთის ასსრ-ში 7052, ქ. ფოთში—373, ქ. ტყიბულში—275, დუშეთში—409, ლაგოდეხში—435, მარნეულში—1383, გურჯაანში—747, თელავში—320, ცხაკაიას რაიონში დატოვებულ იქნა იმავე კლასში 146 ბავშვი. მეორეწლიანთაგან არ გამოცხადებულა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში აფხაზეთის ასსრ-ში—817 ბავშვი, ქ. ფოთში—25, ქ. ტყიბულში—26; გურჯაანში 83, დუშეთში—41; ლაგოდეხში—43, მარნეულში—152, თელავში—12, ცხაკაიას რაიონში არ გამოცხადებულა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში 28 მეორეწლიანი მოსწავლე.

აფხაზეთის ასსრ-ში 1969—1970 სასწავლო წლის პირველ ნახევარში გავიდა მასობრივი სკოლებიდან 546 მეორეწლიანი მოსწავლე.

საჭირო ზომები არ ტარდება მოსწავლეთა კონტინგენტის შესანარჩუნებლად. აფხაზეთის ასსრ-ის პირველ კლასში მიღებული იყო 1961—1962 სასწავლო წელს 10704 ბავშვი, 1968—1969 სასწავლო წელს დაამთავრა 8 კლასი 7.439 (70,0%), შესაბამისად ქ. ფოთში 964-დან—615 (63,8%), ქ. ჭიათურაში 1649-დან—1224 (74,2%), ქ. ტყიბულში—1058-დან—838 (79,0%), გურჯაანში—1425-დან—1103 (77,4%), დუშეთში—942-დან—668 (71,0%), ლაგოდეხში—1332-დან—991 (74,6%) მარნეულში—2438-დან—1510 (60,4%), თელავში—1233-დან—998 (80,9%), ყვარელში—891-დან 669 (75,0%), ცხაკაიაში—1072-დან—933 (87,1%).

1968—1969 სასწავლო წელს 8 კლასდამთავრებულთაგან IX კლასებში აგრძელებენ სწავლას აფხაზეთის ასსრ-ში 7439-დან—6676 (81,7%), ქ. ფოთში—615-დან—523 (85,0%), ქ. ჭიათურაში—1224-დან—990 (76,7%), ქ. ტყიბულში—838-დან—736 (87,3%), გურჯაანში—1103-დან—885 (80,2%), დუშეთში—668-დან—438 (65,5%), მარნეულში—1518-დან—1304 (86,3%), ლაგოდეხში—993-დან—807 (81,3%), თელავში—998-დან—901 (90,1%), ცხაკაიაში—933-დან—853 (91,4%).

ცუდად არის დაყენებული სასწავლო მუშაობა, საცხოვრებელი პირობები და კვების ორგანიზაცია სასკოლო ინტერნატებში. აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში 4 სასკოლო ინტერნატში 336 აღსაზრდელიდან კვებაზეა მხოლოდ 86, მარნეულში 5 სასკოლო ინტერნატში 107 აღსაზრდელიდან კვებაზეა 22. სასკოლო ინტერნატები მოთავსებულია შეუფერებელ სხვადასხვა ადგილას დაქირავებულ ბინებში, რომლებიც არ პასუხობს სანიტარულ და პედაგოგიურ მოთხოვნებს, ამ პირობებში შეუძლებელია დავიცვათ სათანადო რეჟიმი და განხორციელდეს სასწავლო-აღმზრდელობითი ღონისძიებანი აღსაზრდელთა შორის.

ზოგან არ სრულდება გახანგრძლივებული დღის ჯგუფები კონტინგენტის გეგმა. გურჯაანის რაიონში გეგმით გათვალისწინებული 115 ბავშვის ნაცვლად ჯგუფებში 89 ბავშვია (77,4%); მარნეულში 1640-ის ნაცვლად—1411 (86,6%).

ჯერ კიდევ არაა მოსპობილი სკოლებში მრავალცვლიანობა, რაც ხელს უშლის სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ნორმალურ დონეზე დაყენებას. აფხაზეთის ასსრ-ში მეორე ცვლაში მეცადინეობს 24399 მოსწავლე, მესამე ცვლაში 399 მოსწავლე. ქ. ფოთში მეორე ცვლაში—2659, მესამეში—91, მეორე ცვლაში სწავ-

ლობს ქ. ტყიბულში—218, გურჯაანში—699, დუშეთში—12[illegible], ლაგოდეხში—3466, მარნეულში—9118, თელავში—3083, ცხაკაიას რაიონში მეორე ცვლაში სწავლობს 1309 ბავშვი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საყოველთაო სავალდებულო განათლების კანონის განხორციელების საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

აფხაზეთის ასს რესპუბლიკის განათლების მინისტრმა ა. ჯონუამ, ქალაქების ჭიათურის, ფოთისა და ტყიბულის სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეებმა გ. ცხადიაშვილმა, ა. ცხადაიამ და მ. გვენეტაძემ, გურჯაანის, დუშეთის, ლაგოდეხის, მარნეულის, თელავის და ცხაკაიას სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეებმა მ. თოდაშვილმა, ა. ბალხამიშვილმა, ა. ბეგიაშვილმა, უ. გეიდაროვმა, ა. ნადაშვილმა, დ. ლაფაჩიშვილმა და კ. შარტავამ გაატარონ შემდეგი ღონისძიებანი:

1. გადამჭრელი ზომები მიიღონ სკოლებში სასწავლო აღმზრდელობითი მუშაობის გასაუმჯობესებლად, დარაზმონ განათლების მუშაკები, სკოლების ხელმძღვანელები და მასწავლებელთა კოლექტივები მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების ასამაღლებლად, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მეორეწლიან მოსწავლეთა შორის მუშაობას, განახორციელონ დამატებითი ღონისძიებანი, რათა სასწავლო წლის ბოლოსათვის ლიკვიდაცია უყონ I—VIII კლასების მეორეწლიან მოსწავლეთა აკადემიურ ჩამორჩენილობას.

2. რადიკალური ზომები მიიღონ სასკოლო ინტერნატებისა და გახანგრძლივებული დღის ჯგუფების მუშაობის გასაუმჯობესებლად.

3. პირველ მაისამდე წარმოუდგინონ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ზუსტი ცნობები (სიების თანდართვით) ბრძანებაში მოხსენებული I—VIII კლასების მოსწავლეთა მოძრაობის შესახებ 1968—1969 სასწავლო წელს, ხოლო 1969—1970 სასწავლო წელს ანალოგიური ცნობები სკოლებიდან გასულ მოსწავლეთა შესახებ წარმოუდგინონ განათლების სამინისტროს 10 ივლისისათვის.

4. სასოფლო საბჭოებთან და სახლმმართველობებთან ერთად ყველა ზომა მიიღონ მოსწავლეთა კონტინგენტის შესანარჩუნებლად. კარდაკარ ჩამოვლით ზუსტად აღრიცხონ სწავლას ჩამოცილებული ბავშვები და უზრუნველყონ მათი სწავლებაში ჩაბმა ახალი სასწავლო წლისათვის.

5. გაზარდონ სკოლის დირექტორების პასუხისმგებლობა საყოველთაო სავალდებულო სწავლების კანონის განხორციელების საქმისადმი, მკაცრი სასჯელი დაადონ იმ სკოლის დირექტორებს, რომლებიც გულგრილად ეკიდებიან ამ დიდმნიშვნელოვან სახელმწიფო საქმეს.

6. აფხაზეთის ასს რესპუბლიკის განათლების მინისტრის ა. ჯონუას ყურადღება მიექცეს რესპუბლიკაში საყოველთაო სავალდებულო სწავლების კანონის განხორციელების საქმეში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებებზე.

7. სკოლების (ამხ. აკ. ჩხიკვაძე) და საგეგმო-საფინანსო (ა. კვაჭაძე) სამმართველოებმა კონტროლი განახორციელონ ამ ბრძანების შესრულებაზე.

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1970 წლის 13 მარტის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. **ლაშქარაშვილი**

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1970 წ. 13 აპრილის ბრძანება № 201

### ასპინძის რაიონის სალამოს (ცვლის) ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ

აღვნიშნავ, რომ ასპინძის რაიონის სალამოს (ცვლის) ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლებში გარკვეული ღონისძიებანი ტარდება სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის სათანადო სიმაღლეზე დასაყენებლად. ამ სკოლების უმეტესობას სასწავლო ნივთიერი ბაზის მხრივ აქვს მუშაობის ნორმალური პირობები. ცალკეული სკოლების მასწავლებელთა ერთი ნაწილი ჯეროვნად ემზადება გაკვეთილებისათვის და გარკვეულ წარმატებებსაც აღწევს საგნების სწავლებაში. მათგან აღსანიშნავია ასპინძის მ/ა საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებელი დ. ცინაძე, რომელიც დიდ ყურადღებას აქცევს ცალკეული თემების შეგნებულად და ღრმად შესწავლას. მის მოსწავლეებს შესწევთ უნარი მოქმედებათა დამოუკიდებლად შესრულებისა. მასწავლებელი საჭირო ყურადღებას უთმობს მოსწავლეებში დამოუკიდებელი მუშაობის ჩვევების აღზრდას. საშინაო დავალებას ამოწმებს ფრონტალურად, მთელი კლასის აქტიური მონაწილეობით.

მიუხედავად აღნიშნულისა, ასპინძის რაიონის სალამოს (ცვლის) ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლები დღემდე არადამაკმაყოფილებლად ახორციელებენ მათ წინაშე მდგომ საპასუხისმგებლო ამოცანებს და სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაში ჯერ კიდევ აქვთ სერიოზული ნაკლოვანებანი.

ასპინძის რაიონში არასაკმაო მუშაობა ტარდება საშუალო განათლების არმქონე ახალგაზრდობის სწავლებაში ჩასაბმელად; ასე მაგალითად, მიმდინარე სასწავლო წლის სახალხო მეურნეობის გეგმით, სალამოს (ცვლის) ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკო-

ლებში უნდა ჩაებათ 187 ახალგაზრდა, სწავლებაშია ჩაბმული 105 და ეს მაშინ, როდესაც რაიონის განათლების განყოფილებაში 1969 წლის დეკემბრის მდგომარეობით, სკოლების ხელმძღვანე[illegible] წარმოდგენილი მასალების მიხედვით, 16-დან 35—წლამდე ასაკის ახალგაზრდობიდან საშუალო განათლება არა აქვს მიღებული 634-ს. აქედან 816 ახალგაზრდა 16-დან 30 წლის ასაკისაა.

ნაკლოვანებებით ხასიათდება ცალკეული საგნების სწავლება. მასწავლებელთა ერთი ნაწილი არ ემზადება გაკვეთილებისათვის, ნაკლებ ყურადღებას აქცევს სწავლებაში თვალსაჩინოების გამოყენებას, არ ითვალისწინებს საღამოს სკოლების მუშაობის სპეციფიკას, რის გამოც დაბალია მოსწავლეთა მიერ საპროგრამო მასალის ათვისების ხარისხი.

არადამაკმაყოფილებლად ისწავლება მათემატიკა ასპინძის რაიონის ოშორის სოფლის ახალგაზრდობის საშუალო სკოლის IX კლასში (მასწავლებელი, ა. რობაქიძე), დაბალია მოსწავლეთა ცოდნის დონე: საშინაო დავალებად მიცემული მასალა—ზოგიერთი კუთხის ტრიგონომეტრიული ფუნქციების მნიშვნელობანი, არც ერთმა მოსწავლემ არ იცოდა; მოსწავლეებმა არ იციან რა მიიღება ორის ორზე გაყოფის შედეგად. ვერ ახერხებენ კუთხის წაკითხვას; გაკვეთილზე ნაკლები ყურადღება ექცევა მოსწავლეთა აქტივიზაციას, გავლილი მასალის განმეორებას.

დაცული არ არის საკონტროლო წერების ჩატარების სახეები და რაოდენობა IX—X—XI კლასებში. ნაცვლად 8-სა, საკონტროლო წერა ჩატარებულია 3-ჯერ. X და XI კლასებს საკონტროლო საწერად აძლევს ერთდაიმავე მაგალითებს. შეუმჩნეველია მოსწავლეთა მიერ დაშვებული შეცდომები, არ ახდენს შეცდომების გასწორებას. ნაკლოვანებებით ხასიათდება მათემატიკის სწავლება დამალის სოფლის ახალგაზრდობის სომხური საშუალო სკოლის X კლასში (მასწავლებელი ნ. ბალოიანი). შემოწმების დღეს საკონტროლო საწერად მიცემული საშუალო სიძნელის ამოცანა ვერცერთმა მოსწავლემ ვერ ამოხსნა. იგი არაობიექტურად აფასებს მოსწავლეთა წერით ნამუშევრებს.

ცუდად ისწავლება ფიზიკა ოშორის სოფლის ახალგაზრდობის საშუალო სკოლის XI კლასში (მასწავლებელი ა. არაბიძე). იგი სპეციალობით ბიოლოგია და ასწავლის ფიზიკას. ვერ ფლობს საგნის მეცნიერულ საფუძვლებს და მისი სწავლების მეთოდიკას; მასწავლებელი თვითონ ვერ ერკვევა ამოცანის ფიზიკურ შინაარ-

სში. ძალზე დაბალია მოსწავლეთა მომზადების დონე. არ ტარდება პროგრამით გათვალისწინებული სადემონსტრაციო ცდები, ლაბორატორიული და პრაქტიკული სამუშაოები, ყურადღება არ ექცევა ამოცანებზე ვარჯიშს და სხვა. ანალოგიური ნაკლოვანებებით ხასიათდება ფიზიკის სწავლება ასპინძის მუშა-ახალგაზრდობის საშუალო სკოლის XI კლასში (მასწავლებელი ზ. ხუციშვილი).

შესწავლილი სკოლები მუშაობენ წინასწარ შედგენილი და პედაგოგიურ საბჭოს სხდომაზე დამტკიცებული სკოლის წლიური სამუშაო გეგმებით. მათში მკრთალადაა მოცემული მოწინავე მასწავლებელთა გამოცდილების განზოგადების, მასწავლებელთა იდეურ-პოლიტიკური და პედაგოგიური დახელოვნების დონის ამაღლების საკითხები; ოშორის სოფლის ახალგაზრდობის საშუალო სკოლის წლიურ სამუშაო გეგმაში შეტანილი ზოგიერთი საკითხი აღებულია მასობრივი სკოლის გეგმიდან. მაგალითად,—პროგრამული მასალის შესაბამისად კოლმეურნეობის სასოფლო-სამეურნეო იარაღების და მეცხოველეობის ფერმაში მუშაობის პროცესის გაცნობა.

ზოგადია კლასის ხელმძღვანელთა სამუშაო გეგმები; მათში საკითხები კონკრეტულად არ არის ჩამოყალიბებული. ისინი შინაარსით თითქმის არაფრით არ განსხვავდებიან მასობრივი სკოლების გეგმებისაგან.

სკოლებში არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული პედაგოგიური საბჭოების მუშაობა. საბჭოს სხდომები მეოთხედებში იწვევა მხოლოდ ერთხელ. ამის გამო პედსაბჭოს სხდომებზე ვერ ვხვდებოდით ცალკეული საგნის მასწავლებლების, კლასის ხელმძღვანელთა ანგარიშებს. სკოლებს აქვთ ბრძანების წიგნები, მაგრამ პედაგოგიური საბჭოს სათანადო დადგენილებები არ ფორმდება ბრძანებებით, ასევე არ იწერება ბრძანებები სასწავლო-სააღმზრდელო საკითხებზე.

შესწავლილ სკოლებში არადამაკმაყოფილებლადაა დაყენებული მეთოდური მუშაობა- არ ტარდება ღია გაკვეთილები, არ ხდება მასწავლებელთა ურთიერთდასწრება. არც ერთ მასწავლებელს არა აქვს შედგენილი თავისთავზე მუშაობის ინდივიდუალური გეგმა.

სკოლებში არადამაკმაყოფილებლადაა დაყენებული შინასასკოლო კონტროლი და ხელმძღვანელობა მასწავლებელთა მუშაობაზე. მცირე რაოდენობით აქვთ მოსმენილი გაკვეთილები ოშორის

სოფლის ახალგაზრდობის და ასპინძის მუშა ახალგაზრდობის სა-შუალო სკოლების დირექტორებს, ხოლო დმანისის სოფლის ახალ-გაზრდობის სომხური საშუალო სკოლის დირექტორს პ. [illegible] შემოწმების დღისათვის არც ერთი გაკვეთილი არ ჰქონდა მოს-მენილი.

ნაკლები ყურადღება ექცევა საკლასო ჟურნალების მოვლა-პატრონობას; ასე მაგალითად, ასპინძის მუშა ახალგაზრდობის სა-შუალო სკოლის მასწავლებლებს დაუშვებული მასალები—ქიმია-ში, რუსულ ენასა და ლიტერატურაში, ქართულ ენასა და ლიტერა-ტურაში, გერმანულ ენაში, ახალ ისტორიაში შეუტანელია საკლა-სო ჟურნალებში, ასევე არ ხდება გაცდენების ზუსტი აღრიცხვები მაგალითად, შემოწმების დღეს დმანის სოფლის ახალგაზრდობის საშუალო სკოლის (დირექტორი პ. იგითიანი) 37 მოსწავლიდან გაკვეთილს არ ესწრებოდა 10, ხოლო ასპინძის მუშა ახალგაზრდო-ბის საშუალო სკოლის (დირექტორი გ. დათიაშვილი) 39 მოსწავ-ლიდან გაკვეთილს არ ესწრებოდა 18 მოსწავლე, ხოლო ამავე სკო-ლის VIII კლასის გაკვეთილები ჩაიშალა მოსწავლეთა გამოუცხა-დებლობის გამო.

მოუგვარებელია მოსწავლეთა პირადი საქმეები, მოსწავლეთა ერთ ნაწილს აკლია დაბადებისა და რვა კლასის დამთავრების მოწმობები, ცნობები სამუშაო ადგილიდან, კონსულტაციის საა-თები არ არის განაწილებული განათლების სამინისტროს მითითე-ბისამებრ, მაგალითად, ოშორის სოფლის ახალგაზრდობის საშუა-ლო სკოლაში ეს საათები დათმობილი აქვს—გეოგრაფიას, ქიმიას და ბიოლოგიას, ხოლო ასპინძის მუშა ახალგაზრდობის სკოლაში—რუსულს, ისტორიას, გეოგრაფიას და ფიზიკას.

ასპინძის მუშა ახალგაზრდობის საშუალო სკოლა მოთავსე-ბულია მასობრივი ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლის შე-ნობაში, მაგრამ მუშა ახალგაზრდობის საშუალო სკოლის მასწავ-ლებლები ვერ სარგებლობენ დღის სკოლის კაბინეტ-ლაბორატო-რიებით. ქიმიის, ფიზიკის, ბიოლოგიის გაკვეთილები ტარდება თვალსაჩინოების გამოყენებისა და ცდების გარეშე; დღის სკოლის ლონისძიებები—კომკავშირული, პიონერული, პარტიული კრე-ბები, პედაგოგიური საბჭოსა და მშობელთა კომიტეტის სხდომები ტარდება სამასწავლებლოში, ხოლო საღამოს სკოლისათვის გამო-ყოფილ საკლასო ოთახებს ზოგჯერ იკავებენ მშობელთა ან მოს-წავლეთა კრებების ჩასატარებლად, რაც იწვევს მუშა ახალგაზრდო-

ბის სკოლაში მეცადინეობის ჩაშლას და უარყოფით გავლენას ახდენს სკოლის სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაზე.

მასწავლებლებზე გაკვეთილები არასწორად არის განაწილებული, მაგალითად, ოშორის სოფლის ახალგაზრდობის საშუალო სკოლაში ფიზიკას, ხაზვას, ასტრონომიას ასწავლის ნ. არაბიძე, რომელსაც დამთავრებული აქვს ქ. გორის პედინსტიტუტის ბიოლოგია—სოფლის მეურნეობის ფაკულტეტი, ასპინძის მუშა-ახალგაზრდობის საშუალო სკოლაში რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ი. თოთაძე ასწავლის VIII კლასში ისტორიას, გეოგრაფიას, ბიოლოგიას, უცხო ენას, ხაზვას, რუსულ ენასა და ლიტერატურას; განათლების სამინისტროს ბრძანებებით არ არის დანიშნული დამალის სოფლის ახალგაზრდობის საშუალო სკოლის ქიმია-ბიოლოგიის მასწავლებელი ა. ბექირიანი და ქართული და რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი პ. იგითიანი.

ასპინძის რაიონის საღამოს (ცვლის) ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლების მუშაობაში არსებული ზემოდხსენებული და მსგავსი ნაკლოვანებანი ძირითადად იმითაა გამოწვეული, რომ სკოლის დირექტორები საკმაო ხელმძღვანელობას და კონტროლს არ ახორციელებენ სკოლების სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. ასპინძის რაიონის განათლების განყოფილების გამგემ (ამხ. ვ. თამაზაშვილმა):

ა) გადაჭრით გააუმჯობესონ მუშა და სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლებისადმი დახმარება, ხელმძღვანელობა და კონტროლი; მიიღოს ზომები ამ ტიპის სკოლებისათვის მუშაობის ნორმალური პირობების შესახებ;

ბ) სათანადო მუშაობა გაშალოს ადგილობრივ კომკავშირულ, პროფკავშირულ და სამეურნეო ორგანოებთან ერთად წარმოებადაწესებულებებში მომუშავე საშუალო განათლების არმქონე ახალგაზრდობის სწავლებაში ჩასაბმელად და 1970—1971 სასწავლო წლისათვის მოსწავლეთა კონტინგენტის გეგმის შესასრულებლად;

გ) გულდასმით განიხილონ საღამოს სკოლებში მოსწავლეთა მოძრაობის სკოლებიდან მათი განთესვის მიზეზები და გაატარონ ღონისძიებანი გამოვლინებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად;

დ) სისტემატურად იზრუნოს საღამოს სკოლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემდგომი გაუმჯობესებისათვის. მუშაობის ნორმალური პირობები შეუქმნას ასპინძის მუშა ახალგაზრდობის სკოლას;

ე) არ დაუშვას მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლებში სათანადო გამოცდილების არმქონე მასწავლებელთა დანიშვნა, როგორც არასპეციალისტებს, ჩამოართვას ოშორის სოფლის ახალგაზრდობის საშუალო სკოლის ბიოლოგიის სპეციალისტს ნ. არაბიძეს ფიზიკის, ხაზვის, ასტრონომიის საათები, ხოლო ასპინძის მუშა ახალგაზრდობის საშუალო სკოლის რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელ ი. თოთაძეს ისტორიის, გეოგრაფიის, ბიოლოგიის, უცხო ენის, ხაზვის, ქართული ენისა და ლიტერატურის საათები და უზრუნველყოს სკოლები ამ საგნების კვალიფიციური მასწავლებლებით;

ვ) პერიოდულად შეისწავლოს საღამოს სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის მდგომარეობა და საჭიროებისას საკითხი განსახილველად შეიტანოს რაიონის ხელმძღვანელი ორგანოებისა და სახალხო განათლების საბჭოს სხდომაზე;

2. მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლების დირექტორებმა:

ა) სისტემატურად იზრუნონ სკოლების სასწავლო-მატერიალური ბაზის განსამტკიცებლად;

ბ) ქმედითი კონტროლი და დახმარება განახორციელონ ცალკეული საგნების მასწავლებელთა მუშაობაზე; მეტი ყურადღება მიაქციონ მასწავლებელთა შემდგომ პედაგოგიურ-მეთოდურ დახელოვნებას;

გ) სამუშაო გეგმები გადაამუშაონ იმგვარად, რომ ისინი რეალურად ასახავდნენ სასკოლო ცხოვრების ყველა უბანს და ნამდვილად ეხმარებოდნენ მასწავლებლებს სასკოლო საქმიანობის სწორად წარმართვის საქმეში. 1970 წლის 15 მაისამდე უზრუნველყონ სასკოლო დოკუმენტაციის წესრიგში მოყვანა.

3. საღამოს სკოლების მასწავლებლებმა სისტემატურად იზრუნონ სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გაღრმავებით გაუმჯობე-

სებისათვის; სწავლებაში თვალსაჩინოების მტკიცე დანერგვით უზრუნველყონ მოსწავლეთა ცოდნის მკვეთრი ამალლება.

4. ასპინძის რაიონის განათლების განყოფილებამ [illegible] ივლისამდე მოახსენოს საქართველოს სსრ განათლების [illegible]ტროს ამ ბრძანების შესრულების მიმდინარეობის შესახებ

5 სალამოსა და დაუსწრებელი სკოლების სამმართველომ (უფროსი ვ. ჩინჩალაძე) კონტროლი დააწესოს ამ ბრძანების შესრულებაზე.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრის მოადგილე უშ. ობოლაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1970 წ. 15 აპრილის ბრძანება № 210

### 1970 წლის ზამთრის პერიოდში რესპუბლიკის სკოლების, სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო დაწესებულებათა მუშაობის შემოწმების შედეგებისა და შემდგომში ზამთრის პერიოდისათვის ამ ობიექტების მუშაობის გაუმჯობესების შესახებ

გარდაბნის, გორის, თელავის, კასპის, ყვარლის, ჩხოროწყუს, წყალტუბოსა და თერჯოლის რაიონების ზოგიერთი სკოლა და საბავშვო დაწესებულება მოთავსებულია შეუფერებელ შენობებში, რომლებიც ვერ აკმაყოფილებენ სახანძრო უშიშროების ელემენტარულ მოთხოვნებს.

აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქ. ფოთის, თელავისა და ცხაკაიას რაიონების განათლების განყოფილებები საჭირო ღონისძიებებს არ ახორციელებენ სახანძრო უშიშროების განმტკიცებისათვის, აღნიშნული რაიონების სკოლებში, სკოლა-ინტერნატებსა და საბავშვო დაწესებულებებში წლების მანძილზე არ ჩატარებულა ელექტროგაყვანილობისა და საკვამურების რემონტი, სათანადო ყურადღება არ ექცევა დროებითი თუნუქის ღუმელებიდან ცენტრალურ გათბობაზე გადაყვანის, სატელეფონო კავშირით სკოლების უზრუნველყოფის, საევაკუაციო გასასვლელების მოწყობისა და წყალსაცავი აუზის მშენებლობის საქმეს. სკოლებისა და საბავშვო დაწესებულებათა ხელმძღვანელები არ ზრუნავენ ობიექტების ხანძარსაქრობი საშუალებებით მომარაგებისათვის. საჭირო ზომებს არ ახორციელებენ ადგილობრივი სახანძრო ორგანოების მოთხოვნილებათა შესასრულებლად.

გარდა ამისა, არადამაკმაყოფილებლად სრულდება ადგილებზე საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1969 წლის 25 სექტემბრის № 525 ბრძანება „ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებათა შესრულების საქმეში სკოლების ხელმძღვანელებისა და სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოების პასუხისმგებლობის ამაღლების შესახებ“. სახალხო განათლების ზოგიერთი დაწესებულების ხელმძღვანელი და მომსახურე პერსონალი არც კი გასცნობია აღნიშნულ ბრძანებას, რის გამოც წლების მანძილზე აღმოუფხვრელი რჩება ხანძარსაწინააღმდეგო ნაკლოვანებანი.

სახანძრო უშიშროების წესების უხეშად დარღვევის შედეგად 1970 წლის ზამთრის პერიოდში ადგილი ჰქონდა ხანძრის გაჩენის შემთხვევებს ქ. ზუგდიდის საბავშვო ბაღში, მარნეულის რაიონის დიდი მულანლოს, თელავის რაიონის წინანდლის საშუალო და წყალტუბოს რაიონის ტყაჩირის 8 წლიან სკოლებში, რომლებსაც ხანძარმა დიდი მატერიალური ზარალი მიაყენა.

სკოლებში და საბავშვო დაწესებულებებში ხანძრის გაჩენის ძირითად მიზეზებს წარმოადგენენ: ცეცხლთან გაუფრთხილებლობა, უწესივრო ელექტრომოწყობილობათა, დროებითი თუნუქის ღუმელებისა და საკვამურების, რომელთა გამოყენება მკაცრად იკრძალება სახანძრო ორგანოების მიერ, ექსპლოატაცია.

1970 წლის ზამთრის პერიოდში რესპუბლიკის სკოლებში, სკოლა-ინტერნატებსა და საბავშვო დაწესებულებებში სახანძრო უშიშროების განმტკიცების საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებებმა:

ა) სამინისტროების კოლეგიებისა და განათლების საბჭოების სხდომებზე განიხილონ აღნიშნული ბრძანება. დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი განათლების ობიექტებში სახანძრო უშიშროების უზრუნველსაყოფად;

ბ) გაატარონ ქმედითი ღონისძიებანი, სკოლების, სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო დაწესებულებების ცენტრალურ გათბობაზე გადასაყვანად. სკოლების გასათბობად ფართოდ გამოიყენონ მცირეგაბარიტიანი წყლის გასაცხელებელი ქვაბები;

გ) ადგილობრივი ელექტროზედამხედველობის ორგანოების საშუალებით შეამოწმონ ელექტროდანადგარები და ჩაატარონ აუცილებელი სარემონტო სამუშაოები; ელექტროდანადგარები, რომელთა შეკეთება არ მოხერხდება ტექნიკური მიზეზების გამო, ჩამოჭრან ელექტროენერგიიდან;

დ) აკრძალონ თუნუქისა და კედლის ღუმელების ექსპლოატაცია სახანძრო ორგანოების ნებართვის გარეშე;

ე) ახალი, 1970/71 სასწავლო წლის დაწყებამდე სახალხო განათლების ობიექტები უზრუნველყონ ხანძარსაქრობი პირველადი საშუალებებით, სათანადო ტევადობის წყლის აუზებითა და ტელეფონით. სრულ წესრიგში იქონიონ სათადარიგო საევაკუაციო გასასვლელები, არ დაუშვან მათი გაუქმება ან დროებით სასკოლო ინვენტარით ჩახერგვა;

ვ) ადგილობრივი სახანძრო დაცვის ორგანოებთან ერთად მიიღონ აუცილებელი ზომები სკოლებში და საბავშვო დაწესებულებებში ნორჩ მოხალისეთა სახანძრო რაზმეულების ჩამოყალიბებისა და მათი მუშაობის გააქტიურებისათვის. დახმარება გაუწიონ ახლად ჩამოყალიბებულ სახანძრო რაზმეულებს სახანძრო საქმის შესწავლაში;

ზ) აამაღლონ სკოლებისა და საბავშვო დაწესებულებათა ხელმძღვანელების პერსონალური პასუხისმგებლობა ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებათა განხორციელების საქმეში. მკაცრი კონტროლი დააწესონ ამ საკითხზე სადირექტივო ორგანოების მოთხოვნილებათა შესრულებისადმი;

თ) აღნიშნული ბრძანების შესრულების მიმდინარეობაზე საქართველოს სსრ განათლების სამინისტროში 1970 წლის 1-ლ ივნისამდე წარმოადგინონ დაწვრილებითი მოხსენებითი ბარათი.

2. წყალტუბოს რაიონის სოფ. ტყაჩირის 8 წლიანი სკოლის დირექტორი ვ. შარაშენიძე, რომელმაც გამოიჩინა ცეცხლთან გაუფრთხილებლობა და ვერ უზრუნველყო ხანძარსაწინააღმდეგო წესების დაცვა, რის გამოც მთლიანად დაიწვა აღნიშნული სკოლის შენობა და ინვენტარი, მოიხსნას დაკავებული თანამდებობიდან.

3. წყალტუბოს რაიონის განათლების განყოფილებამ (ამხ. ი. მელაძე) შეარჩიოს და განათლების სამინისტროში წარმოადგინოს დასამტკიცებლად ტყაჩირის რვაწლიანი სკოლის დირექტორის კანდიდატურა.

4. მიღებულ იქნეს ცნობად ქ. ზუგდიდისა და [illegible] რაიონის განათლების განყოფილებათა გამგეების განცხადება ამის შესახებ, რომ ზუგდიდის მე-19 საბავშვო ბაღისა და [illegible] საშუალო სკოლის დაწვის საკითხი უახლოეს ხანში განხილული იქნება აღმასკომის სხდომებზე.

ეროვნული

5. ეს ბრძანება განსახილველად და სათანადო ზომების გასატარებლად დაეგზავნოს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებებს.

6. მეორე განყოფილებამ (ამხ. ო. მჭედლიძე) თვალყური ადევნოს ამ ბრძანების შესრულების მიმდინარეობას.

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1970 წლის 27 მარტის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. **ლაშქარაშვილი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 197[illegible] წლის 27 მარტის დადგენილებით

# დებულება

## მეზღვაურთა საღამოს დაუსწრებელი ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლისა

1. სატრანსპორტო და თევზსაჭერი ფლოტის მეზღვაურთა დაუსწრებელი სკოლა წარმოადგენს ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო დაწესებულებას, რომლის მიზანია ახალგაზრდობისათვის რვაწლიანი და საშუალო სკოლის კურსის ფარგლებში განათლების მიცემა წარმოებისაგან მოუწყვეტლივ, მათი შეიარაღება ძირითად მეცნიერებათა სისტემატური ცოდნით და იმ ჩვევებით, რომლებიც უზრუნველყოფს ამ ცოდნის გამოყენებას პრაქტიკულ საქმიანობაში.

2. მეზღვაურთა დაუსწრებელი საშუალო სკოლები იხსნება საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბრძანებით აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროების შუამდგომლობის საფუძველზე.

3. მეზღვაურთა დაუსწრებელ სკოლას აქვს V—XI კლასები.

4. მეზღვაურთა დაუსწრებელი საშუალო სკოლები სსრკ-ის საზღვაო ფლოტის სამინისტროსა და თევზის მრეწველობის სამინისტროს საუწყებო დაქვემდებარებულ დაწესებულებებთან ერთად სათანადო მუშაობას ატარებენ მეზღვაურთა დაუსწრებელ სკოლაში ჩაბმისათვის, ამყარებენ კონტროლს მოსწავლეთა მოსწრებაზე და მათ მიერ სასწავლო გეგმის დროულად შესრულებაზე. დახმარებას უწევენ დაუსწრებლებს საპროგრამო მასალის ათვისებაში.

5. სსრკ-ის საზღვაო ფლოტის სამინისტროსა და თევზის მრეწველობის სამინისტროს დაქვემდებარებული ორგანიზაციები

დაუსწრებელი სკოლებისათვის ქმნიან სასწავლო-მატერიალურ ბაზას, გამოყოფენ საჭირო შენობებსა და სასწავლო სამეურნეო მოწყობილობას, უზრუნველყოფენ მათ გათბობით, განათებით, ბიბლიოთეკებით. გემების ხელმძღვანელობა უზრუნველყოფს მეზღვაურ დაუსწრებელ მოსწავლეთა მუშაობის ნორმალური პირობების შექმნას: მათთვის მუდმივი ადგილის გამოყოფით, ვახტებსა და გემებზე სამუშაოების რეგულირებით, აგრეთვე მორიგი და დამატებითი შვებულებებისა და დასასვენებელი დღეების მიცემით, უწევენ დაუსწრებლებს დახმარებას საპროგრამო მასალის ათვისებაში, აბამენ ამ მუშაობაში მეთაურთა შემადგენლობიდან იმ პირებს, რომელთაც აქვთ სათანადო მომზადება.

6. მეზღვაურთა დაუსწრებელი საშუალო სკოლები მიავლენენ სკოლის მუშაკებს გემებზე და გემების თავშეყრის ადგილებში კონსულტაციების ჩასატარებლად და ჩათვლების მისაღებად.

სკოლის დირექტორი ხარჯთაღრიცხვებში ითვალისწინებს საჭირო თანხებს მასწავლებლების გემებზე და გემების თავშეყრის ადგილებში მისავლინებლად.

7. გემებზე მივლინებული სკოლის მუშაკები მოსწავლეებისაგან ღებულობენ ჩათვლებს და უტარებენ მათ კონსულტაციებს იმის მიუხედავად, თუ რომელ სანაოსნოს ან სამმართველოს ეკუთვნის გემი.

8. მეზღვაურთა დაუსწრებელი სკოლები იმყოფება საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს უწყებაში და უშუალოდ ექვემდებარება ქალაქის (რაიონის) განათლების განყოფილებებს, რომლებიც ახორციელებენ ხელმძღვანელობას ამ სკოლებზე (ხელმძღვანელი და პედაგოგიური კადრების უზრუნველყოფით სასწავლო მოწყობილობით, სასწავლო და სასკოლო დოკუმენტაციის მომარაგებითა და სხვ.).

მეზღვაურთა დაუსწრებელი სკოლების ლიკვიდაციას ახდენს საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო, აფხაზეთის და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროების წარდგენით, სსრკ-ის საზღვაო ფლოტის სამინისტროსა და სსრკ-ის თევზის მრეწველობის სამინისტროებთან შეთანხმებით.

## II. სასწავლო მუშაობის ორგანიზაცია

9. დაუსწრებელ საშუალო სკოლებში სასწავლო წლის ხანგრძლივობა განისაზღვრება 1-ლი სექტემბრიდან 30 მაისამდე:

ეროვნული ბიბლიოთეკა

10. მეზღვაურთა დაუსწრებელ საშუალო სკოლებში კლასების შევსება შეადგენს 20 კაცს.

11. მეზღვაურთა დაუსწრებელი საშუალო სკოლები მუშაობენ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული სასწავლო გეგმით და საღამოს (ცვლის) ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლების V—XI კლასების პროგრამებით და სახელმძღვანელოებით.

დაუსწრებელთათვის დამოუკიდებელ მუშაობაში დახმარების გაწევის მიზნით საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო ცალკეულ საგნებში გამოსცემს მეთოდურ ლიტერატურას.

12. დაუსწრებელ სკოლებში სწავლების ძირითად ფორმას წარმოადგენს მოსწავლეთა დამოუკიდებელი მუშაობა.

მოსწავლეების დასახმარებლად სკოლაში ეწყობა ჯგუფური და ინდივიდუალური კონსულტაციები დაუსწრებელი საშუალო სკოლის სასწავლო გეგმის შესაბამისად.

13. დაუსწრებელი სკოლის მოსწავლეების ცოდნის შეფასება წარმოებს დაუსწრებლის გამოკითხვის გზით კურსის გარკვეული მონაკვეთის ფარგლებში, მის მიერ წერითი საკონტროლო სამუშაოების გათვალისწინებით ისეთ საგნებში, როგორიცაა მშობლიური ენა და ლიტერატურა, რუსული ენა და ლიტერატურა, უცხოური ენა, მათემატიკა.

გამოკითხვის შედეგად დაუსწრებელს ეწერება ნიშანი ამა თუ იმ ჩათვლის ჩაბარებაზე.

ჩათვლების რაოდენობა განისაზღვრება სასწავლო გეგმით.

დაუსწრებლები, რომელთაც არ აქვთ საშუალება ჩააბარონ ზეპირი ჩათვლები, ადგენენ წერით ნამუშევრებს თვითეულ საგანში—ზეპირი ჩათვლების რაოდენობის მიხედვით.

მოსწავლეების ცოდნა ფასდება ხუთბალიანი სისტემით.

მეზღვაურ დაუსწრებლებს, რომელთაც არ აქვთ საშუალება დაესწრონ სკოლაში საკონტროლო წერებს (მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში, რუსულ ენასა და ლიტერატურაში, მათემატიკასა და უცხოურ ენებში), წინასწარ ღებულობენ საგნის მასწავლებლებისაგან ზღვაში გასვლამდე სავალდებულო დავალებას, სასწავლო მუშაობის დარგში დირექტორის მოადგილის მიერ შემოწმებულს. შესრულების შემდეგ თემები და ამოცანები იგზავნება სკოლის მისამართზე.

14. მეზღვაურთა დაუსწრებელ საშუალო სკოლებს აქვს უფლება ჩაატარონ კონსულტაციები და მიიღონ ჩათვლები მეზღვაურთა ნებისმიერი დაუსწრებელი სკოლის მოსწავლეებისაგან.

სკოლები, რომლებმაც მიიღეს ჩათვლები მეზღვაურთა დაუსწრებელი სკოლის მოსწავლეებისაგან, ჩათვლის წიგნაკში შეიტანენ ნიშანს მასწავლებლის ხელის მოწერით, ამოწმებენ მას სკოლის ღერბიანი ბეჭდით და ჩაბარებული ჩათვლის შესახებ აგზავნიან ცნობას იმ სკოლაში, სადაც სწავლობს დაუსწრებელი.

15. V—VI—VII, IX და X კლასების ის მოსწავლეები, რომლებმაც მთლიანად ჩააბარეს სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნები, პედაგოგიური საბჭოს გადაწყვეტილებით გადაყვანილ იქნებიან შემდეგ კლასში.

16. იმ მოსწავლეებს, რომლებმაც სასწავლო წლის ბოლოს არ ჩააბარეს რომელიმე საგანში სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ყველა ჩათვლა, პედაგოგიურმა საბჭომ შეიძლება დართოს ნება ამ ჩათვლების და გამოცდების ჩაბარებისა აგვისტოს თვეში.

17. დაუსწრებლებს, რომლებსაც არ ჰქონდათ საშუალება ჩაებარებინათ სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ჩათვლები მთელი წლის განმავლობაში და წარმოადგინეს მხოლოდ წერითი ნამუშევრები, სასწავლო წლის ბოლოს უნდა ჩააბარონ გეგმით გათვალისწინებული ყველა საგანი.

18. რვაწლიანი სკოლის კურსზე გამოსაშვები და სიმწიფის ატესტატის მისაღები გამოცდები ტარდება მასობრივი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისათვის დაწესებულ ვადებში.

**შენიშვნა:** იმ მოსწავლე-მეზღვაურებისათვის, რომლებსაც ჩაბარებული აქვთ სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ჩათვლები, მაგრამ სამუშაო პირობების მიზეზით ვერ მოახერხეს გამოცდებზე გამოცხადება დადგენილ ვადებში, ქალაქის (რაიონის) განყოფილებამ შეიძლება დაუნიშნოს გადასაყვანი, გამოსაშვები და საშუალო სკოლის დამთავრების ატესტატის მისაღები გამოცდები სხვა დროს.

## III. მოსწავლეები

19. დაუსწრებელ საშუალო სკოლაში მიიღებიან 16 წლის ასაკს მიღწეული მეზღვაურები, რომელთაც აქვთ რვაწლიანი ან საშუალო განათლების მიღების სურვილი.

20. დაუსწრებელ საშუალო სკოლაში ახალგაზრდობის ჩარიცხვა წარმოებს მთელი სასწავლო წლის განმავლობაში.

განცხადებასთან ერთად სკოლაში წარდგენილი უნდა იქნეს შემდეგი საბუთები:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. ცნობა განათლების შესახებ;
2. ცნობა სამუშაო ადგილიდან;
3. 2 ფოტოსურათი.

21. ის პირები, რომლებსაც აქვთ საბუთი IV—X კლასების დამთავრების შესახებ, მიიღებიან დაუსწრებელი სკოლის შესაბამის კლასში უგამოცდოდ, იმ შემთხვევაში, თუ წყვეტა სწავლაში არ აღემატება 3 წელს.

განათლების საბუთის უქონლობის შემთხვევაში სკოლის ამა თუ იმ კლასში მოსწავლეების ჩარიცხვა წარმოებს გამოცდების საფუძველზე.

გამოცდები უნდა ჩააბარონ მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში და მათემატიკაში.

**შენიშვნა**: XI კლასში გამოცდებზე დაშვება შეიძლება მხოლოდ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ნებართვით.

22. შეიძლება მოეწყოს კონსულტაციები იმ პირთა გამოცდებისათვის მოსამზადებლად, რომელთაც აქვთ ამ სკოლაში სწავლის გაგრძელების სურვილი.

23. დაუსწრებელი სკოლის მოსწავლეები ვალდებულნი არიან დადგენილ ვადებში შეასრულონ სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ყველა სამუშაო და ჩააბარონ სავალდებულო ჩათვლები.

24. ცალკეულ შემთხვევებში სკოლების პედაგოგიურ საბჭოებს შეუძლიათ ნება დართონ მოსწავლეებს—ჩააბარონ ორი კლასის ჩათვლები და გამოცდები ერთი სასწავლო წლის მანძილზე.

25. მოსწავლეები, რომლებიც სისტემატურად არ ასრულებენ სასწავლო გეგმას დებულებით დადგენილ ვადებში, შეიძლება გარიცხული იქნენ სკოლიდან.

26. მეზღვაურთა დაუსწრებელი საშუალო სკოლის მოსწავლეებს გამოსაშვები და საშუალო სკოლის ატესტატის მისაღები გამოცდების პერიოდში ეძლევათ დამატებითი შვებულება ხელფასის შენახვით.

მე-8 კლასის მოსწავლეებს 12 დღე.

მე-11 კლასის მოსწავლეებს 20 დღე.

V, VI, VII, IX და X კლასების მოსწავლეებს გადასაყვანი გამოცდების პერიოდში ეძლევათ 4—6 დღე დამატებითი შვებულება.

27. მეზღვაურთა დაუსწრებელი საშუალო სკოლების მოსწავლეები, რომლებმაც ჩააბარეს VIII კლასის გამოსაშვები ან საშუალო სკოლის ატესტატის მისაღები გამოცდები, ღებულობენ საერ-

თო ნიმუშის მოწმობას ან ატესტატს დირექტორისა და მასწავლებლების ხელის მოწერით და სარგებლობენ ყველა იმ უფლებით, რომლებითაც მასიური ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის VIII კლასის ან საშუალო კურსდამთავრებული მოსწავლეები.

ბიბლიოთეკა

## IV. სკოლის ხელმძღვანელობა

28. მეზღვაურთა დაუსწრებელი საშუალო სკოლის სათავეში დგას უმაღლესი პედაგოგიური განათლებისა და პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ სამი წლის სტაჟის მქონე დირექტორი, რომელსაც ნიშნავენ ავტონომიური რესპუბლიკების განათლების სამინისტროები საუკეთესო მასწავლებელთა რიცხვიდან.

სკოლის დირექტორს შეუძლია ამავე სკოლაში ასწავლოს ერთერთი სასწავლო საგანი, მაგრამ არა უმეტეს 8 კვირეული საათისა.

29. მეზღვაურთა დაუსწრებელი საშუალო სკოლის დირექტორი ხელმძღვანელობს სკოლის სასწავლო-მეთოდურ და სამეურნეო-ადმინისტრაციულ მუშაობას, ამზადებს სკოლას ახალი სასწავლო წლისათვის და აწარმოებს სკოლაში ახალგაზრდობის ჩარიცხვას, იღებს ზომებს მოსწავლეთა განთესვის საწინააღმდეგოდ, ახორციელებს კონტროლს სასწავლო გეგმისა და სახელმწიფო პროგრამების შესრულებაზე, შეაქვს წინადადებანი მასწავლებელთა დანიშვნა-განთავისუფლებაზე და ატარებს ღონისძიებებს მოსწავლეთათვის კონსულტაციების ჩატარებისა და ჩათვლების მისაღებად გემების შეჯგუფების ადგილებში, აწარმოებს სკოლის სასწავლო-დამხმარე და ადმინისტრაციულ-სამეურნეო პერსონალის დანიშვნას და განთავისუფლებას, დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვის ფარგლებში განაგებს ყველა საფინანსო-მატერიალურ სახსრებს, საჭიროებისას დებს ხელშეკრულებებს დაწესებულებებთან და კერძო პირებთან.

სკოლის დირექტორს ეკისრება პირადი პასუხისმგებლობა სახელმწიფოს წინაშე სკოლის მუშაობის მდგომარეობაზე, სახარჯთაღრიცხვო-ფინანსიური დისციპლინის დაცვაზე, მთავრობის დადგენილებების შესრულებაზე, განათლების ზემდგომი ორგანოების იმ ბრძანებებისა და მითითებების შესრულებაზე, რომლებიც ეხება დაუსწრებელი საშუალო სკოლას.

30. სასწავლო-საორგანიზაციო საკითხებში დახმარებისათვის დაუსწრებელი სკოლის დირექტორი მიმართავს სსრკ საზღვაო ფლოტის სამინისტროს პოლიტიკურ განყოფილებას ან სსრკ თევზის მრეწველობის სამინისტროს პარტიულ-კომკავშირულ ორგანიზაციებს.

31. სკოლის დირექტორის მოადგილეს სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობის დარგში ნიშნავს ავტონომიური რესპუბლიკის განათლების სამინისტრო სკოლის დირექტორის წარდგენით იმ საუკეთესო მასწავლებელთა რიცხვიდან, რომელთაც აქვთ უმაღლესი პედაგოგიური განათლება და პედაგოგიური მუშაობის სტაჟი არა ნაკლებ 3 წლისა.

დირექტორის მოადგილეს სასწავლო მუშაობის დარგში შეუძლია ასწავლოს სკოლაში ერთ-ერთი სასწავლო საგანი, მაგრამ სასწავლო დატვირთვა არ უნდა აღემატებოდეს 12 კვირეულ საათს.

32. დირექტორის მოადგილე სასწავლო მუშაობის დარგში პასუხს აგებს დირექტორის წინაშე სკოლაში სასწავლო და მეთოდური მუშაობის მდგომარეობისათვის, ადგენს სასწავლო მეცადინეობების ცხრილს, ახორციელებს უშუალო კონტროლს სასწავლო გეგმების და სახელმწიფო პროგრამების შესრულებაზე, აგრეთვე მასწავლებლებისა და კონსულტანტებზე, რომლებიც საზღვაო და თევზსარეწაო ფლოტის მუშაკების რიცხვიდან არიან, ამოწმებს რეცენზიების ხარისხს მოსწავლეების წერით ნამუშევრებზე, თვალყურს ადევნებს მოსწავლეთა მიერ ჯგუფურ და ინდივიდუალურ კონსულტაციებზე დასწრებას, ჩათვლების ჩაბარებას, ღებულობს ზომებს მოუსწრებლობის თავიდან ასაცილებლად, სწავლობს და ანზოგადებს მოწინავე მასწავლებელთა დადებით გამოცდილებას, სკოლის დირექტორის არყოფნის დროს ასრულებს მის მოვალეობას.

33. მეზღვაურთა დაუსწრებელი საშუალო სკოლის მასწავლებლებად ინიშნებიან უმაღლესი განათლების მქონე მოწინავე მასწავლებლები; მათ სკოლის დირექტორის წარდგენით ნიშნავს ავტონომიური რესპუბლიკის განათლების სამინისტრო. მასწავლებელთა გადაყვანა და განთავისუფლება წარმოებს ავტონომიური რესპუბლიკის განათლების სამინისტროს ბრძანების საფუძველზე.

34. ავტონომიური რესპუბლიკის განათლების სამინისტრო, დაუსწრებელი სკოლების დირექტორების წარდგენით, გეგმებსა და საცურაო ბაზების პარტიულ-კომკავშირულ და პროფკავშირულ ორგანიზაციებთან შეთანხმებით, ამტკიცებს საზოგადოებრივ კონსულტაციებს და ზოგიერთს მათ შორის, რომლებსაც აქვთ უმაღლესი განათლება, ანიჭებს უფლებას მიიღონ ჩათვლები მოსწავლე-დაუსწრებლებისაგან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

35. კონსულტანტები ვალდებულნი არიან აღმოუჩინონ დახმარება დაუსწრებლებს გეგმებზე, საცურაო ბაზებზე საპროგრამო მასალის ათვისებაში, კონტროლი აწარმოონ სასწავლო გეგმის შესრულებასა და ჩათვლების ჩაბარებაზე.

36. მეზღვაურთა დაუსწრებელ სკოლაში იქმნება პედაგოგიური საბჭო, რომელსაც ხელმძღვანელობს სკოლის დირექტორი. პედსაბჭოს შემადგენლობაში შედიან: დირექტორის მოადგილე სასწავლო მუშაობის დარგში, მასწავლებლები და საზოგადოებრივი კონსულტანტები. პედაგოგიური საბჭო იხილავს სკოლის პერსპექტიულ გეგმებს და ანგარიშებს, სასწავლო პროცესის ორგანიზაციის და მეთოდურ საკითხებს, მოსწავლეთა გადაყვანისა და გამოშვების საკითხს და ა. შ.

## V. დაფინანსება და ანგარიშგება

37. მეზღვაურთა დაუსწრებელი საშუალო სკოლები აწარმოებენ საქმის წარმოებას და ანგარიშგებას საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ დადგენილი ფორმებით, გათვალისწინებულ ვადებში. პერიოდულად აბარებენ ანგარიშს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს.

38. მეზღვაურთა დაუსწრებელ სკოლებს აქვთ საკუთარი წლიური ხარჯთაღრიცხვა, დამტკიცებული ავტონომიური რესპუბლიკის განათლების სამინისტროს მიერ.

39. მეზღვაურთა დაუსწრებელი სკოლები სარგებლობენ იურიდიული პირის უფლებით და აქვთ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული ღერბიანი ბეჭედი და კუთხური შტამპი.

40. მეზღვაურთა დაუსწრებელი საშუალო სკოლების მთელი სასწავლო ინვენტარი შეადგენს სახელმწიფო საკუთრებას და არ შეიძლება იქნეს გასხვისებული საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს განკარგულების გარეშე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების სამმართველო

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს
კოლეგიის 1970 წლის 27 მარტის დადგე-
ნილებით

# დებულება

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების რესპუბლიკური მეთოდური კაბინეტისა

### I. საერთო დებულებანი

1. საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების რესპუბლიკური მეთოდური კაბინეტი წარმოადგენს განათლების სამინისტროს მეთოდურ დაწესებულებას, რომელიც უშუალოდ ექვემდებარება საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების სამმართველოს და მუშაობს მისი ხელმძღვანელობით.

2. მეთოდური კაბინეტი მუშაობს განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებულ გეგმით.

3. მეთოდური კაბინეტი წარმოადგენს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის საღამოს (ცვლის) ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლებში მეთოდური მუშაობის ხელმძღვანელ ცენტრს. იგი აღნიშნულ სკოლებს უწევს მეთოდურ დახმარებას სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის მთავარი ამოცანის—წარმოება-დაწესებულებებში დასაქმებულ ახალგაზრდობის სწავლებისა და კომუნიზმის იდეების სულისკვეთებით აღზრდის საქმეში.

4. მეთოდური კაბინეტი საქმიან კავშირს ახორციელებს სსრ კავშირის პედაგოგიკურ მეცნიერებათა აკადემიის საღამოს (ცვლის) სკოლების ლენინგრადის სამეცნიერო-კვლევით, საქართველო სსრ

განათლების სამინისტროს ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევით და მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტებთან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## II. მუშაობის შინაარსი და ძირითადი ფორმები

1. მეთოდური კაბინეტი ეცნობა რესპუბლიკის საღამოს (ცვლის) ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლების საქმიანობასა და ეხმარება ამ სკოლებს სასწავლო-აღმზრდელობითი და მეთოდური მუშაობის სწორ ორგანიზაციაში.

მეთოდური კაბინეტი სწავლობს პედაგოგიური კაბინეტების მიერ საღამოს (ცვლის) ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლებისადმი მეთოდური ხელმძღვანელობისა და დახმარების მიზნით გაწეულ მუშაობას და აძლევს სათანადო მითითებებს.

2. კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ სკოლის წინაშე დასახულ ამოცანათა განსახორციელებლად მეთოდური კაბინეტი ადგენს და დასაბეჭდად ამზადებს საღამოს (ცვლის) ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლების სასწავლო გეგმებს, პროგრამებს, ჩათვლის წიგნაკებს, საგამოცდო ბილეთებს, სასწავლო პედაგოგიურ-მეთოდური ხასიათის დამხმარე სახელმძღვანელოებს, ბროშურებს, განაკვეთებს დაუსწრებელი სკოლებისათვის ცალკეულ საგნებში, მეთოდურ წერილებს, აგრეთვე საორგანიზაციო ხასიათის დოკუმენტებს

მეთოდკაბინეტი თარგმნის და რეცენზიას უკეთებს სასწავლო-მეთოდურ ლიტერატურას. მეთოდკაბინეტი ხელშეკრულებებს დებს ავტორებთან, რეცენზენტებთან, მთარგმნელებთან, სხვადასხვა ორგანიზაციასთან და აწარმოებს მათთან ანგარიშსწორებას.

3. მეთოდური კაბინეტი მოწინავე პედაგოგიური გამოცდილების განზოგადების მიზნით აწყობს ამ ტიპის სკოლების მუშაკთა საქალაქო და სარაიონო სემინარებს; ბეჭდავს და სკოლებს უგზავნის მოწინავე მასწავლებელთა მუშაობის გამოცდილების ამსახველ მეთოდურ წერილებს; აწყობს სკოლებისა და ცალკეული მასწავლებლების მუშაობის გამოცდილების ამსახველი მასალების გამოფენას.

4. საღამოს (ცვლის) ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლების სასწავლო აღმზრდელობითი მუშაობის შესწავლის შედეგს

საჭიროების შემთხვევაში განსახილველად უდგენს განათლების სამინისტროს კოლეგიას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

5. მეთოდკაბინეტი ადგილებზე სკოლების სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგებს აცნობს პედაგოგიურ საბჭოს და ატარებს კონსულტაციებს, ერთი მხრივ შემჩნეულ ნაკლოვანებათა სალიკვიდაციოდ, და მეორე მხრივ მოწინავე პედაგოგიური გამოცდილების სასკოლო მუშაობის პრაქტიკაში დასანერგად.

6. სწავლობს განათლების განყოფილებათა მიერ გატარებულ კონსულტაციებს ამ ტიპის სკოლებში სასწავლო აღმზრდელობითი მუშაობის უკეთ დასაყენებლად.

7. აწყობს სკოლების დირექტორებისა და სასწავლო მუშაობის დარგში მათი მოადგილეების საქალაქო და სარაიონო თათბირებს მოწინავეთა გამოცდილების განზოგადების მიზნით.

8. მეთოდისტები სკოლების სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შესწავლის შედეგების შესახებ მოხსენებით ბარათს წარუდგენენ მეთოდკაბინეტის დირექტორს.

### III. მეთოდკაბინეტის შტატი და ხარჯთაღრიცხვა

1. მეთოდკაბინეტის სათავეში დგას დირექტორი, რომელიც შეირჩევა სახალხო განათლების დარგში მომუშავე საუკეთესო მუშაკთაგან და ინიშნება საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ.

2. მეთოდკაბინეტს ჰყავს მეთოდისტები ქართულ ენასა და ლიტერატურაში, რუსულ ენასა და ლიტერატურაში; მათემატიკაში, ისტორია-საზოგადოებათმცოდნეობაში. ქიმია-ბიოლოგიაში, ბიბლიოთეკარი, მდივან მემანქანე და დამლაგებელი (0,5 საშტატო ერთეული).

3. მეთოდისტები შეირჩევიან სკოლის მოწინავე უმაღლესი პედაგოგიური განათლების მქონე მუშაკთაგან, რომელთაც აქვთ პედაგოგიური მუშაობის არა ნაკლები 5 წლის სტაჟი აქედან 2 წლისა საღამოს (ცვლის) ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში. მეთოდკაბინეტის მეთოდისტს ნიშნავს საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო.

4. მეთოდკაბინეტი წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებას, რომელსაც აქვს თავისი ხარჯთაღრიცხვა. კაბინეტის დაფინანსება ხდება განათლების სამინისტროს მიერ.

ბიბლიოთეკა

5. საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების რესპუბლიკური მეთოდკაბინეტის დირექტორს ევალება:

ა) კაბინეტის მთელი საქმიანობის ხელმძღვანელობა ერთმართველობის საფუძველზე;

ბ) კაბინეტის პედაგოგიურ-მეთოდური და მატერიალურ-ფინანსიური მუშაობის დაგეგმვა და განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული სამუშაო გეგმის შესრულება.

გ) კონტროლის გაწევა მეთოდურ მუშაობაზე;

დ) ხელმძღვანელობის, დახმარებისა და კონტროლის განხორციელება მეთოდკაბინეტის თანამშრომელთა მუშაობაში;

ე) წლის ბოლოს ანგარიშის წარდგენა განათლების სამინისტროს საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების სამმართველოსათვის ჩატარებული მუშაობის შესახებ;

ვ) ფულადი სახსრების ხარჯვა დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვის ფარგლებში;

ზ) ბიბლიოთეკარის, მდივან-მემანქანისა და დამლაგებლის სამუშაოზე დანიშვნა და განთავისუფლება.

6. მეთოდკაბინეტის დირექტორი და მეთოდისტები სარგებლობენ შეღავათებითა და შეღავათებით, რომლებიც გათვალისწინებულია სამინისტროს სისტემაში შემავალი სხვა მეთოდური კაბინეტებისათვის.

## IV. მეთოდკაბინეტის მოწყობა

1. საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების მეთოდკაბინეტი თავისი მოწყობილობით მუშაობის სათანადო პირობებს უქმნის როგორც მასში მომუშავე მეთოდისტებს, ისე სკოლებიდან დასახმარებლად მოსულ მასწავლებლებს.

2. მეთოდკაბინეტთან არსებობს ბიბლიოთეკა საზოგადოებრივ პოლიტიკური, პედაგოგიური, მეცნიერულ-პოპულარული, მხატვრული და სხვა სახის ლიტერატურით. ბიბლიოთეკა მომსახუ-

რებას უწევს როგორც მეთოდკაბინეტის მუშაკებს, აგრეთვე საღა-
მოსა და დაუსწრებელი სკოლების მასწავლებლებს.

3. მეთოდკაბინეტი სარგებლობს იურიდიული პირის უფლებე-
ბით, აქვს თავისი ბეჭედი და შტამპი სათანადო წარწერით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების
სამმართველო

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# შ ი ნ ა ა რ ს ი

1. ბრძანება № 148—რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლებში დაწყებითი სამხედრო მომზადების მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ . . . . . . . . . . 8
2. ბრძანება № 65/147—რესპუბლიკის იმ ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლებში, სადაც 1970 წლის 1 სექტემბრიდან შემოღებული იქნება დაწყებითი სამხედრო მომზადება სამხედრო კაბინეტებისა და სამხედრო-სასწავლო იარაღების შესანახი ოთახების მოწყობის შესახებ . 11
3. ბრძანება № 155/134ა—საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს სისტემაში მყოფ სკოლამდელ დაწესებულებათა მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ . . . . . . . . . . . . . . 14
4. ბრძანება № 161—საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სისტემაში საარქივო საქმის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ . . . . . 22
5. ბრძანება № 190—ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი მე-9 რესპუბლიკური კონკურსის—„ნორჩ ნატურალისტთა დახმარება სკოლას" შედეგებისა და მე-10 რესპუბლიკური კონკურსის ჩატარების ღონისძიებათა შესახებ . . . . . . . . . . . . 25
6. ბრძანება № 191—ქ. ფოთის ზოგადსაგანმანათლებლო და ბავშვთა-მოზარდთა სპორტულ სკოლებში მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდისა და სპორტული მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ . . . . . . . . 43
7. ბრძანება № 192—სპორტულ ტანვარჯიშში საქართველოს მოსწავლეთა 1969 წლის პირადგუნდური შეჯიბრების შედეგების შესახებ . . . . . . 49
8. ბრძანება № 193—ქ. თბილისის სკოლების მუსიკალური ჯგუფების კურსდამთავრებულთა მომზადების დონისა და მისი გაუმჯობესების შესახებ . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 54
9. ბრძანება № 195—ქ. თბილისსა, გორსა და რუსთავში, ადიგენის, ამბროლაურის, ასპინძის, ახმეტის, ბოგდანოვკის, ბოლნისის, ბორჯომის, გორის, ლენტეხის, მესტიის, სიღნაღის, თეთრიწყაროს, თიანეთის, ხაშურის და ცაგერის რაიონებში საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის განხორციელების მდგომარეობის შესახებ . . . . . . . . . 57
10. ბრძანება № 196—აჭარის ასსრ, ქ. ქუთაისსა და ზუგდიდში, აბაშის, ვანის, ზუგდიდის, ლანჩხუთის, მახარაძის, მაიაკოვსკის, ორჯონიკიძის, საგარეჯოს, საჩხერის, თერჯოლის, ხობის, წულუკიძის, წყალტუბოს, ჩოხატაურისა და ჩხოროწყუს რაიონებში საყოველთაო სავალდებულო სწავლების კანონის განხორციელების მდგომარეობის შესახებ . . . . 62

ეროვნული ბიბლიოთეკა

11. ბრძანება № 198—სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში, ახალქალაქის, ახალციხის, ზესტაფონის, გარდაბნის, დმანისის, კასპის, მცხეთის, ყაზბეგის, ონის, წალენჯიხის, ქარელის, საგარეჯოს, წითელწყაროს, წალკის და გეგეჭკორის რაიონებში საყოველთაო სავალდებულო სწავლების კანონის განხორციელების მდგომარეობის შესახებ . . . . . . . . . 66

12 ბრძანება № 199—აფხაზეთის ასს რესპუბლიკასა, ქ. ფოთსა, ქ. ტყიბულის, გურჯაანის დუშეთის, ლაგოდეხის, მარნეულის, თელავისა და ცხაკაიას რაიონებში საყოველთაო სავალდებულო სწავლების კანონის განხორციელების მდგომარეობის შესახებ . . . . . . . . . . . 74

13. ბრძანება № 201—ასპინძის რაიონის სალამოს (ცვლის) ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ . . . . . . . . . . . . . . . 1

14. ბრძანება № 210—1970 წლის ზამთრის პერიოდში რესპუბლიკის სკოლების, სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო დაწესებულებათა მუშაობის შემოწმების შედეგებისა და შემდგომში ზამთრის პერიოდისათვის ამ ობიექტების მუშაობის გაუმჯობესების შესახებ . . . . . . . . 88

15. დებულება მეზღვაურთა სალამოს დაუსწრებელი ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლისა . . . . . . . . . . . . . . . . 92

16. დებულება საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სალამოსა და დაუსწრებელი სკოლების რესპუბლიკური მეთოდური კაბინეტის . . 101